# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 25 მარტი 2003 №51 (1822) | ფასი 50 თეთრი







## ფასები გეცნობათ კვირკველია გაგიკვირდებათ

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუშინ ის 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც ამ შაბათს ირლანდიას, მომდევნო ოთხშაბათს კი შვეიცარიას დაუხვდება. ხოლო თუ როგორ და რის იმედით დაუხვდება, ამაზე სალაპარაკოდ მწვრთნელი ხვალ, ნაკრების მშენებარე ბაზაზე გამართავს პრესკონფერენციას.

სანაკრებოდ გამოძახებულ 15 ლეგიონერის ვინაობა აქამდეც ვიცოდით. ისიც ვიცოდით, რომ ამ 15 ფეხბურთელს კახა კალაძე გამოაკლდებოდა, რაც გუშინ ჩივაძემ ერთხელაც და საბოლოოდ დაადასტურა. ლეგიონერები თბილისში ნუხელ გვიან ღამით უნდა ჩამოსულიყვნენ, აქ კი მათ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ექვსი ფეხბურთელი დახვდებათ. „ლოკომოტივის" მეკარე ლომაია და დინამოელები — გვარამაძე, მაშიაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი და კვირკველია. თუ შემადგენლობაში ამ უკანასკნელის გვარის გაგონებამ ცოტათი გაგაკვირვათ, მოგახსენებთ, რომ ალექსანდრე ჩივაძეს დინამოელი ნახევარმცველის ნაკრებში მიწვევა „ვიტ ჯორჯიასთან" საკვირაო მატჩმაც გადაანყვეტინა.

ნაკრები ოფიციალურად შეკრებას დღეს, 12 საათზე იწყებს, საღამოს კი „დინამოს" დილმის სანვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებს.

და ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ცნობაც: ირლანდიასთან და შვეიცარიასთან მატჩების ბილეთები 10, 20, 30 და 50 ლარი ეღირება. თუ გახსოვთ, ასეთივე ფასები ჰქონდა რუსეთთან 12 ოქტომბრის მატჩის ბილეთებსაც და მაშინ „ლოკომოტივი" არ გაივსო.

## პრაღა რაღაა, რუმინეთია საქმე




თბილისში გუშინ ჩამოფრენილი ვიქტორ დიდებულიძე და მისი თანაგუნდელები ღღეს მცხეთაში იკრიბებიან



სიონი — ლოკომოტივი 2:1. ბოლნისელებმა „ლოკომოტივის" განელ ნანას ბურთი არ დაანებეს

## ორი მოულოდნელობა დინამოს სასიკეთოდ ბოლნისური იავ-ნანა


იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 2 ტური

## I–VI ადგილები

# მეორე სერია: გაბზარული ჭური

## ორი სერია კიდევ იქნება

თბილისი. 23 მარტი. 15 საათი. ეროვნული. 2 000 (ტევადობა 70 900)

### დინამო 3:1 ვიტ ჯორჯია

1:0 დარასელია (4), 1:1 მელქაძე (57), 2:1 დარასელია (60), 3:1 კვირკველია (90)

**დინამო:** გვარამაძე, კარლოსი, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე, კვირკველია, დარასელია (გ. ვ. მიქაძე 82), ანჩაბაძე, მ. ბობოხიძე (ვაშაკიძე 62), ალექსიძე (ი. სამხარაძე 40)
*სათადარიგონი:* ზოიძე; მანჯგავა, მანჩხავა, შელია
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, კვახაძე (მარცვალაძე 79), კობიაშვილი, მუჯირი, გველესიანი, დილმელაშვილი (ლაშერებაშვილი 88), ლ. ნოზაძე, დათუნაშვილი (დ. დოლიძე 59), ადამია, ვ. გოჩაშვილი, მელქაძე
*სათადარიგონი:* მერლანი; ბოლქვაძე, ფეიქრიშვილი, ჰ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ჟანი კარნევალი

**გაფრთხილება:** ხიზანეიშვილი (32), დილმელაშვილი (38)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მაქლაძე (სამტრედია); მ. მალაღურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** მ. ანჯაფარიძე

**ჯარიმა:** 15-13; **კუთხური:** 6-3; **კარისკენ დარტყმა:** 2-5; **კარში დარტყმა:** 7-3; **თამაშგარე:** 6-2

კობა ინასარიძე

„დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ სათასო მერვედფინალის პირველი შეხვედრის ვნებათაღელვა არ განელებულიყო, ჩემპიონატის მატჩმაც რომ მოატანა. ცხადია, ინტერესიც გაორმაგდა. თუმც უამინდობამ დამსწრე ქომაგთა რაოდენობაზეც იმოქმედა და თავის კვალი თამაშსაც დაამჩნია. ისე კი, საკვირაო მატჩი სანახაობრივად გაცილებით უკეთესი გამოდგა, ვიდრე სამშაბათისა.

სათასო შეხვედრისგან განსხვავებით, მწვრთნელებს შემადგენლობები მნიშვნელოვნად არ შეუცვლიათ. თვალში საცემი მხოლოდ ერთი იყო, კარნევალიმ შემტევ ნახევარმცველ ბოლქვაძეს გამოკვეთილი, სწრაფი ფორვარდი ადამია ამჯობინა, ის მელქაძეს შეუწყვილა და გუნდის შეტევა გააძლიერა. შუშაკისეული სტრატეგია კი სტაბილურად მოთამაშე გოგობერიშვილის დისკვალიფიკაციით ოდნავადაც არ შეცვლილა. მის პოზიციაზე კვირკველია საიმედოდ გამოიყურებოდა.

„დინამო“ გუშინწინ სწრაფი გოლით დაწინაურდა: როცა კუთხურებში გაწაფულმა დარასელიამ სტუმართა კარისკენ პირველად ჩააწოდა, მცველებმა ბურთი რის ვაი-ვაგლახით ისევ კუთხურზე მოიგერიეს. იქვე დარასელიამ მეორედ დაატრიალა. ეტყობა, ჭურაძისთვის მოულოდნელი გამოდგა ბურთის ტრაექტორია, რომელიც პირისპირ კარში მიფრინავდა, მეკარემ ხაზიდან მოგერიება სცადა, მაგრამ გამოტანის ნაცვლად ბურთიანად კარში აღმოჩნდა — 1:0.

შეგულიანებულმა „დინამომ“ საქმის მოთავება მაშინვე სცადა და გოლის მერე ერთიორჯერაც შეუტია სახიფათოდ, თუმცა „ვიტ ჯორჯია“ მაგრად დადგა, ნელ-ნელა თამაშიც გაათანარა და ბურთი მასპინძელთა ნახევარზე გადაიტანა. იქ კი დინამოელი მცველები ყოჩაღობდნენ, ერთმანეთს გონივრულად აზღვევდნენ და გვარამაძეს ხიფათს არ აკარებდნენ. ასე გრძელდებოდა ტაიმის ბოლომდე და ვიდრე გოჩაშვილს ორი რეალური მომენტი გაუცუდდებოდა, ალექსიძესა და ბობოხიძეს ჰქონდათ საგოლე შანსები. ბურთი „დინამოს“ ნახევარზე რომ უფრო ხშირად დაგორავდა, სტუმარი მცველები თითქოს ამან გაათამამაო და ზემოთ აიწიეს. დაცვა ცენტრის ხაზს გაუსწორდა, რითაც მასპინძლებმა მეტად ისარგებლეს, საკუთარი ნახევრიდან ერთი გრძელი პასი მომენტის შესაქმნელად საკმარისი იყო, სხვა საქმეა, რომ „დინამომ“ ვერ იხეირა. 25-ე წუთზე ალექსიძემ, რომელიც მოგვიანებით დაშავდა და შეცვალეს, შემობრუნებით, ეფექტურად დაარტყა, ბურთი კი ძელს გაეხახუნა. ძელმა იხსნა „დინამოს“ კარი გოჩაშვილის დარტყმის შემდეგაც — სტუმარმა ბურთი საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან მიიღო და მოულოდნელად დაჰკრა. ტაიმის ბოლოსკენ „დინამო“ უკვე ამისულაშვილმა გადაარჩინა. კობიაშვილი დაახლოებით 50-მეტრიანი დიაგონალური დრიბლინგით „დინამოს“ საჯარიმოს მიუახლოვდა და ბურთი ორ მცველს შუა გოჩაშვილს გაუჭრა, ის გვარამაძესთან პირისპირ დარჩა, თუმც დაზღვევაზე ჩინებულად ითამაშა ამისულაშვილმა და ვარდნაში ბურთი გოჩაშვილს ფეხიდან ააცალა.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ“ ტემპს უმატა, „დინამო“ კი დაცვაზე აქცენტირებული და თავის საგოლე შანსის მომლოდინე ჩანდა. ტაიმის საწყის ათ წუთში შეეძლოთ კიდეც დინამოელებს დაწინაურება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მერე იყო ლაშა ნოზაძის ორი წუთი. სტუმართა კაპიტანს ჯერ ადამიას პასით უნდა ესარგებლა, გვარამაძეს თითქმის პირისპირ შეეყარა, მაგრამ სისწრაფეაკრეფილს ატალახებულ მოედანზე ბურთი უკან დარჩა. მერე უკვე ნოზაძემ თავის მომენტის მსგავსი გოჩაშვილს შეუქმნა, რომლის ახლოდან ძლიერად დარტყმულიც კარს ასცდა, საბოლოოდ კი ნოზაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩაჰკიდა საჯარიმოში. მელქაძე რატომღაც მცველთაგან მიტოვებული დარჩა და ბურთს შორეულ ძელთან უცდიდა. „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდსაც ბურთის დამორჩილება და წამშივე აულებლად დარტყმა აღარ გასჭირვებია — 1:1.

სტუმრებმა გაიხარეს, დამსახურებული გოლი გაიტანეს და თითქმის თამაშიც გადაარჩინეს, თუმცა, როგორც გაირკვა, სულ სამი წუთით... დაუღალავმა დარასელიამ, რომელიც კვირას ერთ-ერთი საუკეთესო იყო, „ვიტ ჯორჯიას“ ბურთი ისევ ცენტრში მიატანინა: კუთხურიდან ანჩაბაძის ჩაწოდებული სტუმრებმა კი მოიგერიეს, მაგრამ ბურთი საჯარიმოს გარეთ მომლოდინე დარასელიას ფეხებთან მიგორდა, დინამოელის დარტყმულის დამფარებელი კი არავინ გამოჩნდა და ბურთიც ცხრიანში შეფრინდა.

ივო შუშაკმა იქამდე მომზადებული შეცვლა გააკეთა, მოედნიდან თავდამსხმელი ბობოხიძე გაიყვანა, ვაშაკიძით დაცვაც გააძლიერა, უფრო კი შუა, მეტოქის შეტევის ჩამშლელი ხაზი — ამისულაშვილი ზევით აწია და კვირკველიას შეუწყვილა. ასეთი გადაადგილებით „დინამოს“ ნახევარდაცვა მოლონიერდა. თუმც არ ითქმის „ვიტ ჯორჯია“ ამის შემდეგ საბოლოოდ დანებდაო. ვიტელები კვლავაც ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. ისეთი შანსი კი, ადრე რომ ჰქონდათ, არ მისცემიათ. პირიქით, ორ-სამჯერ იყო — მეტოქის ნახევარზე ბურთის გათამაშებით გართულმა სტუმრებმა დაცვა მთლად გაშალეს და „დინამოს“ კონტრშეტევები ერთიმეორის მიყოლებით მწვავდებოდა. იყო მომენტი, როცა სამი დინამოელი ერთი მცველის წინააღმდეგ დარჩა, მაგრამ კუთხურის მეტს ვერაფერს გამორჩნენ. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი მელქაძემ კვლავაც შეუტოკა ნერვები დინამოელებს. გველესიანის ჩაწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში თავდამსხმელმა მცველს აჯობა და გვარამაძეს თავით დაურტყა. მეკარის რეაქციამ არ დააგვიანა, ბურთს ხელი აჰკრა და გუნდი გოლისგან იხსნა. კიდევ ორ წუთში „ვიტ ჯორჯიას“ მორიგი შეტევა დინამოელებმა თავიანთ საჯარიმოსთან ჩაჭრეს და შეუტიეს. ბურთი სამხარაძემ წაიღო, თავდასხმას ანჩაბაძე აბოლოებდა, მაგრამ ჭურაძემ იმარჯვა, მერე სამხარაძემ დაარტყა და კარის ხაზიდან ბურთი მცველმა გამოიტანა, იქვე კი კვირკველია აღმოჩნდა და დაუცველ კარში მესამე გოლი გაიტანა. წუთში მატჩიც დამთავრდა.




[illegible] ფოტო

სერგო ჭურაძემ ბურთი საკუთარი კარის „ცხრიანში“ ჩასვა

# ზარი მეშვიდე კილომეტრიდან

## ყუფარაძეს რომ არ დაერეკა...

წყალტუბო. 23 მარტი. 15.10 საათი. 26 მაისი. 1 000 (ტევადობა 10 000)

### ტორპედო 0:0 კოლხეთი

**ტორპედო:** ჭანტურია, ხვადაგიანი, ნერგაძე, მახვილაძე, თოდუა, კვეტენაძე, პოროშინი, ბაბუნაშვილი, იონანიძე, ახალკაცი (ზ. ქუთათელაძე 14), ჩხეტიანი (ლალაძე 68)
*სათადარიგონი:* სტურუა; ცლენტი, ბ. ნიშნიანიძე, ქელიშვილი
**მწვრთნელი:** ალექსანდრ შტელინი

**კოლხეთი:** ა. ლაბაძე, გოროზია, მ. ქობულაძე, ნარსია, ქუტიძე, შ. დონაძე, გაბიდაური, დარსანია, გაგუა (მალანია 76), კრასოვსკი, ტუღუში
*სათადარიგონი:* ჩემია; კვერნაძე, გოჩალეიშვილი, ბადათურია, თურქია, ლოლუა
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**გაფრთხილება:** მახვილაძე (37), კრასოვსკი (43), გაგუა (45), გოროზია (65)

**გაძევება:** გოროზია (74)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი, კ. თბილელი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** ბ. მჭედლიშვილი

**ჯარიმა:** 16-24; **კუთხური:** 6-0; **კარისკენ დარტყმა:** 6-1; **კარში დარტყმა:** 4-3; **თამაშგარე:** 6-3

ვახტანგ ბზიკაძე წყალტუბოდან

**„მანწკავას საქმემ“** ლამის მთელ ქართულ ფეხბურთს ხელში საქართველოს ჩემპიონატის დებულება აალებინა და ნამუსზე ხელაღებულთა გაკონტროლება გადააწყვეტინა.

დებულებით ხელში დაუხვდა საკვირაო „ტორპედო“ — „კოლხეთის“ სტუმრებს მატჩის ინსპექტორი ელგუჯა სილაგავაც, რომელსაც, 5 წუთიც და, ამ დოკუმენტის 4.30 პუნქტი მატჩის ჩაშლას აიძულებდა.

დებულების მიხედვით მოქმედებას მასპინძელთა დისკვალიფიცირებული მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი ითხოვდა, მაგრამ ფოთელები სტადიონზე, რეგლამენტის ენით რომ ვთქვათ, „მითითებულ დრომდე“ 5 წუთით ადრე გამოცხადდნენ, „ყუფარაძემაც დარეკა“ და...

„კოლხეთის“ უდროოდ მოსვლა ბევრმა ჩათვალა უბრალოდ მანევრად და, შესაძლოა, არც მთლად უსაფუძვლოდ. „კოლხეთი“ იმერეთს მაინც საკლუბო, მარკირებული ავტობუსით ესტუმრა და თუ ავტობუსი გაფუჭებული იყო, როგორც მისი ნაუცბადევად შეკეთებაა საეჭვო, ისევე გაუგებარია გაუმართლებელი რისკი — მატჩზე მაინც გაუმართავი ავტობუსით წასვლა.

ასევე გასაკვირია, თამაშში უპრობლემოდ ჩართვა მოუთელავი „კოლხეთისა“, რომელსაც არც ფოთში ავტობუსის გაფუჭებით გამოწვეული ხასიათის გაფუჭება ეტყობოდა და არც წყალტუბოში დაგვიანებით გამოწვეული მღელვარება.

კოლხთა თავდაჯერებულობამ ასე თუ ისე იმოქმედა ტორპედოელებზე, რომლებსაც შტელინი ფრუიძის დახმარებით ტრიბუნიდან მოძღვრავდა. ჩანს, მათ უკვე არშემდგარ მატჩზე და ტექნიკურ 3:0-ზე დაეწყოთ ფიქრი, რამაც ცუდი სამსახური გაუწიათ.

დებულება ირღვევა, მაგრამ მოგეხსენებათ, ქართული სინამდვილე: სუფთა კაცურად ხომ უნდა დაელოდო სტუმარს, რომელსაც ავტობუსი გაუფუჭდა და ლამის მეშვიდე კილომეტრიდან დაწყებული ისტერიულად რეკავს, ჭალადიდიდან, აბაშიდან, სამტრედიიდან, დამელოდეთ, მოვდივარო.

„ტორპედო“ დაელოდა და რაც მოიგო, ვხედავთ. უთამაშებლობას, ცხადია, ცუდი თამაშიც სჯობს, მაგრამ ერთი ქულა ნამდვილად ვერ სჯობია სამს.

მითუმეტეს მაშინ, როცა გადახალისებულ შტელინის გუნდს აღარ ულხინს. „დინამოსთან“ გამტანი და ჩხუბისთავი გამეზარდაშვილი ვერც გაგა ჩხეტიანმა შეცვალა და ვერც ტრავმირებული ახალკაცის ნაცვლად მოედანზე შესულმა ზვიად ქუთათელაძემ. თავდამსხმელები საჭირო მომენტში დარტყმას პასს ამჯობინებდნენ, ტანმაღალ ქუტიძესთან და ქობულაძესთან მეორე სართულზე ბრძოლა უჭირდათ, „ქვევით“ კი წინა დღეს „სამგურალ“ — „მერცხალის“ ნაზელი სველი გრუნტი აბრკოლებდა თამაშს.

ასევე გაუჭირდა გიორგი ნერგაძეს ტრავმირებული ლაშა ჭელიძის მაგივრობა გაეწია. ახალბედა მცველის ორ უხეშ შეცდომას კოლხთა ორი სახიფათო მომენტი მოჰყვა, პირველად ტუღუშს მეკარე ჭანტურიამ აჯობა, მეორედ კი მას დარსანიამ დაასწრო, მაგრამ ბრძოლაში მიზანი ვერ გაისწორა. ეს იყო და, „კოლხეთი“ მწვავედ მეტჯერ აღარ დამუქრებია მასპინძელთა კარს.

სამაგიეროდ „ტორპედოს“ შეეძლო ამდენჯერვე გატანა. მეათე წუთზე გაგა ჩხეტიანმა ბაბუნაშვილის პასის შემდეგ რომან ახალკაცი მეკარე ლაბაძეს პირისპირ შეატოვა: მეკარემ გამოსვლა არ იჩქარა, თავდამსხმელმა ბურთზე დაიგვიანა და... სერიოზულად მუხლნატკენი თამაშსა და ახალგაზრდულ ნაკრებს მიღმა დარჩა.

5 წუთში ანდრი პოროშინმა მარჯვნიდან თოდუას ჩაწოდებული ბურთი ხარიხას გადაალუნა — პირველ ტაიმშიც სულ ეს იყო.

სახიფათო გამოდგა 61-ე წუთი. ავთანდილ ლაბაძემ ჯერ მიხეილ მახვილაძის ძლიერი დარტყმა მოიგერია, მალე კი მახვილაძისვე თავური გადაცემის მერე ხვადაგიანის თავით დარტყმული ბურთიც აილო.

აღელვებულ მასპინძლებს მაშველი რგოლი თითქოს არბიტრმა გადაუგდო, რომელმაც სტუმართა კაპიტანი კახაბერ გოროზია მეორე გაფრთხილების მერე, 74-ე წუთზე მართებულად გააძევა, მატჩს კი გაჩერებების ასანაზღაურებლად 5 წუთი დაამატა.

თუმცა თითქმის 20 წუთს რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა „ტორპედომ“ გატანა მაინც ვერ შეძლო, რადგან ქაოტურ შეტევებზე გადავიდა. იქამდე, რომ ბოლო ათწუთეული ცენტრალურმა მცველმა ვახტანგ ხვადაგიანმა ცენტრფორვარდის პოზიციაზე გაატარა, მაგრამ „ტორპედოს“ ჩაწოდებებს ვერც მისი სიმაღლე შეეშველა.

ვერ დავიჩემებთ, გინდა თუ არა, ამის ბრალია ჩემპიონის ვერმოგებაო, მაგრამ ეს კია, ტორპედოელებს „დინამოსთან“ დამსახურებული პრემიები დაუკავეს, ჯერ ვერა, აპრილში მიიღებთო. შესაბამისად, „ტორპედოს“ მომავალი გამარჯვებებიც აპრილამდე გადაიდო.

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVI ტური

კიოლნი 1:4 მაინცი

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXI ტური

ბოლტონი 1:0 ტოტენჰემი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი

რაშდენი 3:3 როჩდეილი

### იტალია

სერია B. XXVII ტური

ვერონა 1:1 კალიარი

სერია C1/A. XXVIII ტური

ჩეზენა 0:0 სპალ

### პორტუგალია

პირველი ლიგა
XXVI ტური

ნასიონალი 1:2 პორტუ

ბოავიშტა 1:3 ბელენენსეში



ლევან შავგულიძის პენალტმა ლამის ბადე გახია

ბოლნისი. 22 მარტი. 15 საათი. თემურ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 000)

# სიონი 2:1 ლოკომოტივი

1:0 გაბისკირია (2), 1:1 ონიანი (47), 2:1 შავგულიძე (52პ)

*კაიდარაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (73, მეკარე)*

**სიონი:** ვოლკოვი, ხუჯაძე, ა. ბურნაძე, ფანჩულიძე, გოგიტაძე, სვანაძე (ირემაშვილი 46), გაბისკირია, შავგულიძე, წივწივაძე, დაუშვილი (ბაქრაძე 81), კოშკაძე (ე. გვასალია 68)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ისიანი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**ლოკომოტივი:** ლომაია, რ. ონიანი, კაკაშვილი (მ. ბურნაძე 20), ორბელაძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, სოხელია (ტიტველიშვილი 8), სირაძე, ზ. ლაცაბიძე, ძოწუაშვილი (კაიდარაშვილი 63), ნანა
*სათადარიგონი:* ივარდავა; რუსია, გოგინაშვილი, გ. ონიანი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** შავგულიძე (36), კვარაცხელია (36)

**გაძევება:** ა. ბურნაძე (73)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე; ი. კახიანი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** ნ. შუბითიძე

ჯარიმა: 26-23; კუთხური: 7-4; კარისკენ დარტყმა: 2-10; კარში დარტყმა: 6-2; თამაშგარე: 0-4



# ცაკარიასი ბოლნისში ცდილობდა მოწაფე დააბრუნეს

## მაღლაპასებზე აწყობილი ლოკომოტივი სიონმა თავით დაშალა

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**ეს მატჩი** წარმატებულ პრემიერას ჰგავდა. „სიონი" — „ლოკომოტივმა" მნახველს დიდი ემოციები დაუტოვა, ნაფინალევს ქომაგი დიდხანს უკრავდა ტაშს და ეს მხოლოდ მასპინძელთა გამარჯვებით არ იყო გამოწვეული. შაბათს „თემურ სტეფანიაზე" ხალხმა ნაღდი ფეხბურთი ნახა, ბრწყინვალე ფეხბურთი, რომელიც სანთლით საძებარია ქართულ სარბიელებზე.

რკინიგზელები ფავორიტებად ჩავიდნენ ბოლნისში და გვარიანად გასილაქებულნი დაბრუნდნენ თბილისში. გადამთიელმა ლუის ცაკარიასმა პირწმინდად წააგო ბრძოლა თავის ქართველ კოლეგასთან. თემურ მახარაძის გუნდი მართლაც შეუდარებელი იყო შაბათს. „სიონმა" გიჟურად დაიწყო და რომ გამართლებოდა, მეათე წუთისთვის მინიმუმ 3:0 იქნებოდა ანგარიში მასპინძელთა სასარგებლოდ. ქვემოქართლელებმა კლასიკურად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გახსნეს ანგარიში მეორე წუთზე. შავგულიძემ ჯარიმა დაარტყა, ცოცხალი კედლიდან გამოვარდნილი ბურთი დაუშვილმა მოათვინიერა და საჯარიმოში ჩარბენილ გაბისკირიას ეფექტური პასი მისცა, გამოცდილმა ნახევარმცველმაც ისეთი გაისროლა, მთელი „ლოკომოტივი" სახტად დატოვა — ლომაიამ თვალიღა გააყოლა შორეულ, დაბალ კუთხეში შეფრენილ ბურთს. გოლიდან წუთიც არ იყო გასული, რომ „სიონს" ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მეორეც უნდა გაეტანა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა კოშკაძეს გაუცუდდა. მე-6 წუთზე თემურ მახარაძის ბიჭებმა მარაოსავით გაშალეს ფლანგები, ოთხი პასის შემდეგ ბურთი ფანჩულიძეს მიუვიდა. ამანაც რაკეტასავით ჩაუქროლა ორ მეტოქეს და საჯარიმოში მყოფ შავგულიძეს დაასვა ბურთი — ლომაიამ სასწაულებრივ შეძლო თავისიანთა გადარჩენა. სადებიუტო შტურმი წივწივაძის 100-პროცენტიანი მომენტით გაგრძელდა. ფლანგზე ორი მცველის ჩამომტოვებელმა კოშკაძემ წივწივაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. ლომაიამ კვლავაც გასაოცრად ითამაშა, გადმოვარდნილ ბურთს ისევ ჰამლეტმა დაჰკრა ოთხიოდე მეტრიდან, მაგრამ როინ ონიანმა გაწია მეკარეობა და ფეხით კუთხურზე გადააგდო ბურთი ზედ კარის ხაზიდან.

ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე. ხალხი ლამის ექსტაზში შევიდა, დაჯდომით ხომ არავინ დამჯდარა და ისეთი ხმაშეწყობილი გუგუნი და ოვაცია მოაწყვეს ბოლნისელებმა, „პაიერიზე" გეგონებოდა კაცს თავი.

რას აკეთებდა ამ დროს სტუმართა გუნდი? ფაქტობრივად არაფერს. გაირკვა, რომ რკინიგზელთა სათასო წაფორხილებაში მოედანი არაფერ შუაშია. ამ გუნდს რაღაც სჭირს და თუ რა, ამაზე პასუხი ლუის ცაკარიასს უნდა ჰქონდეს, მაგრამ ვეჭვობ, ულვაშა პერუელი ბოლომდე გარკვეული იყოს თავის გუნდში მიმდინარე პროცესებში. ცაკარიასს ერთი შეხედვით სოლიდური არგუმენტი აქვს — გუნდმა ცოტა ხნის წინ დაასრულა მოსამზადებელი ეტაპი, ჯერაც დამძიმებულია და შედეგის გაუმჯობესებას მატჩიდან მატჩამდე უნდა ველოდოთ. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ნებისმიერმა შეკრებაგავლილმა გუნდმა სეზონის მეხუთე მატჩში მაინც უნდა შეძლოს თუნდაც ერთი გააზრებული კომბინაციის გაკეთება. მით უფრო, თუ ამ გუნდს საჩემპიონო ამბიცია აქვს და შემსრულებლებიც არ აკლია.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ცაკარიასმა დაიწუწუნა, გალიარდო არ გვყავდა და მის ადგილზე დაყენებულ სოსელიას გალიარდოობა არ დასცალდა, ისე დაიმტვრა და რაღა გასაკვირია, თუ ასეთ ვითარებაში ბევრი ღირებული ვერ შევქმენითო. მე-8 წუთზე დამტვრეული სოსელია ეგებ მართლაც დააკლდა გუნდს, მაგრამ ცაკარიასმა „ღირებულის შექმნისთვის" მხოლოდ ერთი მეთოდი გამოიყენა — უთავბოლოდ ბურთის ჩაკიდება საჯარიმოში. ამ ქაოსურ „საჰაერო" ფეხბურთში რკინიგზელებმა ერთხელ იხეირეს და ისიც შემთხვევით. მთელი მატჩის განმავლობაში საიმედოდ შებოჭილმა ნანამ 47-ე წუთზე კლასის წყალობით მაინც მოახერხა საგოლე პასის გაჩარხვა, როინ ონიანმა ექვსი მეტრიდან სუსტად დაარტყა ბურთი კარის მიმართულებით, მაგრამ, მისდა ბედად, ვოლკოვს ტალახში ფეხი დაუცურდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

„ლოკომოტივი" გამოფხიზლდა და ასეთი გოლის გამშვები „სიონიც" თითქოს იოლი გასატეხი ჩანდა. რკინიგზელებმა შტურმი მოაწყვეს, მაგრამ მათ შეტევებს ერთფეროვანი გაგრძელება ჰქონდა — ისევ და ისევ საჯარიმოში ბურთის ჩაკიდება და ტანმაღალ ფეხბურთელთა იმედად ყოფნა. ასეთ ვითარებას ბოლნისელები საქმიანად მიუდგნენ, საიმედოდ გადაკეტეს საჯარიმოს მისადგომები და მიუხედავად ვოლკოვის მღელვარებისა, მაინც მოახერხეს ლომივით მებრძოლმა ალექსანდრე ბურნაძემ და რომეო გოგიტაძემ „მეორე სართულზე" მეტოქესთან გამკლავება. პარალელურად მახარაძის გუნდი ლომაიას კარისკენაც იყურებოდა და სწრაფ, გააზრებულ კონტრშეტევებს ახორციელებდა. ერთერთი ასეთი ეპიზოდისას ჯილა გაბისკირია ანგარიშის გამთანაბრებელმა ონიანმა წააქცია საჯარიმოში — პენალტი აშკარა იყო და ლევან შავგულიძემ შანსი არ დაუტოვა სანაკრებოდ გამზადებულ მეკარეს.

რკინიგზელებმა ისევ „საჰაერო გზას" მიმართეს და მალე მატჩის გადამწყვეტი მომენტიც დადგა. კუთხურისას ვოლკოვი შეცდა გამოსვლაზე და კვარაცხელიამ თავით გაგზავნა ბურთი კარში. გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ ალექსანდრე ბურნაძემ თავგანწირული ნახტომით ხელით დააბრუნა ბურთი საჯარიმოში. ბურნაძე გააძევეს, პენალტის დარტყმა კი რატომღაც მოედანზე 9 წუთის შესულმა კაიდარაშვილმა ითავა — ვოლკოვმა ბრწყინვალე ნახტომით შეძლო ბურთის მოგერიება.

„ლოკომოტივს" საკმაო დრო ჰქონდა ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ დარჩენილ 20 წუთში თავგადადებულ მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. ის კი არა, შეცვლაზე შესულ ელდარ გვასალიას ოდნავ რომ გამართლებოდა, საბოლოოდ დააწყნარებდა „ცეცხლწაკიდებულ" მაყურებელს.

ნამატჩევს ათწლიანი კატორღიდან თავდაღწეული კაცის გამომეტყველება ჰქონდა თემურ მახარაძეს. ემოციისაგან დაცლილმა მწვრთნელმა მხოლოდ ეს გვითხრა, სტუმრად თამაშისთვის ვემზადებოდით, ტაქტიკაც შესაბამისი გვქონდა შერჩეული. შინ არ გვივარჯიშია და უცებ გაირკვა, რომ ბოლნისში უნდა დავხვედროდით მეტოქეს. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო გადაწყობა, მაგრამ ბიჭებმა თავი დადეს, ისინი გმირები არიანო.

გაგრძელება იქნება — 6 აპრილს „სიონი" — „ტორპედო"...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 31 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 30 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:2 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 28 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 18 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 16 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 17 - იოსანიძე | *ტორპედო* |
| მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 13 - დარასელია | *დინამო* |
| 9 - კოშკაძე | *სიონი* |
| შავგულიძე | *სიონი* |

# VII-XII ადგილები

გორი. 22 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1 000 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:0 გორდა

**დილა:** გ.სომხიშვილი, გ.ჩიტაია, რ.ხაჭაპურიძე, ლომიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, გილაური, მორჩილაძე (მარღიშვილი 39), რაზმაძე, ფეზუაშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; არუდაშვილი, ლ. გოჩაშვილი, მ. სომხიშვილი, ოლგეხაშვილი, ხანიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, არსოშვილი, ბერიძე, ლაშა სილაგაძე, გ. ჩხაიძე, ბ. ნოზაძე, ზ. ლაბაძე, ჯელაძე, მიქავა (ხოხელი 53), ლ. ალადაშვილი (სოზაშვილი 86)
*სათადარიგონი:* ჯანიაშვილი; სოხაძე, ადეიშვილი, ქერაშვილი
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**გაფრთხილება:** ბერიძე (38), ლაბაძე (83), ბ. ჩიტაია (89)

**გაძევება:** ლაბაძე (83)

**მსაჯები:** ს. კარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე, **დირექტორი:** გ. ცაავა

ჯარიმა: 16-23; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 5-1; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 1-2

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**იმ** გორელ ქომაგებს, აღმოსავლეთ ტრიბუნეზე რომ აქვთ ადგილები დაჯავშნული, აქამდე არაერთი სტუმარი ფეხბურთელი „გაუგიჟებიათ" და მერე წონასწორობადაკარგულ ძოთამაშეს ათასგვარი სისულელე ჩაუდენია. გამონაკლისი არც საშაბათო მატჩი იყო. გორში „დილასა" და „გორდას" პრინციპული შეხვედრა საბოლოოდ მშვიდობით კი დასრულდა, თუმც მეორე ტაიმის ბოლოსკენ ყველასთვის მოულოდნელად ვითარება ისე დაიძაბა, რომ შეიძლებოდა, თამაში ჩაშლილიყო.

...ჯუნგლების გინებამ რუსთაველი ზურაბ ლაბაძე მოთმინებიდან გამოიყვანა, სტუმრის მძაფრმა პასუხმა ერთი მოცლილი ქომაგიც განარისხა და ისინი ერთმანეთისკენ დაიძრნენ. გორელი ტრიბუნის მხრიდან ცდილობდა დამცავი ღობე გადმოელახა, ლაბაძე იგივეს მოედნის მხრიდან აპირებდა. სურვილის ასრულება ვერც ერთმა ვერ მოახერხა და მხოლოდ „ტკბილი" სიტყვებიღა გაცვალეს. მყარად მდგარ დამცავ ღობესაც ბლომად ურტყეს ხელები და წიხლები. მერე გორელი პოლიციამ დააშოშმინა, ხოლო ლაბაძე თანაგუნდელებმა და მასპინძელმა ფეხბურთელებმა.

კვარაცხელიამ ლაბაძეს ჯერ ყვითელი, მერე კი წითელი წითელი აუფრიალა, მოედანზე შესული მწვრთნელ-სათადარიგოებიც თავიანთი ადგილებისკენ დაიძრნენ. გაძევებული რუსთაველიც თითქოს თვინიერი მიემართებოდა გასახდელისკენ, მაგრამ კიდევ ერთხელ, ამჯერად დასავლეთიდან, „გიჟმაჟმა" ქომაგმა, მეტსახელად ტაფამ შეაგინა და ლაბაძე პირდაპირ ტრიბუნაზე აიჭრა.

# ნუ ჩაირტყამ ტაფას თავში



გული მერჩისო, ზურაბი დაიტრაბახებს, მაგრამ სალ-სალამათი რომ გადარჩა „დილას" თავკაც ზურაბ ხორგუაშვილსა და ადგილობრივ პოლიციას უნდა უმადლოდეს. ლაბაძემ ტაფას კი დაარტყა, მაგრამ ათიოდ მომხდურის ალყაშიც მოექცა. ივარგა ხორგუაშვილმა, პოლიციელებთან ერთად ალყა გაარღვია, ზურაბი წინ გაიგდო, შვილის მისაშველებლად დაძრული მარლენ ლაბაძე პოლიციელებმა შუაში მოიქციეს და გასახდელში გამოკეტეს.

რამდენიმე წუთში კვარაცხელიამაც საფინალოდ ჩასტვინა. „გორდამ", რომელიც რა ხანია, უსახსრობას უჩივის, გორიდან ქულა წაიღო. მართალია, მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ, რამდენჯერმე გატანაც მართებდათ, მაგრამ ალადაშვილის ბიჭებმა გაძლეს. პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში დაწინაურება სტუმრებსაც შეეძლოთ, თუმც საბოლოოდ ქულამაც გაახარათ.

მთლიანობაში თამაში შეუხედავი და შეცდომებით აღსავსე იყო. „დილასთვის" სათასო მეოთხედფინალის ქუთაისურ მატჩს დიდი ენერგია წაურთმევია. ალბათ, ამიტომაც გამოიყურებოდნენ ინერტულად. „გორდას" კი, მართალია, ოსტატობა აკლია, თუმც ხარვეზის დაფარვას თავდაუზოგავი ბრძოლით ცდილობს. ჯერჯერობით ეს ხერხი ამართლებს, რუსთაველებმა უშუალო კონკურენტებთან ორ საგარეო მატჩში ორი ქულა მოინაგრეს.

ბოლოს რუსთაველები მშვიდობით გაემგზავრნენ გორიდან. მართალია, სტუმრებმა თავი დაიზღვიეს, გზაც ცოტათი დაიგრძელეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მატჩის შემდეგ მათთვის უბატონოდ ხმა არავის გაუცია.

# მინდორში, ტალახ-ბუღახში

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

თითქოს თავისი გაჭირვება არ ეყოფოდა, ბუნების კაპრიზებმა ჩვენი ქვეყნის ისედაც გასაცოდავებულ საფეხბურთო მინდვრებს სულ მოუღო ბოლო. ერთი გენახათ, რა გაუსაძლის პირობებში შედგა ეს მატჩი. ფაქტობრივად, მთელი მოედანი წყალსა და ტალახს დაეკავებინა, ხოლო ალაგ-ალაგ სიმწვანეშეპარული ბალახის საფარი საცოდავად გამოიყურებოდა.

ბუნებრივია, თოვლ-ჭყაპმა თავად თამაშს დიდი დაღი დაასვა. მოთამაშეებს ბურთის გაჩერება, მოძრაობა და პასის მიცემა ძლიერ უჭირდათ. შედეგად უამრავი წუნი იყო და დალაგებულად თამაში სტუმარ-მასპინძელს არც გამოსვლია.

ასეთ ამინდს ნაჩვევმა მასპინძლებმა თავიდან იძალეს და მალე შედეგიც მოიმკეს. მერვე წუთი იყო, შენგელიამ კუთხური რომ ჩააწოდა. მაღალ ბურთზე კახელმა მცველებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და მათგან ასხლეტილი ბურთი შორეულ ძელთან ლაფში გაჩერდა. იქ კი ივარგა მოდებაძემ, ყველას დაასწრო და ანგარიშიც უმტკივნეულოდ გახსნა.

კარგად დაწყებული საქმე „ბათუმმა" ერთხანს კარგადვე გააგრძელა. მართალია, გატანის რეალური შანსი არ მისცემია, მაგრამ თამაშს რიგიანად აკონტროლებდა და შუა ხაზშიც მეტოქეს ჯაბნიდა.

ასეთმა სიტუაციამ დიდხანს გასტანა. წნორელებმა დატბორილ მოედანს მაინც აუღეს ალღო და მოჭარბებული ენთუზიაზმის ხარჯზე ინიციატივაც მოიპოვეს. ტაიმის ბოლო 15 წუთიც მათი შეტევებით გამოირჩა, რასაც უალრესად მწვავე მომენტში არჩათვლილი გოლიც მოჰყვა.

შესვენებას ათიოდ წუთი უკლდა, კახელებმა დასარტყმელ პოზიციაზე მედოევი რომ გაიყვანეს. თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, რადგან „პანკისის ლომი" შვიდიოდ მეტრიდან დაემუქრა ქვარხიას კარს. თუმცა იმარჯვა „ბათუმის" მეკარემ და მომხვდურის უძლიერესად გასროლილს სასწაული რეაქცია დაუპირისპირა. მისგან ასხლეტილ ბურთს კვლავ მედოევმა მიუსწრო და მახვილი კუთხიდან კარში გატანაც მოახერხა, მაგრამ კობა გაბრიაძის აწეულმა ალამმა, აქაოდა, ბურთმა დატოვა მოედანიო, ეს გოლი გააუქმა. წნორელებმა კი გააპროტესტეს, მაგრამ შილაკაძის დამაჯერებელ ჟესტს რომ წააწყდნენ, პროტესტი უმალ წყლის ნაყვად მონათლეს.

მეორე ტაიმში „მილანს" შესწევდა უნარი, თამაში გადაერჩიან, მაგრამ მოდებაძის მეორე გოლმა მართლაც ცივი შხაპის ეფექტი იქონია მასზე. „ბათუმმა" ცენტრში ბურთი გაათამაშა თუ არა, საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი ფირცხალაიშვილს მიუვიდა, ამან კი მარცხნივ მოდებაძე მონახა, რომელმაც ცაციათი უმალ მოუქნია ბურთს და შორეულ კუთხეში გაიტანა.

ცხადი შეიქნა, რომ ასეთ პირობებში სტუმრები თამაშის მხსნელი არ იყვნენ და აჭარლებმაც მოშვებულ მეტოქეს კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი შეუქმნეს. ფლანგზე აქტიურმა შენგელიამ ორჯერ ჩინებული შანსი უბოძა ჯერ ფირცხალაიშვილს, ხოლო შემდეგ ქაცარავას. პირველს ოდნავ შეაგვიანდა ბურთზე მისწრება, მეორეს კი ტექნიკამ და რბილმა გრუნტმა უმტყუნა, კარში დარტყმა ვერ მოახერხა და მომენტმაც სიმწვავე დაკარგა.

მატჩის ბოლო წუთებში მეტოქენი დაიღალნენ, მოედანიც ტრაქტორის ხნულს დაემსგავსა და ყველას ერთი სული ჰქონდა, მატჩი როდის მორჩებოდა. ჰოდა, მსაჯის საფინალო სასტვენმა „ბათუმს" მორიგი სამი ქულა დაუტოვა, ხოლო „მილანს" კი დიდი თავსატეხი. ფაქტია, რომ კახელებმა მორიგი ნაბიჯი გადადგეს იქეთკენ, საიდანაც ისინი უმაღლეს ლიგაში გადმოვიდნენ.

ბათუმი. 22 მარტი. 15 საათი. დინამო. 100 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:0 მილანი

1:0, 2:0 მოდებაძე (8, 46)

**ბათუმი:** ქვარხია, მახარაძე, ბურემიძე, თედორაძე, ქაცარავა, კობიძე, ცანავა (დარჩიძე 46), რომანაძე (დუმბაძე 61), ი. შენგელია, ფირცხალაიშვილი, გ. მოდებაძე (ფურცხვანიძე 68)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, ბეჟანიძე, კუკულავა, გალოგრე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**მილანი:** მამალაძე, რობაქიძე, ლამბაშიძე, აკობია, მეტონიძე, ბარამიძე, მ. სამხარაძე, ბეჟელიძე, ბოქორიშვილი (ნ. მელაძე 46), ჯაფარიძე, მედოევი
*სათადარიგონი:* გოორბელიძე, ეგაძე, ხაჩიძე, მურჯიკნელი, გ. ბობოხიძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ბოქორიშვილი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ჯ. ბუიშვილი (ქობულეთი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა, **დირექტორი:** ი. კურტანიძე

ჯარიმა: 18-19; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 2-1; კარში დარტყმა: 3-3; თამაშგარე: 6-7

ზესტაფონი. 22 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 500 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 0:4 მერანი-ოლიმპი

0:1 მიკუჩაძე (9), 0:2 გ. ნუგ. ქელიძე (21), 0:3 ხოჯავა (44), 0:4 გ. ნუგ. ქელიძე (67)

**მეტალურგი:** ღვინიანიძე, მიქაბერიძე, ნიქარიშვილი (გელაშვილი 19), გოგაძე, კვანტრიშვილი, ა. მანჯავიძე, კაციაშვილი, კ. თავბერიძე (მამუკაშვილი 69), შველიძე (დ. კაპანაძე 31), ქუმბურიძე, ლ. ნიშნიანიძე
*სათადარიგონი:* მდინარაძე, ბოგვერაძე, ლ. მანჯავიძე, ე. მაღლაკელიძე
**მწვრთნელი:** გურამ მაზმიშვილი

**მერანი-ოლიმპი:** ნაჭყებია, ნადირაშვილი, ხარებავა, დავითნიძე (მალაზონია 77), მიქიაშვილი, მესხი, ელიავა (კიკაჩეიშვილი 66), გ. ნუგ. ქელიძე, ხოჯავა, გოგიჩაიშვილი (გ. ნოდ. ქელიძე 57), მიკუჩაძე
*სათადარიგონი:* გ.გაბელია; ქარდავა
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** ხარებავა (13), კაციაშვილი (37), კაპანაძე (59)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ურუშაძე (თბილისი), ნ. რუხიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი: **დირექტორი:** გ. ქორიძე

ჯარიმა: 25-29; კუთხური: 4-10; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 1-8; თამაშგარე: 0-7

# რა არის ფეხბურთი?

## ზესტაფონში ამას სირცხვილს ეძახიან

კახა შალამბერიძე ზესტაფონიდან

საწყენია, მაგრამ სხვა გზა არ ჩანს — ზესტაფონის „მეტალურგი" უმაღლეს ლიგაში მაისამდეც ითამაშებს და... მერე რა მოხდება, არავინ იცის. შესაძლოა, კლუბი დაიშალოს, ან კიდევ უკეთეს შემთხვევაში პირველ ლიგაში ითამაშოს. ისე კი, ერთ დროს უეფას თასის დამჭაშნიკებელი და საპრიზოებს დაჩვეული ზესტაფონელებისთვის პირველი ლიგა რა ბედენაა...

ამ მატჩის შემხედვარე გულშემატკივრებიც შესვენებისას სტადიონს უიმედოდ ტოვებდნენ.

ძნელია, რამე მოსთხოვო ამ გუნდს. უპატრონოდ მიტოვებულმა ფეხბურთელებმა სეზონის ჩამთავრება რომ განიზრახეს, ესეც მისასალმებელი უნდა იყოს. „ძველებიდან" „მეტალურგში" ერთადერთი გენადი კაციაშვილი თამაშობს. კაპიტანი, რომელიც შუაგულ თოვლში ამოსული ენძელასავით გამოირჩევა გუნდში. ეს არის და ეს. არეულ-დარეულ „მეტალურგს", რომელიც მთელი 90 წუთი მხოლოდ ბურთის მოშორებას ცდილობს, ალბათ ქულის აღებაც გაუჭირდება საგაზაფხულო ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მწარე რეალობა ასეთია.

სირცხვილია! — ამ სიტყვას ხშირად მოისმენდით ზესტაფონურ „ცენტრალურზე". რამე ვილონოთ, ფული მოვიძიოთ, ჩოჩქოლებდნენ ერთმანეთში, თუმცა თითზე კბენანი უკვე გვიანი გეგონია.

... და რა არის ამ დროს ფეხბურთი? რა და, უკეთესად მომზადებულმა გოჩა ხოჯავამ მატჩის 44-ე წუთზე მოატყუა ერთი მეურვე, მოატყუა მეორე, მესამე, მეოთხე, მეკარე კი... მეკარემ მის ჭკვიანურ დარტყმულს თვალიღა გააყოლა.

ასეთი ლამაზი გოლით ხოჯავამ მესამედ აიღო მასპინძელთა კარი. მანამდე კი თბილისელებმა ორჯერ იხეირეს. კოკა მიკუჩაძემ და გიორგი ნუგზარის ძე ქელიძემ ორივეჯერ თავით დალაშქრეს ზესტაფონელთა კარი. მასპინძლები კი უკვე თამაშის დამთავრებაზე ოცნებობდნენ. შევამჩნევდით, „მეტალურგის" თავკაცმა პირველივე ტაიმში ორი შეცვლა გააკეთა. მიზეზი არც ტრავმა ყოფილა და არც რაიმე ტაქტიკური ჩანაფიქრი. უბრალოდ, ფეხბურთელები დაიღალნენ.

კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდების მიერ გაცუდებულ მომენტებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. სტუმრებმა რამდენჯერმე „დაინდეს" მასპინძლები.

აი, „მეტალურგის" განიავებული ერთადერთი შანსი კი ნაღდად საცოდაობა იყო. კაციაშვილმა გამჭოლი პასით ხელსაყრელ პოზიციაზე დატოვა ნიშნიანიძე, რომელმაც მცველი მოატყუა და მეკარესთან პირისპირ დარჩა. რატომ არ დაარტყა ნიშნიანიძემ კარში და საით წაიღო ბურთი? ეს კითხვა მატჩის დასრულებამდე ყველას აწუხებდა.

მეორე ნახევარი უფრო დუნე გამოდგა. მართალია, გუნდები არც მანამდე წყვეტდნენ ციდან ვარსკვლავებს, მაგრამ მოგვიანებით ატალახებულმა მოედანმა კიდევ უფრო შეაფერხა თამაშის ტემპი. საინტერესო კი ის არის, რომ დიდი ანგარიშით დაწინაურებული „მერანი-ოლიმპი" მაინც შმაგად მიიწევდა წინ და ეს ერთხელ დაუფასდა კიდეც. ქელიძემ მეორე გოლიც თავით გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

არადა, ხოჯავას, მესხსა და მიკუჩაძეს კიდევ შეეძლო ანგარიშის გაზრდა... საბოლოოდ „მერანი-ოლიმპმა" პირველი გამარჯვება გამოაცხო ეროვნულ ჩემპიონატში. თბილისელებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება სწადიათ და ამას ალბათ აიხდენენ კიდეც. „მეტალურგი" კი... ეს გუნდი უკვე ზესტაფონელებსაც გამოტირებული ჰყავთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 16 |
| მერანი-ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 15 |
| დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 15 |
| მეტალურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 10 |
| გორდა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 9 |
| მილანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 8 |

# მუშები, მუშები, მუშები ჩქარა!

## ახალგაზრდულმა თოვლი არ ჭამა და წვენი დააყოლა

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ირლანდია-შვეიცარიასთან მატჩებისთვის შეკრება დაეწყო. ოცდაერთწლამდელებმა საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" ხელოვნურსაფრიან მოედანზე ივარჯიშეს.

მოედანი დათოვლილი დაუხვდა ოლიმპიურ ნაკრებს. ფეხბურთის ფედერაციას ორი ხის თოვლსაწმენდი ნიჩაბი კი შეუძენია, მაგრამ მუშების დაქირავება აზრად არავის მოსვლია — ოდენ რამდენიმე კვადრატული მეტრი იყო თოვლისგან აღგვილი. ჰოდა, აქანდაზები ნაკრების მწვრთნელებმა მოიმარჯვეს და იმდენი მოახერხეს, რომ მოედნის დახლოებით მეათედი მოასუფთავეს. მწვრთნელებმა რომ ეს არ ითაკილეს, კარგია, მაგრამ ვინ და რატომ მოაწყო საქმე ამგვარად, საკითხავი და მოსათხოვი ეგ არის.

ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდა ტორპედოელი რომან ახალკაცი და ლაშა რეხვიაშვილი (რუხი, პოლონეთი). ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე და ზაპოროჟიელი ირაკლი მოდებაძე გუნდს დღეს შეუერთდებიან.

გაურკვეველია ედიკ საჯაიას (ტორპედო, რუსეთი) საკითხი. წინასწარი ინფორმაციით მოსკოველთაგან ტრანსფერზე დაყენებულ ამ ფეხბურთელს არ სურს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში. შეგახსენებთ, რომ საჯაიას ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია რამდენიმე მატჩი, მაშინ როცა გუნდი ხელმეორედ ჩაიბარა ალექსანდრე ჩივაძემ, მაგრამ შვეიცარიასთან 1:4 წაგების შემდეგ, ჩივაძეს საჯაია აღარ მიუწვევია.

ფეხბურთის ფედერაციის ბოსტანში ერთ კენჭსაც ვისვრით — ახალგაზრდულ ნაკრების ფეხბურთელებს ერთნაირი ფორმა არ აცვიათ, მხოლოდ ბურთები აქვთ „ლოტოსი".

ვარჯიში კი რევაზ არველაძის გუნდმა მოთელვით დაიწყო და ერთშეხებიანი კვადრატით გააგრძელა — არველაძემ გუნდი ორად გაჰყო, ერთ ფლანგზე თვითონ ავარჯიშებდა შეგირდებს, საპირისპიროზე კი მისი თანაშემწე გოჩა ტყებუჩავა. მეკარეებს ზურაბ მამალაძესა და მანუჩარ ივარდავას კი ცხადია, ნიკა ჩხეიძე ადენდა ოფლს.

ვარჯიში დინამიური და ჯიგრიანი იყო. არველაძემ „ლოტოს" ლაბადა გაიხადა და ფეხბურთელებთან ერთად ჩაება საქმეში. ნაკრების დამრიგებელმა არც „პოდკატების" კეთება დაიზარა.

კვადრატის შემდეგ ფეხბურთელები დაწყვილდნენ — მიწაზე დაუშვებელი ბურთით მოკლე პასები ორი შეხებით, მერე ერთი შეხებით ბურთი ხელოვნურ საფარზეც გააგორეს.

ამას მოჰყვა პატარა შესვენება — მოთამაშეებმა ვიტამინიზირებული წვენი მიირთვეს.

შემდეგ იყო ფლანგური ჩაწოდებები კარში დარტყმებით. არველაძემ და ტყებუჩავამ თავურებზეც განსაკუთრებულად ავარჯიშეს შეგირდები. ბოლოს კი იყო კენწვლა და გაჭიმვ-გაწელვები.

ვარჯიშზე კუნთი ასტკივდა თენგიზ უგრეხელიძეს (ნივა, უკრაინა), დაშავებულია ვიტელი მცველი ალექსანდრე ინწკირველიც, რომლებმაც ვარჯიშის ბოლოს ერთად იძუნძულეს.

ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული გახლდათ დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილი, თუმცა ეს მცველი ოცდაერთწამდელებს ჩივაძემ წაჰგვარა ეროვნულისთვის, მაგრამ არაა გამორიცხული, ხიზანეიშვილმა ახალგაზრდულში ითამაშოს. იმის ალბათობაცაა, რომ ჩივაძემ ალეკო ამისულაშვილი დაუთმოს არველაძეს.

დღეს ახალგაზრდული ნაკრები თბილისის „დინამოს" გაეჯიბრება. საკონტროლო მატჩი იმავ „ოლიმპის" მოედანზე უნდა მოეწყოს, მაგრამ გააჩნია, რა ამინდი იქნება და ნაყიდ აქანდაზებს დაქირავებულ მუშებს მიაყოლებს თუ არა ფედერაცია.

დავით თავართქილაძე



მურაზ დუმბაძის ფოტო

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცობას წინ დაძაბული დღეები ელის

საქართველოს 14 ჩემპიონატი

მეორე ლიგა

მეორე წრე

## 17 ტური

ხობი 0:1 მცხეთა

სამტრედია 1:2 ქობულეთი

ცხინვალი 1:2 ალაზანი

ჭაბუკთა ნაკრები 1:2 ლაზიკა

ლოკომოტივი 2 5:0 გურია

თსუ 2:1 სპარტაკი

სამგურალი 2:1 მერცხალი

ივერია 1:2 დინამო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 17 | 11 | 5 | 1 | 40:17 | 38 |
| მერცხალი | 17 | 10 | 4 | 3 | 27:11 | 34 |
| დინამო 2 | 17 | 9 | 3 | 5 | 24:15 | 30 |
| მცხეთა | 17 | 8 | 5 | 4 | 25:14 | 29 |
| ლოკომოტივი 2 | 17 | 7 | 6 | 4 | 22:11 | 27 |
| ცხინვალი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:15 | 26 |
| სამგურალი | 17 | 7 | 5 | 5 | 19:16 | 26 |
| ქობულეთი | 17 | 8 | 1 | 8 | 12:17 | 25 |
| თსუ | 17 | 7 | 4 | 6 | 13:15 | 25 |
| ივერია | 17 | 7 | 3 | 7 | 22:22 | 24 |
| სპარტაკი | 17 | 6 | 4 | 7 | 18:18 | 22 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 17 | 6 | 3 | 8 | 23:20 | 21 |
| გურია | 17 | 4 | 4 | 9 | 12:29 | 16 |
| ხობი | 17 | 3 | 4 | 10 | 9:23 | 13 |
| სამტრედია | 17 | 3 | 2 | 12 | 13:32 | 11 |
| ალაზანი | 17 | 2 | 4 | 11 | 14:41 | 10 |

# იმედის იმედი

**გოლი და** ორი საგოლე პასი — ასეთია ალექსანდრე იაშვილის მონაგარი მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში. „ფრაიბურგმა“ შინ „ობერჰაუზენი“ 5:2 მიანგრია და ამაში ლომის წილი იაშვილმა დაიდო. რიგიანად იბურთავა ლევან კობიაშვილმაც. სწორედ მისი პასით გაიტანა „იაშკამ“ პირველი გოლი ამ სეზონში. ახლა მცირე ჩავარდნის შემდეგ თვალებში გამოხედილი „ფრაიბურგი“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და კვლავაც ჩინებული შანსი აქვს ელიტაში ალსაზევებლად.

სეზონის პირველი გოლი გაიტანა გია იმედაძემაც. „ქოჯაელისფორმა“ მოულოდნელად სტუმრად დაამარცხა „გიოზთეფე“. ზაზა ჯანაშიას მაგივრად შეცვლაზე შესულმა გია იმედაძემ 11 წუთში გაახარა თავისიანები და გულშემატკივრებს სუპერლიგაში ადგილის შენარჩუნების იმედი ჩაუსახა. იმედი — სწორედ ასე ითარგმნება ქართულად „ქოჯაელისფორის“ თავკაცის გიუვენჩ ქურთარის სახელიც.

ასევე სენსაციური გამარჯვება იზეიმა ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ“. ოსებმა მოსკოვში „სპარტაკი“ 2:1 დაამარცხეს. მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურმა მიხეილ აშვეთიამ საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

დანარჩენთაგან მალხაზ ასათიანს გამოვარჩევთ. არა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს რუსულ პრემიერლიგაში თამაში ჯერაც არ ღირსებია. მან სარეზერვოებში იყოჩაღა — სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ 56-ე წუთზე გაუტანა გოლი. რკინიგზელებმა ამ მატჩში 4:0 იმარჯვეს.

შოტლანდიაში ასოციაციის თასის მეოთხედფინალში შოთა არველაძეს შეეძლო „რეინჯერსისთვის“ მომდევნო ეტაპის საგზურის დაბევება, მაგრამ კარგი მომენტი გაანიავა. აი, რა გვითხრა შოთა არველაძემ, როცა გუშინ გლაზგოში შევეხმიანეთ:

— საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს კონტერმანმა უხეიროდ შეუშვირა თავი, ბურთი მოულოდნელად ჩემსკენ წამოვიდა, დავიხარე და თავით დავარტყი. უნდა გამეტანა, მაგრამ ავაცდინე მიზანს. რაც შეეხება ჯანმრთელობას, კუნთი ოდნავ გამაგრებული კი მაქვს, მაგრამ ნაკრების თამაშებისთვის ალბათ მზად ვიქნები.

უკრაინაში გოლის გემო გაიხსენა შალვა აფხაზავამ. იქაური ჩემპიონატის მეორე წრეში „არსენალმა“ პირველად მოიგო და ამას ნერვებიც გვარიანად შეალია. დედაქალაქელებმა მხოლოდ 84-ე წუთზე გატეხეს „კარპატი“ ჩვენებურის შედეგიანი გასროლილით. სადღეისოდ შალვა აფხაზავა თერთმეტი გოლით ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა.

ამავე ტურში კიდევ ერთი ქართველი „გამოირჩა“. კრივბასელი ზურაბ ფოფხაძე უხეში თამაშისთვის მსაჯმა 65-ე წუთზე გააძევა მოედნიდან.

ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგმა“ კი 2:1 დაამარცხა „ვოლინი“. ქართველები ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, თუმც დემეტრაძე 73-ე წუთზე შეცვალეს.

**ძახა შალამბერიძე**



**ალექსანდრე იაშვილმა გოლი გაიხსენა**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | იუვენტუსი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 22 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ობერჰაუზენი 5:2 | 90 | 1 გოლი, 2 საგოლე პასი | 16 | 1 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ობერჰაუზენი 5:2 | 90 | საგოლე პასი | 25 | 9 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ობერჰაუზენი 5:2 | 90 | | 24 | 2 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ობერჰაუზენი 5:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ვალდჰოფი 5:0 | 0 | | 2 | 0 | 7 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ბაბელსბერგი 2:0 | 88 | შეცვალეს | 18 | 5 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | ს | ვეენი 0:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 1 | 1 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | უენსდი 0:2 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 22 | 3 | 20 |
| **შოტლანდია. ასოციაციის თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანფერმლაინი 1:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ფოლკირკი 1:1 | 90 | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ფოლკირკი 1:1 | 90 | | | | |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | აიაქსი 2:0 | 0 | | 8 | 1 | 1 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი 0:1 | 90 | | 20 | 3 | 4 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | კრინსი 2:1 | 75 | შეცვალეს | 17 | 3 | 5 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვოლენი | შ | კონკორდია გადაიდო | | | 2 | 1 | 5 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | დაინცე 1:2 | 90 | | 17 | 0 | 17 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ზენიტი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | სპარტაკ-ალანია 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 13 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | სპარტაკ-ალანია 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | ს | სპარტაკი 2:1 | 90 | საგოლე პასი | 2 | 0 | 7 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | სპარტაკი 2:1 | 90 | | 2 | 0 | 7 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ტორ-მეტალურგი 1:0 | 68 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 8 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ტორ-მეტალურგი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 8 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ტორ-მეტალურგი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 8 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | ურალანი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 11 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | სატურნი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | სატურნი 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 15 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტორ-მეტალურგი | ს | რუბინი 0:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 1 | 0 | 14 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ვოლინი 2:1 | 90 | | 11 | 2 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ვოლინი 2:1 | 73 | შეცვალეს | 3 | 1 | 5 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | კარპატი 2:1 | 90 | 1 გოლი | 17 | 11 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | პოლიგრაფტეხნიკა 0:0 | 65 | გააძევეს | 10 | 0 | 11 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | პოლიგრაფტეხნიკა 0:0 | 90 | | 3 | 0 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | მეტალისტი 0:1 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 7 | 9 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | მეტალისტი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 9 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | მეტალისტი 0:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 9 |
| ნიკა ტოგონიძე | ტავრია | ს | მეტალისტი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დნიპრო 0:1 | 90 | | 10 | 2 | 14 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | ს | გიოზთეფე 2:1 | 38 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 3 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | გიოზთეფე 2:1 | 90 | | 7 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | ს | გიოზთეფე 2:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 4 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | ს | გიოზთეფე 2:1 | 52 | შეცვალეს | 3 | 0 | 18 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ნაფტექსი 1:1 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 6 | 9 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ლევსკი 0:3 | 70 | შეცვალეს | 3 | 0 | 12 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | კომპეშტი 3:2 | 0 | | 12 | 1 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ვისლა 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 9 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | ს | ოსტროვეცი 2:0 | 0 | | 2 | 0 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ომონია 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 18 | 5 | 3 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | პაფოსი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 2 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | შ | პარალიმნი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 0 | 12 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ნეა სალამინა 0:0 | 90 | | 7 | 2 | 10 |
| **მოლდოვა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | ნისტრუ 4:0 | 90 | გააფრთხილეს | ? | 1 | 1 |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | ს | პოლიტეხნიკა 1:0 | 90 | | ? | 5 | 2 |
| ავთანდილ ფოფხაძე | აგრო | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 6 |
| **მალტა. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| გრიგოლ გვაზავა | ფლორიანა | შ | მარსალკოკსი 2:0 | 88 | შეცვალეს | | | |
| კახა ახალაძე | ფლორიანა | შ | მარსალკოკსი 2:0 | 0 | | | | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# 1910–2003?
# დანდი ქართველებს თასისთვის ამზადებს

**როცა** ამ სტრიქონებს ჩაიკითხავთ, ბრიტანეთში მოთამაშე ქართველები — ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე და შოთა არველაძე უკვე თბილისში იქნებიან. ისინი საქართველოს ნაკრებს დღესვე შეუერთდებიან და ხიზანიშვილის გარდა ირლანდიასთან 29 მარტის შესარჩევი მატჩისთვის მოემზადებიან.

იქამდე კი ნემსაძისა და ხიზანიშვილის „დანდის“ დიდი შანსი მიეცა, 1964 წლის შემდეგ პირველად ითამაშოს ქვეყნის უმთავრეს, ასოციაციის თასის ფინალში. „დანდი“ ჯერ მეოთხედფინალისტად ითვლება, თუმც შოტლანდიური პრემიერლიგისა და პირველი დივიზიონის გუნდებს შორის შესამჩნევ სხვაობას თუ გავითვალისწინებთ, სულ იოლი შესაძლებელია, ჩვენებურთა გუნდი ბოლოს „რეინჯერსთან“ ერთად თასის კანდიდატად ჩავთვალოთ, თასისა, რომელიც „დანდის“ პირველად და უკანასკნელად 1910 წელს მოუპოვებია.

წინა უქმეებზე „დანდი“ „ფოლკირკს“ ნახევარფინალის საგზურისთვის ესტუმრა. როგორც ჩვენი შოტლანდიელი კოლეგები წერენ, მთელი მატჩი დანდელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, ჩვენებმა სრულად ითამაშეს. საბოლოოდ კი მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ამ წყვილის შორის გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი მატჩი დაინიშნა. ოღონდ უკვე „დანდის“ „დენს პარკზე“ და ედინბურგელებს გამარჯვების შანსი გაუათმაგდათ. „ფოლკირკის“ ძლევის შემთხვევაში კი „დანდის“ ნახევარფინალში ასევე პირველი დივიზიონის „ინვერნესი“ დაუხვდება, რომელმაც სენსაციურად მეორე შოტლანდიური გრანდი, „სელტიკი“ 1:0 დაამარცხა. „ინვერნესსა“ და „დანდი“ — „ფოლკირკის“ წყვილის გამარჯვებულის ნახევარფინალი 19 ან 20 აპრილს შედგება. მეორე ნახევარფინალი „მოზერუელი“ — „რეინჯერსი“ იქნება.

— ჯერ ადრეა ასოციაციის თასის ფინალზე ლაპარაკი, წინ ორი შეხვედრა გველის, თუმც, ცხადია, თასისთვის ბრძოლის დიდი შანსი გვაქვს. ვნახოთ, „ფოლკირკს“ შინ უნდა მოვუგოთ და მერე „ინვერნესსზე“ ვიფიქრებთ. ახლა კი ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ეროვნული გუნდია, წინ მეტად რთული ორი მატჩია სათამაშო — გვითხრა თბილისში გამოსაფრენად გამზადებულმა გიორგი ნემსაძემ და ისიც დაამატა, რომ მცირე ტრავმის შემდეგ, რამაც წინა ტურში „აბერდინთან“ მატჩი გამოატოვებინა, გამოჯანმრთელდა და ნორმალურ სათამაშო ფორმაშია.

**ძობა ინასარიძე**



**გიორგი ნემსაძე (მარჯვნივ) შოტლანდიაში ირლანდიაზე ფიქრობს**

# შვიდი ტური და მთელი სიცოცხლე



REUTERS

მანჩესტერი — ფულემი. დევიდ ბექემმა ტლინკები ჰყარა

**პრემიერლიგის** დასრულებამდე შვიდი ტურილა რჩება, „არსენალი" კი კვლავაც ინარჩუნებს ორქულიან სხვაობას „მანჩესტერთან", იმის მიუხედავად, რომ ამ უქმეებამდე სრულიად კოშმარული კვირა განვლო და ორჯერ ზედიზედ დამარცხდა, ჩემპიონატშიც და ევროპაშიც, რაც ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნადაც დაუჯდა.

შაბათ საღამოს „არსენალი" ლიდერი აღარ იყო, რადგან „მანჩესტერმა" რუუდ ვან ნისტელროის ჰეთ თრიქით 3:0 მოუგო „ფულემს". ეს იყო ჰოლანდიელის პირველი ჰეთ თრიქი ამ სეზონში, ხოლო მეორე გატანილი გოლი მართლაც რომ ზღაპრული გამოვიდა: რუუდმა ნახევარი მოედანი გადაიარა ბურთით, და როცა თითქოს გაექცა ბურთი, მაშინ შეცვალა ფეხი და შორ კუთხეში ჩააცურა ბურთი.

„მღელვარე ჟამი დგება. ყოველ გოლს ფასი აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ საჩემპიონო ბრძოლაში „ნიუკასლიც" ჩაერთოს", თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა.

ვან ნისტელროის მაინც დაუწუნეს გოლი, როცა თავისი ნახევრიდან ბურთი მოჰქონდა, სილვიან ლეგვინსკის იდაყვი ჩაარტყაო. თავდამსხმელმა ალალად განმარტა, ეგებ ასეც იყო, არ მახსოვსო.

„მეთოფენი" კი მასპინძლობდნენ „ევერტონს", რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და რომელმაც პირველ წრეში, მაშინ 16 წლის უეინ რუინის გოლით 30-თამაშიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. „არსენალს" მძიმე ტვირთად აწვა გასული კვირის განწყობა, თუმცა, უპირატესობას ფლობდა, რაც პასკალ სიგანის თავური გოლით გამოიხატა. მეორე ტაიმის დასაწყისში უეინ რუნიმ საუცხოო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, თუმცა, ათიოდ წუთში პატრიკ ვიეირამ მაინც შეჩხირა ბურთი სტუმართა კარში. ვიეირა რომ კარის წინ იბრძვის, იქ ჯარიმის სუნიც ტრიალებს, ოღონდ მსაჯს ეს სუნი არ შეუყნოსია, „ევერტონმა" კი ველარ გაათანაბრა. გამარჯვების გოლის ავტორმა თქვა: „მძიმე თამაში იყო. აუცილებელი მოგების ტვირთი მაინც ავწიეთ".

ამ მარცხით კი „ევერტონი" მეექვსე ადგილამდე ჩაქვეითდა, რადგან მარადმა მტერმა „ლივერპულმა" „ლიდსს" 3:1 მოუგო. ლიდსელთა სათავეში პირველად იდგა „სანდერლენდის" ყოფილი თავკაცი პიტერ რიდი, თუმცა, ამან ვერ შეწყვიტა იორკშირელთა ზედიზედ მარცხების სერია და თუ ასე გაგრძელდა, „ლიდსი" გავარდნის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდება, რადგან ცხრილის ქვედა საფეხურებზე უკვე იგებენ „ვესტ ჰემი" და „ბირმინგემი", რომელმაც ჯეფ ჰორსფილდის გვიანი გოლით „ვესტ ბრომვიჩს" სძლია. „ლიდსმა" არა და მისმა ახლო მეზობელმა „ასტონ ვილამ" კი შეწყვიტა ზედიზედ წაგებების სერია საუთჰემპტონში, სადაც ორი ბურთით იგებდა და სულ ბოლო წამზე დაკარგა ორი ქულა.

მესამე ადგილზე მყოფმა „ნიუკასლმა" შინ 5:1 მოუგო წინა კვირის გმირ „ბლექბერნს", თუმცა, ანგარიში ვერ ასახავს თამაშის ნამდვილ მიმდინარეობას. ამ შეხვედრაში ერთ საათს ფრე იყო, ხოლო ლორან რობერის დამაწინაურებელმა გოლმა იმდენად მოათქმევინა სული ნიუკასლელებს, რომ ბოლო ხუთ წუთში სტუმრები სამი გოლით დაამშათა. შეხვედრა იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ალან შირერს გოლი არ გაუტანია.

სერ ბობი რობსონი ცხადია, კმაყოფილი იყო: შვიდი ტური დარჩა, ეს 21 ქულაა და „მანჩესტერს" შინ ვხვდებით". ბლექბერნელთაგან კი ბრაზობდა დუაიტ იორკი, რომელიც მენეჯერმა მაშინ შეცვალა ენდი კოულით, როცა „ნიუკასლი" 2:1-ზე დაწინაურდა.

ხუთი გოლი გაუტანა „მანჩესტერ სიტის" „ჩელსიმაც" და სეზონში ყველაზე უხვგოლიანი გამარჯვებით მეოთხე ადგილზე მომაგრდა. განადგურებული „სიტის" კარში მომჯობინებული პიტერ შმაიხელი იდგა, მენეჯერი კევინ კიგანი კი ისეთი შეურაცხყოფილი ჩანდა, რომ შეგეცოდებოდათ: „მედიას იმას არ ვეტყვი, რაც ფეხბურთელებს ვუთხარი. ეს კაცური არ იქნება. უბრალოდ, ჩვენი მგზავრობა ფული დაჯდა და რისთვის ჩამოვედით?"

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXI ტური

**არსენალი 2:1 ევერტონი**

1:0 სიგანი (8), 1:1 რუნი (56), 2:1 ვიეირა (64)
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, ს. კემპბელი, სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი (პარლოუ 68), ანრი, ბერხკამპი (კ. ტურე 86)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ევერტონი: რ. რაიტი, იობო, სტაბსი, ვეირი, ანსუორთი, უოტსონი (დ. ფერგიუსონი 79), პემბრიჯი, ტიე (ჯემილი 73), გრავესენი, რუნი, კ. კემპბელი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ლორენი, ანრი, ტიე
მსაჯი: ვაილი
38 042 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:0 ფულემი**

1:0, 2:0, 3:0 ვან ნისტელროი (45პ, 68, 90)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, ოში, ბექემი, ბატი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ფულემი: მაიკ ტეილორი, უადუ, ნაითი, მელვილი, ჰარლი, მალბრანკი, ლეგვინსკი, ბოა მორტე, ჯეტუ, მარლე, საჰა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ნევილი, ფერდინანდი, მელვილი
მსაჯი: ბენეტი
67 706 მაყურებელი

**ნიუკასლი 5:1 ბლექბერნი**

1:0 სოლანო (24), 1:1 დაფი (54), 2:1 რობერი (61), 3:1 ჯენასი (85), 4:1 გრეშკო (89ს.კ.), 5:1 ბელამი (90)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ვუდგეიტი, ბრემბლი, ა. ჰიუზი, სოლანო (ჯენასი 65), დაიერი, სპიდი, რობერი (ვიანა 77), შირერი (ამეობი 86), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბლექბერნი: ფრიდელი, მარტინ ტეილორი, ბერგი, შორტი, გრეშკო, გილესპი (დ. დანი 46), ფლიტკროფტი, თუგაი (გრაბი 70), დაფი, ჰ. შუქური, იორკი (ენდი კოული 63)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ბრემბლი, გრეშკო
მსაჯი: ბერი
52 106 მაყურებელი

**ჩელსი 5:0 სიტი**

1:0 ჰასელბაინკი (37), 2:0 ტერი (43), 3:0 სტანიჩი (58), 4:0 ლამპარდი (69), 5:0 გალასი (79)
ჩელსი: კუდიჩინი, სტანიჩი, მელხიოტი, ტერი, გალასი, ლე სო (ზენდენი 55), ლამპარდი, ჯ. მორისი, ძოლა (დე ლუკასი 65), ჰასელბაინკი (კ. კოული 62), გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
სიტი: შმაიხელი, რაიტ-ფილიპსი (ჟიხაი 63), ვიკენსი, დისტინი, სომეილი, ნ. იენსენი, ჰორლოკი (ბელმადი 57), ფოე, ბენარბია, ანელკა, ფაულერი (გოტერი 46)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ტერი, ბენარბია, ჟიხაი, ჟიხაი
გაძევება: ჟიხაი (90)
მსაჯი: დოუდი
41 105 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ლიდსი**

1:0 ოუენი (12), 2:0 მერფი (20), 2:1 ვიდუკა (44), 3:1 ჯერარდი (73)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, რიისე, დიუფი, ჰამანი (დიაო 78), ჯერარდი, დენი მერფი, ოუენი, ჰესკი (ბაროში 78)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, ლუკიჩი, რადებე, რაულ ბრავო (ჰარტი 46), ბარმბი (მილნერი 46), ბაკე, ოკონი (მაკმასტერი 78), უილკოქსი, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბაკე
მსაჯი: დურსო
43 021 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:2 ასტონ ვილა**

0:1 ჰენდრი (30), 0:2 ვასელი (36), 1:2 ბიტი (40), 2:2 დევისი (90)
საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი (კ. დევისი 81), ოკლი, ტესემი (ჰიგინბოთემი 46), პრატონი (ბაირდი 86), ბიტი, ორმეროდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ასტონ ვილა: პოსტმა, ჯ. სამუელი, იონსენი, მელბერგი, ა. რაიტი, მ. ჰაჯი, ლ. ჰენდრი (გ. მური 87), ჰიცლსპერგერი, ბერი, ვასელი, კრუში (ოლბოკი 70)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ბერი
მსაჯი: ბარბერი
31 888 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ჩარლტონი**

0:1 იოჰანსონი (26), 1:1 კრისტი (57)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, დევიდ მერფი (კედრუ 46), გრინინგი, ბოატენგი, ჯერემი, ჟუნინიო პაულისტა, კრისტი (ნემეტი 77), მაკარონე (რიკეტსი 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ჩარლტონი: დ. კელი, კიშიშევი, რუფუსი, ფიში, ფორტუნი, კონჩესკი, კ. იენსენი (იანგი 76), გ. სტიუარტი (კ. პაუელი 42), იუელი, ჯ. იოჰანსონი (ბარტლეტი 86), ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: რიკეტსი, რუფუსი, ლისბი
მსაჯი: დინი
29 080 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:0 სანდერლენდი**

1:0 დეფო (24), 2:0 კანო (65)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მ. ჯონსონი, რეეპკა, ი. პირსი, ბრევეტი, ტ. სინკლერი, კარიკი, ლომასი (ჰაჩისონი 87), ჯ. კოული (ესისე 84), ლ. ფერდინანდი (კანო 46), დეფო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, ელ კარკური, ბიორკლუნდი, მაკკარტნი (პროქტორი 64), ბატლერი (მ. სტიუარტი 80), ტორნტონი, კილბეინი, გრეი, ფილიპსი, ფლო (კაილი 57)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
გაფრთხილება: ჯონსონი
მსაჯი: სტაილზი
35 033 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ჰორსფილდი (90)
ბირმინგემი: ბენეტი, კუნა (კარტერი 63), კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი (ჯონი 79), მორისონი (ჰორსფილდი 56), დევლინი, დიუგარი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, კლემენტი, უოლვორკი, გრეგანი, სიგურდსონი, ბალიში, უდეზე, მაკინესი, კუმასი (მაქს ჰიუზი 86), რობერტსი, დიჩიო
მწვრთნელი: გარი მეგსონი
მსაჯი: დარკინი
29 449 მაყურებელი

**ბოლტონი — ტოტენჰემი**

*წუხელ გვიან ადმთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 31 | 20 | 6 | 5 | 66:33 | 33 | 66 | 16 | 14 | 1 | 1 | 37:14 | 23 | 43 | 15 | 6 | 5 | 4 | 29:19 | 10 | 23 |
| 2 მანჩესტერი | 31 | 19 | 7 | 5 | 51:27 | 24 | 64 | 16 | 13 | 2 | 1 | 31:10 | 21 | 41 | 15 | 6 | 5 | 4 | 20:17 | 3 | 23 |
| 3 ნიუკასლი | 31 | 19 | 4 | 8 | 54:35 | 19 | 61 | 16 | 14 | 1 | 1 | 32:10 | 22 | 43 | 15 | 5 | 3 | 7 | 22:25 | -3 | 18 |
| 4 ჩელსი | 31 | 15 | 9 | 7 | 57:31 | 26 | 54 | 15 | 9 | 4 | 2 | 33:12 | 21 | 31 | 16 | 6 | 5 | 5 | 24:19 | 5 | 23 |
| 5 ლივერპული | 31 | 14 | 10 | 7 | 47:31 | 16 | 52 | 16 | 7 | 8 | 1 | 25:13 | 12 | 29 | 15 | 7 | 2 | 6 | 22:18 | 4 | 23 |
| 6 ევერტონი | 31 | 14 | 8 | 9 | 39:36 | 3 | 50 | 15 | 9 | 5 | 1 | 22:13 | 9 | 32 | 16 | 5 | 3 | 8 | 17:23 | -6 | 18 |
| 7 ჩარლტონი | 31 | 13 | 7 | 11 | 40:39 | 1 | 46 | 15 | 7 | 3 | 5 | 23:20 | 3 | 24 | 16 | 6 | 4 | 6 | 17:19 | -2 | 22 |
| 8 ბლექბერნი | 31 | 12 | 10 | 9 | 38:37 | 1 | 46 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:14 | 8 | 29 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:23 | -7 | 17 |
| 9 საუთჰემპტონი | 31 | 11 | 11 | 9 | 34:32 | 2 | 44 | 16 | 8 | 6 | 2 | 21:13 | 8 | 30 | 15 | 3 | 5 | 7 | 13:19 | -6 | 14 |
| 10 ტოტენჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 43:43 | 0 | 43 | 15 | 8 | 4 | 3 | 28:20 | 8 | 28 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:23 | -8 | 15 |
| 11 მიდლსბრო | 31 | 11 | 9 | 11 | 39:35 | 4 | 42 | 16 | 8 | 7 | 1 | 28:18 | 10 | 31 | 15 | 3 | 2 | 10 | 11:17 | -6 | 11 |
| 12 სიტი | 31 | 12 | 5 | 14 | 40:49 | -9 | 41 | 15 | 8 | 1 | 6 | 25:24 | 1 | 25 | 16 | 4 | 4 | 8 | 15:25 | -10 | 16 |
| 13 ფულემი | 31 | 10 | 8 | 13 | 35:40 | -5 | 38 | 16 | 9 | 3 | 4 | 22:13 | 9 | 30 | 15 | 1 | 5 | 9 | 13:27 | -14 | 8 |
| 14 ასტონ ვილა | 31 | 10 | 6 | 15 | 33:37 | -4 | 36 | 16 | 9 | 1 | 6 | 21:12 | 9 | 28 | 15 | 1 | 5 | 9 | 12:25 | -13 | 8 |
| 15 ბირმინგემი | 31 | 9 | 8 | 14 | 28:41 | -13 | 35 | 15 | 5 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 19 | 16 | 4 | 4 | 8 | 13:22 | -9 | 16 |
| 16 ლიდსი | 31 | 10 | 4 | 17 | 38:45 | -7 | 34 | 15 | 5 | 2 | 8 | 16:20 | -4 | 17 | 16 | 5 | 2 | 9 | 22:25 | -3 | 17 |
| 17 ვესტ ჰემი | 31 | 7 | 9 | 15 | 34:53 | -19 | 30 | 16 | 3 | 6 | 7 | 17:22 | -5 | 15 | 15 | 4 | 3 | 8 | 17:31 | -14 | 15 |
| 18 ბოლტონი | 30 | 6 | 11 | 13 | 32:47 | -15 | 29 | 14 | 3 | 7 | 4 | 18:21 | -3 | 16 | 16 | 3 | 4 | 9 | 14:26 | -12 | 13 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 6 | 20 | 21:47 | -26 | 21 | 15 | 3 | 4 | 8 | 12:21 | -9 | 13 | 16 | 2 | 2 | 12 | 9:26 | -17 | 8 |
| 20 სანდერლენდი | 31 | 4 | 7 | 20 | 19:50 | -31 | 19 | 15 | 3 | 2 | 10 | 9:22 | -13 | 11 | 16 | 1 | 5 | 10 | 10:28 | -18 | 8 |

**XXXII ტური**

5 აპრილი

ასტონ ვილა — არსენალი
ტოტენჰემი — ბირმინგემი
ბოლტონი — მანჩესტერ სიტი
ჩარლტონი — ლიდსი
ფულემი — ბლექბერნი
მანჩესტერი — ლივერპული
მიდლსბრო — ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი
სანდერლენდი — ჩელსი
ევერტონი — ნიუკასლი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 20 |
| ანრი (არსენალი) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 15 |
| ოუენი (ლივერპული) | 13 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 12 |
| ძოლა (ჩელსი) | 12 |

## პირველი დივიზიონი

### XXXIX ტური

**შეფილდ იუნ. 2:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ტონგი (18), 2:0 კაბა (55)
დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი (ძინძლაძე 72), ელიოტი, ბოერტიენი, ჰანტი, მილსი (ჯექსონი 27), ლი, ჩედვიკი, მიურეი, ბოლდერი, მაკლეოდი (რობინსონი 58)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
18 401 მაყურებელი

**ბრედფორდი 0:1 რედინგი**

0:1 ფორსტერი (66)

**ბარნლი 1:1 გრიმსბი**

0:1 კემპბელი (43), 1:1 მური (52)

**ქოვენთრი 1:2 ლესტერი**

0:1 მაკინლი (48), 0:2 სკოუკროფტი (68), 1:2 იანსენი (71)

**კრისტალ პალასი 2:0 უოლსოლი**

1:0 ფრიდმენი (33), 2:0 რუტლეჯი (89)

**იფსვიჩი 2:2 ბრაიტონი**

1:0 მ. ბენტი (20), 1:1 მარშალი (66ს.კ.), 1:2 რუჟე (81), 2:2 როიზერი (85)

**მილუოლი 3:0 შეფილდ უენსდი**

1:0, 2:0 რიდი (42, 45), 3:0 აიფილი (54)

**ნოტინგემი 4:0 ნორვიჩი**

1:0 ჰაკერბი (11), 2:0 ჰერვუდი (22), 3:0 უილიამსი (56), 4:0 ბრენანი (82)

**პრესტონი 1:1 პორტსმუთი**

0:1 აიეგბენი (5), 1:1 მაკკენა (89)

**როტერჰემი 2:1 უიმბლდონი**

1:0 რობინსი (19), 2:0 ბრენსტონი (48), 2:1 კონოლი (89)

**უოტფორდი 1:2 სტოკი**

0:1, 0:2 ჰუქსტრა (34პ, 49), 1:2 ჰელგუსონი (67)

**ვულვერჰემპტონი 6:0 ჯილინგემი**

1:0 ბლეიკი (16), 2:0 კამერონი (22), 3:0, 4:0 კენედი (37, 45), 5:0, 6:0 მილერი (45, 48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 39 | 24 | 11 | 4 | 82:37 | 83 |
| ლესტერი | 39 | 23 | 11 | 5 | 64:35 | 80 |
| შეფილდი | 37 | 20 | 8 | 9 | 59:39 | 68 |
| რედინგი | 39 | 21 | 4 | 14 | 49:38 | 67 |
| ნოტინგემი | 38 | 18 | 11 | 9 | 69:37 | 65 |
| ვულვზი | 39 | 17 | 12 | 10 | 68:38 | 63 |
| იფსვიჩი | 39 | 15 | 13 | 11 | 61:49 | 58 |
| ნორვიჩი | 38 | 15 | 10 | 13 | 50:41 | 55 |
| უიმბლდონი | 38 | 14 | 11 | 13 | 63:62 | 53 |
| ჯილინგემი | 38 | 14 | 11 | 13 | 50:56 | 53 |
| როტერჰემი | 39 | 14 | 10 | 15 | 55:53 | 52 |
| პრესტონი | 38 | 13 | 12 | 13 | 60:57 | 51 |
| კრ. პალასი | 38 | 12 | 14 | 12 | 49:43 | 50 |
| მილუოლი | 39 | 14 | 8 | 17 | 45:59 | 50 |
| ბარნლი | 37 | 13 | 10 | 14 | 54:66 | 49 |
| ქოვენთრი | 39 | 12 | 11 | 16 | 42:52 | 47 |
| უოტფორდი | 39 | 13 | 8 | 18 | 40:57 | 47 |
| ბრედფორდი | 38 | 12 | 10 | 16 | 45:58 | 46 |
| უოლსოლი | 38 | 12 | 7 | 19 | 49:61 | 43 |
| დერბი | 39 | 12 | 7 | 20 | 46:62 | 43 |
| სტოკი | 39 | 8 | 13 | 18 | 38:64 | 37 |
| გრიმსბი | 39 | 9 | 10 | 20 | 44:73 | 37 |
| ბრაიტონი | 39 | 9 | 9 | 21 | 40:59 | 36 |
| უენსდი | 39 | 6 | 13 | 20 | 38:64 | 31 |

## მეორე დივიზიონი

39-ე ტური: კარდიფი — მენსფილდი 1:0; ბარნსლი — კოლჩესტერი 1:1; ჩესტერფილდი — უიკომბი 4:0; ჰადერსფილდი — ბრისტოლი 1:2; ლუტონი — ქრიუ 0:4; ნორთჰემპტონი — ოლდემი 0:2; პიტერბრო — ტრანმერი 0:0; პლიმუთი — ბრენტფორდი 3:0; პორტ ვეილი — ჩელტენემი 1:2; ქუინზ პარკი — უიგანი 0:1; სტოკპორტი — ბლეკპული 2:2; სუინდონი — ნოტსი 5:0

## მესამე დივიზიონი

39-ე ტური: ბოსტონი — რაშდენი 1:1; ბორნმუთი — ტორკი 1:1; როჩერსი — ჰარტლპული 1:0; ბერი — ლინკოლნი 2:0; კარლაილი — კემბრიჯი 0:1; ექსეტერი — როჩდეილი 1:1; ჰალი — შრიუსბერი 2:0; კიდერმინსტერი — სუონსი 2:2; ოქსფორდი — მაკლსფილდი 0:1; სკანთორპი — დარლინგტონი 0:1; საუთენდი — ლეიტონი 1:0; რექსემი — იორკი 1:1

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXVI ტური

**ბაიერნი 1:0 ჰანზა**

1:0 კოვარი (60ს.კ.)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ნ. კოვაჩი, შვაინსტაიგერი (სანტა კრუზი 46), ზე რობერტო, ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ჰანზა: შობერი, კოვარი, იაკობსონი, ჰილი, ჰირში, ლანცი (არვიდსონი 76), პერსონი, ვიბრანი, მეგლე (ჰრიკა 76), დი სალვო, სალუ
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
მსაჯი: ვაგნერი
43 000 მაყურებელი

**არმინია 0:0 დორტმუნდი**

არმინია: ჰაინი, ჰანსენი, რაინჰარდტი, ბორგესი (ლენსე 88), კაუფი, დაბროვსკი, დამაიერი, ვატა (ჰაინცი 78), ბრინკმანი (ჩა 78), დიაბანგი, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მადუნი, ევანილსონი, მეცელდერი, ფრინგსი, კელი, რიკენი, როსიცკი (ოდონკორი 85), ამოროზო (ევერტონი 65), კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: დამაიერი, კელი, მეცელდერი, ევანილსონი
მსაჯი: კემლინგი
26 601 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:2 ნიურნბერგი**

0:1 იაროლიმი (28), 0:2 ჟუნიორი (88)
*მიხალკემ ვერ გაიტანა პენალტი (26, მეკარე)*
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, მეირა (ვენცელი 46), ბორდონი, გერბერი, სოლდო, გლები, მაისნერი (ტიფერტი 46), ბალაკოვი, განია (ამანატიდისი 46), კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ნიურნბერგი: კამპა, პასლაკი (შტელე 62), კოში, ნიკლი, ვოლფი, ლარსენი, ჟუნიორი, ლ. მიულერი, იაროლიმი (ფრაი 77), კაკაუ, მიხალკე (კრჟინოვეკი 69)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: სოლდო, ბალაკოვი, ლარსენი, პასლაკი, ჟუნიორი
მსაჯი: კრუგი
35 000 მაყურებელი

**შალკე 1:1 მიუნხენი**

1:0 მპენზა (38), 1:1 ვან ჰოოგდალემი (44ს.კ.)
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, ვერმანტი (ვილმოტსი 69), კმეტჩი (მიოლერი 86), ასამოა, ბიომე, აგალი, სანდი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი, ვოტავა, როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი (კურცი 77), რ. მაიერი, ჩერნი, ვიზინგერი (გიორლიცი 84), ვაისენბერგერი (მაქსი 66), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ასამოა, ჰოფმანი, ვიზინგერი
მსაჯი: კოოპი
60 688 მაყურებელი

**ჰერტა 3:1 კოტბუსი**

0:1 ვაგნერი (10), 1:1 დარდაი (72), 2:1 ალვეში (85), 3:1 პრეეცი (86)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, მარქსი (გოორი 58), დარდაი, ბაინლიხი (შმიდტი 74), მარსელინიო, პრეეცი, ლუიზაო (ალვეში 58)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი, და სილვა, ბერჰალტერი, ლიოვი, რეგეკამპფი (რინკი 89), ტ. როსტი, ლატუნდი (კობილანსკი 87), გებჰარდტი, ვაგნერი (იუნგნიკელი 77), ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: მარქსი, სიმუნიჩი, რეგეკამპფი, ტოპიჩი
მსაჯი: კირხერი
44 768 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:0 ჰამბურგი**

1:0 პლეტჩი (55), 2:0 ფორსელი (60)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტჩი, შტრასერი, ასანინი, კლუგე (შულცვინგე 70), დემო, ულიხი, კორზინეცი (ფელგენაუერი 90), კეტელაერი (ვან ჰუდტი 89), ფორსელი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, ჰერჩი (ვიკი 68), იაკობსენი, მალტრიცი, ბენჟამინი (მეიერი 68), კარდოზო (ტაკაჰარა 59), ბარბარესი, მაჰდავიკია, რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: შტრასერი, კარდოზო, იაკობსენი
მსაჯი: შტრამპე
30 550 მაყურებელი

**ვერდერი 1:2 ჰანოვერი**

1:0 აილტონი (10), 1:1, 1:2 ბობიჩი (45, 76)
*ბობიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (57, აცილა)*
ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი (რაიხი 83), ვერლაატი, კრსტაიჩი (ბარტენი 24), სტალტერი, დაუნი, ბანოვიჩი, ბოროვსკი, შულცი, აილტონი, ხარისტიასი
მწვრთნელი: თომას შაფი
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, ვან ჰინტუმი, პოპესკუ, ლალა, კრუპნიკოვიჩი (შულერი 90), შტენდელი (სტაინერი 71), იდრისუ (დე გუზმანი 84), ბობიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ბოროვსკი, ვერლაატი, პოპესკუ
მსაჯი: ფანდელი
38 000 მაყურებელი

**ლაუტერნი 1:0 ლევერკუზენი**

1:0 კლოზე (40)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ბასლერი, ჰ. რამზი, კნავსი (მ. კოხი 47), ჩატო, სფორცა, ანფანგი, ლოკვენცი, ტიმი (ტებერი 62), დომინგუში (ტ. კლოსი 73), კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ოჯიგვე, ჟივკოვიჩი, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბალიტჩი, ბაბიჩი (ფრანცა 70), ბ. შნაიდერი, ბიროფკა (ნოივილი 70), ბერბატოვი
მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი
გაფრთხილება: ანფანგი, პლასენტე, შნაიდერი
მსაჯი: ვაკი
40 160 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:0 ბოხუმი**

1:0 მარიჩი (21), 2:0 პრეგერი (31)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, შნოორი, რიტერი, რაუ, ტიამი, ვაიზერი, კარჰანი (მარპეი 74), პრეგერი, ტ. მარიჩი (კლიმოვიჩი 80), მ. პეტროვი (ს. მიულერი 66)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, ვრიზდე, ტაპალოვიჩი, მაიხელბეკი (ფაილი 46), ბემბენი (ტამი 85), გუდიონსონი, მანდრეკო, ფრაიერი, ბაკლი (ჰაშემიანი 61), კრისტიანსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: პრეგერი, შნოორი, რაუ, გუდიონსონი, ტაპალოვიჩი
მსაჯი: კესლერი
20 973 მაყურებელი

# თავი მაქვს და კლოზე მქვია

## ენდეთ აუგენტალერს – შტუტგარტი შტატივზე



REUTERS კაი ზერხლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი. მარცხნივ მასპინძელი მარკუს ანფანგია, მარჯვნივ ჰანო ბალიტჩი, ბურთი კი შუაში დარჩა

...**ტური გვქონდაო,** გერმანელებმა უნდა თქვან — თუ ფეხბურთში ხატად მოულოდნელობის ფაქტორი გაქვთ, ინსტიქტებს კარგად დაიკმაყოფილებდით.

დავიწყოთ იმით, რომ ფელიქს მაგათის ნაქებმა „შტუტგარტმა" შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ნიურნბერგთან" წააგო. კლაუს აუგენტილერის მოხსნის შესახებ კარგა ხანს ლაპარაკობდნენ, მაგრამ, როცა მწვრთნელს ბოლომდე ენდობიან, ეს წმინდა საქმეა — ამ პრინციპით იხელმძღვანელა „ნიურნბერგის" ხელმძღვანელობამ და სენსაციურ სამ ქულასაც გამოჰკრა ხელი.

ნიურნბერგელები ჩეხმა შუახაზელმა დევიდ იაროლიმმა დააწინაურა, ბოლო ლურსმანი „შტუტგარტის" კუბოში კი ბრაზილიელმა ჟუნიორმა ჩაარჭო. ბავარიელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ შტუტგარტელთა მეკარე თომას ერნსტმა იყოჩაღა — კაი მიხალკეს პენალტი აუღო.

მეფსონეები კარგად ამოაყირავა „ვერდერი" — „ჰანოვერის" წყვილმაც. არ თმობს, ძველ დროებას იხსენებს და ჰყავის ფრედი ბობიჩი — მან ორჯერ გაუტანა „მუსიკოსებს" და რა გასაკვირია, რომ რუდი ფიოლერი მას ეროვნულ ნაკრებში აბრუნებს — მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონები ამ სამი ქულით მე-13-დან სამი საფეხურით ალზევდნენ ბუნდესლიგაში. ბობიჩს კი ჰეთ ტრიქისთვისაც უნდა გამოეკრა ხელი, მაგრამ 11-მეტრიანი გააცუდა.

ბრემენელები ბრაზილიელმა გოლდამშენმა აილტონმა დააწინაურა, ხოლო ბობიჩმა გამათანაბრებელი თავურით შეაგდო, გამარჯვებისა კი კართან ახლოს მდგომმა.

ზედიზედ მეხუთე მატჩი ვერ მოიგო „შალკემ". გელზენკირხენელებს სუსტი მეტოქე როდი ჰყავდათ, მაგრამ „ხუმარები" სერიოზულად ელოდნენ გამარჯვებას — „შალკესთვის" ეს მე-12 ფრე გახლავთ.

„ხუმარები" ბელგიელმა ემილ მპენზამ დააწინაურა და ჰოლანდიელმა მარკო ვან ჰოოგდალემმა დაალალატა — მან თავის მეკარე ფრანკ როსტს მოულოდნელად უპასა და ბურთი საკუთარ კარში შეაგორა.

ავტოგოლი ჰქმნა როსტოკის „ჰანზას" მცველმა მიხელ კოვარმაც. მიუნხენის „ბაიერნს" ძალიან გაუძნელდა, კისერი მოეგრიხა როსტოკელებისთვის. ყოველ შემთხვევაში, კოვარის ავტოგოლამდე ასე იყო და თუ ამ ტურამდე „ბაიერნი" 13 ქულით უსწრებდა „დორტმუნდს", სხვაობა ვესტფალიელებთან 15 ქულამდე გაზარდა.

„დორტმუნდს" ვესტფალიური დერბი ჰქონდა ბალეფელდში იქაურ „არმინიასთან". სტუმრები უფრო ბევრს უტევდნენ, მასპინძლები კონტრშეტევებით იჩხვლიტებოდნენ და შეხვედრაც ლოგიკური ანგარიშით დასრულდა.

შტეფან ეფენბერგის გარეშე მობურთალმა „ვოლფსბურგმა" შინ „ბოხუმს" მოუგო — „მგელთა" ახალი მწვრთნელის იურგენ რიობერისთვის ეს მესამე მატჩი იყო — ორი მოგება, ერთი ფრე, ასეთია რიობერის ფოლკსვაგენური მონაგარი ამ დროისთვის.

ვოლფსბურგელი შემტევი ტომისლავ მარიჩი ბოხუმელ მიროსლავ კარაჰანს უნდა უმადლოდეს გოლის გატანას — მარიჩის შორი მანძილიდან დარტყმული კარაჰანს მოხვდა, ბურთმა მიმართულება იცვალა და ისე გაიბლანდა „ბოხუმის" კარში.

გაიხარა მწვრთნელშეცვლილმა „მიონხენგლადბახმაც". ევალდ ლინენის სპამ სუსხიანი „ჰამბურგიდან" ჩასულ ბიჭებს დაასხა რეტი, რითაც გლადბახელები ცხრილში ერთი საფეხურით ასკუპდნენ. მათმა მცველმა მარკო პლეტჩმა ახლოდან შეაგდო, მერე კი „ჩელსიდან" ნათხოვარი ფინელი ფორვარდის ჯერიც დადგა — მიკაელ ფორსელმა ლინენელების უპირატესობა გაამყარა.

შავად აქვს საქმე კოტბუსის „ენერგის". ზამთრის შესვენების შემდეგ კოტბუსელები ფხიანად კი თამაშობდნენ, მაგრამ მერე, ნელ-ნელა დაძაბუნდნენ. „კოტბუსი" ფსკერზე ლუზასავითაა ჩარჭობილი და ჯაჭვის ლონივრად დამტრიალებელი მათში ჯერ არავინ ჩანს. თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ კოტბუსელები „ჰერტას" ბერლინში 72-ე წუთამდე უგებდნენ ჩეხი რობერტ ვაგნერის ადრეული გოლით.

დედაქალაქელები მატჩზე ... პალ დარდაიმ მოიყვანა, მერე ალექს ალვეშმა და მიხაელ პრეეცმაც გაილაღეს. 35 წლის პრეეცმა ბუნდესლიგაში 83-ე გოლი შეაგდო, რითაც „ჰერტას" ოდინდელ მთავარმეგოლე ერიხ ბეერის რეკორდს მიუკაკუნა — ბეერი 70-იანი წლების გოლდამშენი გახლდათ, „ნაციონალმანშაფტშიც" რომ უთამაშია.

...ტურის მთავარი მატჩი და ქებათა ქება ერიკ გერეტსს — ამ ბელგიელმა წვეროსანმა დაჩანაკებული „კაიზერსლაუტერნის" მე-11 ადგილზე ატყორცნა. ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანელი ექსპერტები „ლაუტერნს" მე-6-7 ადგილებზე გასვლას წინასწარმეტყველებდნენ. გუნდის პოტენციის მხრივ ექსპერტთა ასეთი დასკვნა რეალური კი გახლდათ, მაგრამ თუ რა ამბები გადახდა თავს ამ კლუბს, ყველამ კარგად იცის.

მუნდიალზე ხუთი გოლის თავურებით შემგდებმა მიროსლავ კლოზემ მართლაც და გოლის გემო გაიხსენა — კლოზე ფსკვდოვარსკვლავის იარლიყს თანდათან იცილებს — მან სუპერთავურით გაუტანა „ლევერკუზენს", რამაც ძალიან წონიანი გამარჯვება მოუტანა „კაიზერსლაუტერნს".

**დავით თავართქილაძე**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 26 | 19 | 5 | 2 | 57:16 | 41 | 62 | 14 | 11 | 3 | 0 | 34:10 | 24 | 36 | 12 | 8 | 2 | 2 | 23:6 | 17 | 26 |
| 2 დორტმუნდი | 26 | 13 | 8 | 5 | 41:20 | 21 | 47 | 12 | 8 | 4 | 0 | 22:7 | 15 | 28 | 14 | 5 | 4 | 5 | 19:13 | 6 | 19 |
| 3 შტუტგარტი | 26 | 13 | 7 | 6 | 40:29 | 11 | 46 | 13 | 7 | 4 | 2 | 24:12 | 12 | 25 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:17 | -1 | 21 |
| 4 ჰერტა | 26 | 12 | 6 | 8 | 40:27 | 13 | 42 | 13 | 7 | 4 | 2 | 27:13 | 14 | 25 | 13 | 5 | 2 | 6 | 13:14 | -1 | 17 |
| 5 ჰამბურგი | 26 | 11 | 7 | 8 | 32:32 | 0 | 40 | 12 | 9 | 2 | 1 | 18:9 | 9 | 29 | 14 | 2 | 5 | 7 | 14:23 | -9 | 11 |
| 6 შალკე | 26 | 9 | 12 | 5 | 36:30 | 6 | 39 | 13 | 4 | 8 | 1 | 18:12 | 6 | 20 | 13 | 5 | 4 | 4 | 18:18 | 0 | 19 |
| 7 ვერდერი | 26 | 11 | 4 | 11 | 40:40 | 0 | 37 | 14 | 8 | 2 | 4 | 28:19 | 9 | 26 | 12 | 3 | 2 | 7 | 12:21 | -9 | 11 |
| 8 ვოლფსბურგი | 26 | 10 | 5 | 11 | 31:33 | -2 | 35 | 13 | 9 | 1 | 3 | 21:11 | 10 | 28 | 13 | 1 | 4 | 8 | 10:22 | -12 | 7 |
| 9 მიუნხენი | 26 | 9 | 7 | 10 | 33:41 | -8 | 34 | 12 | 4 | 3 | 5 | 14:17 | -3 | 15 | 14 | 5 | 4 | 5 | 19:24 | -5 | 19 |
| 10 ჰანოვერი | 26 | 9 | 5 | 12 | 37:47 | -10 | 32 | 13 | 3 | 4 | 6 | 21:26 | -5 | 13 | 13 | 6 | 1 | 6 | 16:21 | -5 | 19 |
| 11 ლაუტერნი | 26 | 8 | 7 | 11 | 34:34 | 0 | 31 | 14 | 7 | 2 | 5 | 21:12 | 9 | 23 | 12 | 1 | 5 | 6 | 13:22 | -9 | 8 |
| 12 არმინია | 26 | 7 | 10 | 9 | 29:32 | -3 | 31 | 13 | 6 | 4 | 3 | 18:9 | 9 | 22 | 13 | 1 | 6 | 6 | 11:23 | -12 | 9 |
| 13 ჰანზა | 26 | 8 | 7 | 11 | 27:32 | -5 | 31 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:16 | -3 | 14 | 13 | 5 | 2 | 6 | 14:16 | -2 | 17 |
| 14 ბოხუმი | 26 | 8 | 6 | 12 | 40:47 | -7 | 30 | 13 | 5 | 2 | 6 | 20:21 | -1 | 17 | 13 | 3 | 4 | 6 | 20:26 | -6 | 13 |
| 15 გლადბახი | 26 | 8 | 5 | 13 | 28:36 | -8 | 29 | 13 | 7 | 4 | 2 | 20:8 | 12 | 25 | 13 | 1 | 1 | 11 | 8:28 | -20 | 4 |
| 16 ნიურნბერგი | 26 | 8 | 4 | 14 | 30:45 | -15 | 28 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:21 | -6 | 14 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:24 | -9 | 14 |
| 17 ლევერკუზენი | 26 | 7 | 6 | 13 | 32:42 | -10 | 27 | 13 | 3 | 3 | 7 | 16:23 | -7 | 12 | 13 | 4 | 3 | 6 | 16:19 | -3 | 15 |
| 18 კოტბუსი | 26 | 6 | 5 | 15 | 26:50 | -24 | 23 | 13 | 3 | 1 | 9 | 12:25 | -13 | 10 | 13 | 3 | 4 | 6 | 14:25 | -11 | 13 |

### XXVII ტური

6 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ლევერკუზენი | — | ჰერტა |
| ჰანზა | — | ვოლფსბურგი |
| ჰანოვერი | — | ბაიერნი |
| დორტმუნდი | — | ვერდერი |
| ჰამბურგი | — | არმინია |
| მიუნხენ 1860 | — | გლადბახი |
| ნიურნბერგი | — | შალკე |
| კოტბუსი | — | შტუტგარტი |
| ბოხუმი | — | ლაუტერნი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 14 |
| კურანი (შტუტგარტი) | 13 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 13 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XXVI ტური

**ფრაიბურგი 5:2 ობერჰაუზენი**

1:0 მიულერი (16), 2:0 კულიბალი (20), 3:0 იაშვილი (26), 4:0, 5:0 ბაირამოვიჩი (37, 52), 5:1 ლანგენეკე (60), 5:2 ბელიაკოვი (88)
ფრაიბურგი: გოლცი, ჰერმელი, შ. მიულერი, ცხიტიშვილი, ბერნერი, ბაირამოვიჩი (კონდე 71), კობიაშვილი, კულიბალი, ვ. ბუტი (მენერი 78), იაშვილი, ტანკო (გუიე-მიენი 30)
*ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდშია*
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
22 000 მაყურებელი

**ფიურტი 5:0 ვალდჰოფი**

1:0 პოლიკელა (11), 2:0, 3:0 როსლერი (37, 52), 4:0 შლიკე (68), 5:0 კაილასი (75)
*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სათადარიგო იყო*

**ალემანია 3:0 ალენი**

1:0 კლიცპერა (6), 2:0 მბვანდო (20), 3:0 ივანოვიჩი (52)

**აინტრახტი 2:3 ტრირი**

1:0 ბაიერლე (14), 1:1 ლაბაკი (24з), 2:1 ჯონსი (71), 2:2 პეკოვიჩი (81), 2:3 ლიოში (88)

**ზანკტ პაული 1:2 როიტლინგენი**

1:0 ფ. გერბერი (20), 1:1 ფრომერი (43), 1:2 პესლაკი (90)

**ბურგჰაუზენი 0:1 უნიონი**

0:1 ბაუმგარტი (38)

**დუისბურგი 1:0 ლიუბეკი**

1:0 გრუევი (4)

**კარლსრუე 1:0 ბრაუნშვაიგი**

1:0 საენკო (7)

**კიოლნი — მაინცი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 25 | 14 | 11 | 0 | 53:28 | 53 |
| ფრაიბურგი | 26 | 15 | 6 | 5 | 44:22 | 51 |
| აინტრახტი | 26 | 13 | 8 | 5 | 41:24 | 47 |
| ტრირი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:33 | 45 |
| მაინცი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:26 | 43 |
| ალემანია | 26 | 11 | 9 | 6 | 44:32 | 42 |
| ფიურტი | 26 | 10 | 10 | 6 | 38:27 | 40 |
| დუისბურგი | 26 | 9 | 9 | 8 | 34:34 | 36 |
| როიტლინგენი | 25 | 10 | 5 | 10 | 34:35 | 35 |
| ობერჰაუზენი | 26 | 9 | 6 | 11 | 31:34 | 33 |
| ბურგჰაუზენი | 26 | 7 | 11 | 8 | 38:33 | 32 |
| ლიუბეკი | 26 | 9 | 4 | 13 | 36:37 | 31 |
| უნიონი | 25 | 6 | 11 | 8 | 29:44 | 29 |
| ალენი | 26 | 7 | 5 | 14 | 34:47 | 26 |
| კარლსრუე | 26 | 5 | 9 | 12 | 24:41 | 24 |
| ზტ. პაული | 26 | 5 | 6 | 15 | 35:55 | 21 |
| ვალდჰოფი | 26 | 5 | 6 | 15 | 27:55 | 21 |
| ბრაუნშვაიგი | 26 | 4 | 8 | 14 | 24:45 | 20 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

24-ე ტური: ლევერკუზენი (მ) — ვერდერი (მ) 0:2; კილი — მიუნსტერი 0:0; იურდინგენი — კიოლნი (მ) 1:0; ოსნაბრიუკი — პადერბორნი 3:2; აუე — ბაბელსბერგი 2:0; დრეზდენი — ქემნიცი 1:2; ჰამბურგი (მ) — ვატენშაიდი 1:2; ფერლი — ესენი 1:2. *დორტმუნდი (მ) — დინამო გადაიდო*

## სამხრეთ რეგიონალლიგა

25-ე ტური: ბაიერნი (მ) — ჰოფენჰაიმი 1:1; ოფენბახი — კიკერსი 0:0; ერფურტი — დარმშტადტი 2:1; პფულენდორფი — ზაარბრიუკენი 2:2; ვეჰენი — უნტერჰახინგი 1:0; შვაინფურტი — ზიგენი 3:3; ნოინკირხენი — აინტრახტი (მ) 1:1; აალენი — ელვერსბერგი 0:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — რეგენსბურგი 0:1

# იტალია

## სერია A. XXVI ტური

### მილანი 2:1 იუვენტუსი

1:0 შევჩენკო (4), 1:1 ნედვედი (10), 2:1 ინძაგი (25)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, კოსტაკურტა (ლაურსენი 73), მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 73), შევჩენკო (სერჟინიო 81), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო (პესოტო 69), ძამბროტა (დელ პიერო 46), ტაკინარი, ტუდორი, კამორანეზი, დავიდსი, ნედვედი, ზალაიეტა (ტრეზეგე 61)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: კამორანეზი, პირლო, შიმიჩი, ამბროზინი
მსაჯი: ტრეფოლონი
82 000 მაყურებელი

### უდინეზე 2:1 ინტერი

1:0 იანკულოვსკი (48), 2:0 იაკინტა (59), 2:1 კორდობა (73)
უდინეზე: დე სანტისი, კროლდრუპი, სენსინი, ბერტოტო, თ. მანფრედინი, დ. პიზარო, პინცი (სოტილი 88), იანკულოვსკი, იორგენსენი (მუნტარი 81), მუცი (ჯემიტი 74), იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, კორდობა, კოკო, ნაპოლიტანო (გამარა 53), კ. ძანეტი, დი ბიაჯო, რეკობა, ვიერი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კოკო, კ. ძანეტი
მსაჯი: პაპარესტა
25 000 მაყურებელი

### პარმა 2:1 ლაციო

1:0 კარდონე (4), 1:1 სტანკოვიჩი (50), 2:1 ადრიანო (90)
პარმა: ფრეი, ბონერა (პ. კანავარო 88), კარდონე, ფერარი, ჟუნიორი, ნაკატა (ბენარივო 72), ლამუში, ბარონე, ბრეშიანო, ადრიანო, ჯილარდინო (როზინა 84)
მწვრთნელი: კლაუდიო ჩეზარე პრანდელი
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი (პანკარო 84), ფიორე (ლივერანი 58), სიმეონე (ჯანიკედა 79), დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კ. ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ბენარივო
მსაჯი: მესინა
20 000 მაყურებელი

### ატალანტა 1:0 კიევო

1:0 დაბო (52)
ატალანტა: ტაიბი, სივილია, სალა, ნატალი, ტრამეცანი, ძაური, დაბო, ბერეტა, დონი (ბელინი 78), პინარდი (გაუტიერი 74), ვუგრინეცი (ბიანკი 66)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
კიევო: ლუპატელი, მენსა, ლორენცი, გრასადონია, პეზარეზი, დ. ფრანჩესკინი (ბიელანოვიჩი 65), კორინი (ნალისი 70), პეროტა, ლუსიანო, ფ. კოსატო (ბირმოფი 81), პელისიერი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ლუსიანო, ვუგრინეცი, ძაური
მსაჯი: კოლინა
14 000 მაყურებელი

### რომა 3:0 პიაჩენცა

1:0 კასანო (11), 2:0 დელვეკიო (30), 3:0 ტოტი (43)
*უბნერმა ვერ გაიტანა პენალტი (34, მეკარე)*
*ალდაირმა ვერ გაიტანა პენალტი (73, მეკარე)*
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, ალდაირი, ფ. ლიმა, კაფუ (გიგუ 57), დაკური, ემერსონი, დელვეკიო, ტოტი (მარაცინა 77), ა. კასანო (ტომაზი 83)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პიაჩენცა: ორლანდონი, გურენკო, კრისტანტე, მანგონე, ტოსტო, დი ფრანჩესკო (ფერარეზე 84), მარესკა (კოისი 76), ბაიოკო, მარკიონი, უბნერი, ძერბინი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: კრისტანტე, ორლანდონი, მანგონე
მსაჯი: როზეტი
50 000 მაყურებელი

# სირცხვილია!



REUTERS რომიდან

რომა — პიაჩენცა. აჩუ, აჩუ, ცხენო: რომაელი ოლივეე დაკური ენცო მარესკას შეაჯდა

— „მილანმა" თამაში მეტი ბრაზით დაიწყო, მასპინძლები უფრო თავდადებულნი იყვნენ, ჩვენ კი სწორედ ამაში ჩამოვრჩებოდით. შესვენების შემდეგ ჩვენი საბრძოლო სულისკვეთებაც გამოსწორდა, რის გამოც ორი აშკარა საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ამ შეხვედრაში წაგება სირცხვილი იყო, თუმცა იმას არ ვამბობ, რომ ზოგადად „სან სიროზე" დამარცხებაა სირცხვილი — ადვილი მისახვედრია, რომ ეს სიტყვები „იუვენტუსის" მწვრთნელს მარჩელო ლიპის ეკუთვნის.

ეს გახლდათ ბოლო სამი წლის მანძილზე ტურინელთა პირველი მარცხი მილანში, თუმცა ლიპი ამტკიცებს, რომ წაგების გამო „იუვენტუსი" არ დაითრგუნება.

„ამ წარუმატებლობას ჩვენი გატეხვა არ შეუძლია. პირიქით, დღევანდელი შედეგი გაგვაძლიერებს და მეტი დაჟინებით ვიბრძოლებთ სკუდეტოსთვის. მთავარია, რომ ლიდერებად ვრჩებით. ერთადერთი, რაც მინდა, ჩემპიონატის ბოლო სტადიის ტრავმების გარეშე განვლა გახლავთ" — დასძინა „ბებერი ქალბატონის" თავკაცმა.

მისმა მეტოქე-კოლეგამ, „იუვენტუსის" ყოფილმა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ კი ასე განაცხადა:

— ბედნიერი ვარ ისეთ დიდ გუნდს, როგორიც „იუვენტუსია", თანაბრად რომ ვეთამაშეთ და მოვუგეთ კიდეც. ახლა ჩვენს შორის სხვაობა მხოლოდ ხუთი ქულაა და სკუდეტოს მოგების აშკარა იმედი გვაქვს. ჩემი გუნდი ძალიან კარგად არის ორგანიზებული. სრულიად გამოვიყენეთ გამართული პასების უპირატესობა, რითაც თავდამსხმელებს მომენტებს ვუქმნიდით. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის. ყველა ფეხბურთელმა მონდომებით იმუშავა. ფორვარდები მოედნის სიღრმეში ჩამოდიოდნენ, რათა ბურთი მოეპოვებინათ. მინდა გამოვყო პაოლო მალდინი და ალესანდრო კოსტაკურტა, რომლებიც ტრავმების გამო მთელი კვირის მანძილზე გაჭირვებით ვარჯიშობდნენ, მატჩი კი თავდადებით ჩაატარეს. აღსანიშნავი ანდრეა პირლოსა და ჯენარო გატუზოსაც, რომლებიც ორი ტაიმის განმავლობაში არ გაჩერებულან და მოწინააღმდეგეს ავიწროვებდნენ. მარჯვენა ფრთაზე გადასვლით მსხვერპლი გაიღო რუი კოშტამაც, თუმცა გადამწყვეტი პაველ ნედვედის გაჩერება გახლდათ.

ანგარიში მე-4 წუთზე ანდრეი შევჩენკომ გახსნა. იგი მოწინააღმდეგის საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და თავიდან ფილიპო ინძაგისთვის პასის გადაწოდება დააპირა, მაგრამ ბურთი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა ჩაჭრა და ისევ უკრაინელს მიუვიდა, რომელმაც იგი ერთხელაც დაამუშავა და ბადეში შეაგდო.

— ჯადოსნური საღამო იყო, — თქვა შევჩენკომ, — ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ და „იუვეს" სუსტი წერტილები გამოვიყენეთ. მადლობა ქომაგებს, რომლებიც ძნელ დროში მხარში მედგნენ. მე და ინძაგიმ დავამტკიცეთ, რომ ერთდროულად თამაში შეგვიძლია. ასე რომ, გზა ხსნილია. ამიერიდან ყოველი თამაში გადამწყვეტი იქნება.

შევჩენკოს გოლიდან ექვსი წუთის შემდეგ საჯარიმო დარტყმით პაველ ნედვედმა გაათანაბრა, თუმცა 25-ე წუთზე ინძაგიმ მოწინააღმდეგის საჯარიმოში შესაშური კოორდინაცია, ტექნიკა და დაჟინება გამოავლინა — უმცირეს ფართობზე იმდენი მოახერხა, რომ მოტრიალდა და მასზე ლამის მიკრულ ბუფონს ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა.

მეორე ტაიმში სტუმრებს ორ გასაოცარ ეპიზოდში გაუცრუვდათ იმედი. პირველად მარსელო ზალაიეტამ ითამაშა საუცხოოდ, მაგრამ არანაკლებ საუცხოო გახლდათ „მილანის" ბრაზილიელი მეკარე დიდა, [illegible] პაველ ნედვედის ჩინებ[illegible]-რტყმა იმავე დიდამ გააუვნებლა.

ზემოთ ზალაიეტა ვახსენეთ: დიახ, „იუვენტუსმა" თამაში დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს გარეშე დაიწყო, მიზეზი ტრავმები გახლდათ. დელ პიერო, მოგეხსენებათ, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ნელ-ნელა უბრუნდება მოედანს და ჯერჯერობით ორ ტაიმს ვერ ძლებს, ტრეზეგე კი წინა სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, ბაზელში დაშავდა. მოგვიანებით მარჩელო ლიპიმ ორივე ვარსკვლავი ჩართო საქმეში, მაგრამ როგორც ანგარიშიდან ჩანს, უშედეგოდ.

მაგრამ, „იუვენტუსს" გაუმართლა. ფავორიტთა ტრიოს კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, მილანისავე „ინტერმა" უდინეში 1:2 წააგო.

— პირველ ტაიმში ძალიან ნელა ვთამაშობდით — განაცხადა „ინტერის" არგენტინელმა თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა — თავდამსხმელებისთვის ბურთი გაცილებით სწრაფად უნდა გადაგვეწოდებინა. შესვენების შემდეგ ოდნავ უკეთ ვითამაშეთ, კერძოდ, ალვარო რეკობას მოძრაობის მეტი თავისუფლება ჰქონდა და ამის წყალობით, თამაშის მიწურულს, კინაღამ გავიმარჯვეთ. რეკობა მარცხენა ფრთაზე მყავდა, გაბრიელ ბატისტუტა — მარჯვენაზე, ხოლო კრისტიან ვიერი — შუაში. ასე რომ, ვერავინ გვისაყვედურებს, თავდამსხმელები ერთმანეთს გზას უღობავდნენო. ყველაზე დიდი შეცდომა ის დავუშვით, რომ „უდინეზეს" ჩვენი კარისკენ, მოედანზე კარგა დიდად წამოსვლის საშუალება მივეცით.

„პარმამ" „ლაციოს" 2:1 მოუგო.

— ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ენთუზიაზმი არ გვაკლია — თქვა „პარმას" თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ.

— შეხვედრის ბევრ მონაკვეთში უპირატესობას ვფლობდით, ამიტომ წაგება სამარცხვინო იყო — ასე შეაფასა მატჩი „ლაციოს" თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

**პაპუნა ძიძია**

### კომო 5:1 ბოლონია

1:0 კაჩა (18), 2:0 ამორუზო (54), 2:1 მენი (53), 3:1 პეკია (58), 4:1 მუსიჩი (86), 5:1 ამორუზო (89)
კომო: ფერონი, ჟუარესი, პადალინო, ტომაში, მ. როსი (ბინოტო 69), ალეგრეტი (ტარანტინო 73), პეკია, კორენტი, მუსიჩი, ნ. ამორუზო, კაჩა (კარბონე 46)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, ფალკონე, მ. კასტელინი, მენი, ლ. კოლუჩი (ნერვო 55), ოლივე, კ. ამორუზო, ვანოლი (ფრარა 77), ბელუჩი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ფალკონე
მსაჯი: პრესკერნი
6 000 მაყურებელი

### ტორინო 2:1 პერუჯა

0:1 გროსო (41), 1:1, 2:1 ფერანტე (65, 78)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, მეცანო, დე აშენტისი, ვერგასოლა, დონატი (კონტიკიო 66), პ. კასტელინი, სომეზე (კ. ლუკარელი 46), მარინელი (კომოტო 82), ფერანტე
მწვრთნელი: რენატო ძაკარელი
პერუჯა: კალაჩი, სოლიანო (ვიალი 80), დი ლორენტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ობოდო (ბარონიო 79), ბლაზი, გროსო, კარაჩოლო (ვრიზასი 52), მიკოლი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ფატორი, ბლაზი, კასტელინი
მსაჯი: დატილო
5 000 მაყურებელი

### ემპოლი 0:0 ბრეშა

ემპოლი: ბერტი, ბელერი, პრატალი, ლუკინი, კუპი, ჯამპიერეტი, ფიჩინი, ბუშე (დი ნატალე 87), გრელა (კაპელინი 58), როკი, ბორიელო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, ბილიკა, პიზანო, შოპი (ტარე 70), აპია, გვარდიოლა, მატუზალემი (ა. ფილიპინი 67), რ. ბაჯო (ჯადიდი 82), ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: გვარდიოლა, ფიჩინი, პიზანო, ჯამპიერეტი
მსაჯი: ბოლონინო
4 949 მაყურებელი

### მოდენა 2:1 რეჯინა

1:0 ბალესტრი (61), 2:0 სკული (89), 2:1 სავოლდი (90)
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, პონცო (სკოპონი 46), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი, დ. კამარა (მორეტი 34), ვინიაროლი (სკული 71)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
რეჯინა: ლეისალი, ფირანეკი, ვარგასი, ი. ფრანჩესკინი, დიანა (ნაკამურა 66), კოცა, პარედესი (სავოლდი 66), მამედე, ფალზონი, ბონაცოლი, დი მიკელე (ბოგდანი 83)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: უნგარი, კოცა, დი მიკელე, ბონაცოლი, სკოპონი
გაძევება: ჩევოლი (33)
მსაჯი: პელეგრინო
15 500 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 26 | 17 | 6 | 3 | 49:18 | 31 | 57 | 12 | 8 | 3 | 1 | 25:7 | 18 | 27 | 14 | 9 | 3 | 2 | 24:11 | 13 | 30 |
| 2 ინტერი | 26 | 17 | 3 | 6 | 52:29 | 23 | 54 | 12 | 10 | 1 | 1 | 27:5 | 22 | 31 | 14 | 7 | 2 | 5 | 25:24 | 1 | 23 |
| 3 მილანი | 26 | 15 | 7 | 4 | 46:20 | 26 | 52 | 14 | 10 | 4 | 0 | 27:9 | 18 | 34 | 12 | 5 | 3 | 4 | 19:11 | 8 | 18 |
| 4 ლაციო | 26 | 11 | 12 | 3 | 45:27 | 18 | 45 | 13 | 4 | 7 | 2 | 23:14 | 9 | 19 | 13 | 7 | 5 | 1 | 22:13 | 9 | 26 |
| 5 პარმა | 26 | 11 | 9 | 6 | 45:29 | 16 | 42 | 13 | 8 | 2 | 3 | 25:15 | 10 | 26 | 13 | 3 | 7 | 3 | 20:14 | 6 | 16 |
| 6 კიევო | 26 | 12 | 5 | 9 | 34:28 | 6 | 41 | 13 | 8 | 2 | 3 | 23:17 | 6 | 26 | 13 | 4 | 3 | 6 | 11:11 | 0 | 15 |
| 7 უდინეზე | 26 | 11 | 6 | 9 | 27:27 | 0 | 39 | 13 | 8 | 4 | 1 | 15:8 | 7 | 28 | 13 | 3 | 2 | 8 | 12:19 | -7 | 11 |
| 8 რომა | 26 | 9 | 8 | 9 | 40:34 | 6 | 35 | 13 | 6 | 5 | 2 | 26:14 | 12 | 23 | 13 | 3 | 3 | 7 | 14:20 | -6 | 12 |
| 9 ბოლონია | 26 | 9 | 8 | 9 | 30:32 | -2 | 35 | 13 | 9 | 1 | 3 | 22:12 | 10 | 28 | 13 | 0 | 7 | 6 | 8:20 | -12 | 7 |
| 10 პერუჯა | 26 | 9 | 7 | 10 | 32:34 | -2 | 34 | 13 | 8 | 2 | 3 | 20:9 | 11 | 26 | 13 | 1 | 5 | 7 | 12:25 | -13 | 8 |
| 11 ბრეშა | 26 | 7 | 12 | 7 | 28:30 | -2 | 33 | 13 | 4 | 6 | 3 | 14:12 | 2 | 18 | 13 | 3 | 6 | 4 | 14:18 | -4 | 15 |
| 12 მოდენა | 26 | 8 | 6 | 12 | 20:36 | -16 | 30 | 13 | 5 | 4 | 4 | 11:13 | -2 | 19 | 13 | 3 | 2 | 8 | 9:23 | -14 | 11 |
| 13 ემპოლი | 26 | 7 | 7 | 12 | 30:39 | -9 | 28 | 13 | 3 | 6 | 4 | 16:17 | -1 | 15 | 13 | 4 | 1 | 8 | 14:22 | -8 | 13 |
| 14 ატალანტა | 26 | 6 | 10 | 10 | 27:37 | -10 | 28 | 13 | 4 | 5 | 4 | 14:16 | -2 | 17 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:21 | -8 | 11 |
| 15 რეჯინა | 26 | 7 | 5 | 14 | 27:44 | -17 | 26 | 13 | 6 | 4 | 3 | 21:16 | 5 | 22 | 13 | 1 | 1 | 11 | 6:28 | -22 | 4 |
| 16 კომო | 26 | 3 | 10 | 13 | 22:42 | -20 | 19 | 13 | 2 | 5 | 6 | 16:21 | -5 | 11 | 13 | 1 | 5 | 7 | 6:21 | -15 | 8 |
| 17 პიაჩენცა | 26 | 5 | 4 | 17 | 23:45 | -22 | 19 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:21 | -6 | 14 | 13 | 1 | 2 | 10 | 8:24 | -16 | 5 |
| 18 ტორინო | 26 | 4 | 7 | 15 | 18:44 | -26 | 19 | 14 | 4 | 3 | 7 | 8:21 | -13 | 15 | 12 | 0 | 4 | 8 | 10:23 | -13 | 4 |

### XXVII ტური

6 აპრილი

ატალანტა - ბრეშა
პერუჯა - ბოლონია
ლაციო - კომო
რეჯინა - ემპოლი
პარმა - მილანი
პიაჩენცა - მოდენა
ინტერი - რომა
იუვენტუსი - ტორინო
კიევო - უდინეზე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 23 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 14 |
| მუტუ (პარმა) | 13 |
| ტოტი (რომა) | 13 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 12 |
| ადრიანო (პარმა) | 12 |

## სერია B

### XXVII ტური

**ასკოლი 3:0 კოზენცა**
1:0 ბონფილიო (27), 2:0, 3:0 ბრიენძა (48, 68)

**ბარი 0:0 სიენა**

**ლივორნო 1:1 ნაპოლი**
1:0 დოგა (9), 1:1 ვიდიგალი (41)

**მესინა 2:1 ჯენოა**
0:1 მიპალჩია (1), 1:1 ძამპანა (22პ), 2:1 კამპოლო (77)

**პალერმო 1:0 ვიჩენცა**
1:0 მორონე (43)

**სალერნიტანა 0:0 კატანია**

**სამპდორია 2:1 ანკონა**
1:0 ფლაკო (27პ), 2:0 კონტე (55), 2:1 ბუდანი (78)

**ტრიესტინა 0:1 ლეჩე**
0:1 პაგოტო (41ს.კ.)

**ვენეცია 0:0 ტერნანა**

**ვერონა — კალიარი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 27 | 13 | 10 | 4 | 39:21 | 49 |
| სიენა | 27 | 11 | 13 | 3 | 30:20 | 46 |
| ანკონა | 27 | 12 | 9 | 6 | 38:29 | 45 |
| ვიჩენცა | 27 | 11 | 10 | 6 | 39:32 | 43 |
| ლეჩე | 27 | 10 | 13 | 4 | 31:24 | 43 |
| ტრიესტინა | 27 | 11 | 7 | 9 | 35:28 | 40 |
| ლივორნო | 27 | 10 | 9 | 8 | 31:23 | 39 |
| ტერნანა | 27 | 10 | 9 | 8 | 30:26 | 39 |
| პალერმო | 27 | 10 | 8 | 9 | 27:28 | 38 |
| მესინა | 27 | 9 | 10 | 8 | 39:35 | 37 |
| ვენეცია | 27 | 9 | 9 | 9 | 27:31 | 36 |
| ასკოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 34:35 | 34 |
| კალიარი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:33 | 34 |
| ვერონა | 26 | 7 | 10 | 9 | 28:27 | 31 |
| ჯენოა | 27 | 7 | 9 | 11 | 33:34 | 30 |
| კატანია | 27 | 8 | 6 | 13 | 28:39 | 30 |
| ბარი | 27 | 5 | 13 | 9 | 22:26 | 28 |
| ნაპოლი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:36 | 27 |
| კოზენცა | 27 | 7 | 5 | 15 | 21:35 | 26 |
| სალერნიტანა | 27 | 4 | 8 | 15 | 19:43 | 20 |

## სერია C1/A

28-ე ტური: ალძანო — კარარეზე 1:3; არეცო — ლუკეზე 2:0; ჩიტადელა — პადოვა 1:1; პიზა — ლუმეცანე 5:0; პისტოიეზე — რეჯანა 0:0; პრო პატრია — ალბინოლეფე 1:0; სპეცია — ვარეზე 3:2; ტრევიზო — პრატო 2:1. *ჩეზენა — სპალ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

## სერია C1/B

28-ე ტური: ბენევენტო — მარტინა 2:0; კროტონე — ლანჩანო 3:1; ფერმანა — ვიტერბეზე 1:1; აკილა — სორა 1:1; პატერნო — პეზარო 0:2; პესკარა — აველინო 1:2; სამბენედეტეზე — კიეტი 0:0; ტარანტო — ჯულიანოვა 1:0; ტერამო — ტორესი 1:1

# სულელობანი

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXVII ტური

**რეალი 2:0 დეპორტივო**

1:0 ზიდანი (44), 2:0 რონალდო (50)
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მორიენტესი 90), ფ. კონსეისაო, მაკელელე, ზიდანი (გუტი 67), რაული, რონალდო (სოლარი 83)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
დეპორტივო: მოლინა, ექტორი (ვიქტორი 67), ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ფრანი (ლუკე 56), სკალონი, სერხიო, ტრისტანი (ვალერონი 56), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ექტორი, ფიგუ
მსაჯი: უნდიანო მალენკო
76 300 მაყურებელი

**სოსიედადი 2:2 ვილიარეალი**

1:0, 2:0 კოვაჩევიჩი (26, 73პ), 2:1 ვიქტორი (90), 2:2 ხორხე ლოპესი (90)
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (მიკელ ალონსო 79), ხაურეგი, დე პედრო (ბარკერო 46), კარპინი, არანბურუ, კოვაჩევიჩი (დე პაულა 87), ნიჰატი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, კიკე მედინა (პალერმო 71), ხორხე ლოპესი, ხოსიკო, დე ნიგრისი, გიარე (ვიქტორი 34), კალეხა (არზო 60)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: კიკე ალვარესი, არუაბარენა, კოვაჩევიჩი, ხაურეგი, დე ნიგრისი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
28 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 ესპანიოლი**

0:1 დავიდ გარსია (9), 1:1 ბარახა (60)
ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, ჟუკიჩი, კარბონი (ფ. აურელიო 58), ალბელდა (ანგულო 77), ბარახა, რუფეტე, ვისენტე, აიმარი, კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი, დომორო, როხერი (ბერტრანი 51), ფრედსონი (მორალესი 68), დე ლა პენია, ოსკარი (მაქსი 58), ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: დომორო, სოლდევილა, კარბონი, ბარახა, ფრედსონი, ტამუდო, ტორიჩელი, რეველიერი, ლოპო, აიალა
მსაჯი: პერეს პერესი
45 000 მაყურებელი

**სელტა 2:1 ბილბაო**

0:1 დელ ორნო (7), 1:1 მიდო (20), 2:1 მაკარტი (72)
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ანხელი (მაკკარტი 60), მოსტოვოი, ხოსე იგნასიო, ლუქსენი, მიდო (კატანია 86), გუსტავო ლოპესი (ჯოვანელა 81)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ბილბაო: არანსუბია, ლაკრუსი, ლუის პრიეტო, მურილიო (ლარაინსარი 71), აიტორ ოსიო, ხავი გონსალესი, დელ ორნო, ტიკო (იულენ გერერო 80), ესკერო, ხ. ეჩებერია, არიაგა
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ლუის პრიეტო, არიაგა, ტიკო
მსაჯი: მორენო დელგადო
16 000 მაყურებელი

**ბარსელონა 6:1 რასინგი**

1:0 კლუივერტი (1), 2:0 რიკელმე (7), 3:0 კლუივერტი (29), 3:1 ხავი გერერო (48), 4:1, 5:1 ოვერმარსი (80, 82), 6:1 მენდიეტა (90)
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი (როჩემბაკი 67), ფ. დე ბური, რაიციგერი, ხავი, რიკელმე, მენდიეტა, გაბრი (ხერარდი 46), ოვერმარსი, კლუივერტი (ნანო 75), სავიოლა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ, მორა, ხუანმა, მატეო (მატაბუენა 85), ბენაიუნი, ხავი გერერო, რეგუერო, სარაბია (მორანი 60), დიეგო ალონსო (აგილარი 85)
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
გაფრთხილება: გაბრი, ნერუ, დე ბური, პუიოლი, ხუანმა
მსაჯი: კარმონა მენდესი
68 351 მაყურებელი



REUTERS

რეალი — დეპორტივო. გუტის გარჯა წყალში ჩაეყარა: ლიონელ სკალონის და ხოსე მოლინას გასცდა, გოლი კი ვერ გაიტანა

**მალაგა 0:0 ბეტისი**

მალაგა: არნაუ, როტეტა, ისნატა, ფ. სანსი, ხერარდო (სანდრო 56), ხოსემი, მუსამპა, მანუ, მიგელ ანხელი, დარიო სილვა (ნაზო 89), კანაბალი (კოკე 70)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (ტაისი 65), მ. ასუნსაო (ბენჯამინი 85), ვარელა, სეზარი (დენილსონი 58), ფერნანდო, იტო, ფილიპესკუ, არზუ, ხოაკინი, ჟოაუ ტომასი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: დარიო სილვა, მანუ, ისნატა, ვარელა
მსაჯი: პინო სამორანო
17 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:0 ატლეტიკო**

რაიო ვალეკანო: სეგურა, დე კინტანა, გრაფი, ონოპკო (ლუის სემბრანოსი 54), მარიო, მიჩელი, კვედო, ირინეი, ახკოიტია, პერაგონი, ბოლიჩი (ბოლო 70)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა, კოლომბინი, ჰიბიჩი, სერხი, მოვილია, ალბერტინი (ნაგორე 69), ხორხე (ხავი მორენო 64), ლუის გარსია (ი. სტანკოვიჩი 54), ფ. ტორესი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: დე კინტანა, სერხი, კონტრა, ხორხე, ხავი მორენო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
15 000 მაყურებელი

**სევილია 3:2 ალავესი**

1:0 კასკერო (21), 1:1 რუბენ ნავარო (60), 1:2 ასტუდილიო (78), 2:2 რეიესი (84პ), 3:2 აბელარდო (90ს.კ.)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, გალიარდო (მახლასი 73), ფრედი (მარკოს ვალესი 69), ხ. რედონდო, კასკერო (ვ. სალასი 82), რეიესი, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ალავესი: ხუან პაბლო, იბონ ბეგონია, კარმონა, ჟელი, ლორენსი, აბელარდო, ოჩოა (პაბლო 47), დესიო, ასტუდილიო, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 77), კრუიფი (ტურიელი 80)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ასტუდილიო, იბონ ბეგონია, კარმონა, დესიო, რეიესი, ლორენსი, ჟელი, ტურიელი
მსაჯი: რუბინოს პერესი
18 580 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 ვალიადოლიდი**

0:1 ჟონათანი (45), 1:1 პანდიანი (55), 2:1 რიერა (67)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, პოლი, ლუსენბოფი, იბაგასა (კამპანო 23), ნოვო, რიერა, აროლდ ლოზანო (მარკოსი 68), ეტოო (კარლოსი 89), პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია (აგანსო 72), გასპარი, მარიო, ტორეს გომესი, ოსკარ სანჩესი, კოლსა (კამინერო 76), ფ. სალესი, ოსკარი, ოლივერა, ჟონათანი
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: პოლი, ეტოო, ტორეს გომესი, ლეო ფრანკო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
14 500 მაყურებელი

**უელვა 1:1 ოსასუნა**

0:1 ალოიზი (51), 1:1 პერნია (85)
უელვა: ლუკე, ესპინოლა, პერნია, ხავი გარსია (რომერო 58), იკერ ბეგონია, ბენიტესი (არპონი 72), ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (ბერმეხო 59), ხისკო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ოსასუნა: სანსოლი, მატეო, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო (მოა 82), ანტონიო ლოპესი, კ. მანფრედინი, პუნიალი, პაბლო გარსია, ივან როსადო (პალასიოსი 76), ალოიზი (მორალესი 89)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: რომერო, რივერო, მორალესი
მსაჯი: პერეს ბურული
15 000 მაყურებელი

**როგორც ჩანს,** პრიმერადივიზიონს მადრიდის „რეალი“ მოიგებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად კარგად თამაშობს, მისი კონკურენტებიც სულელურად კარგავენ ქულებს.

„რეალ სოსიედადი“ ლიდერთან ერთი ქულის გაწვდენაზე უნდა ყოფილიყო. დარკო კოვაჩევიჩმა ჯერ მიკელ არანბურუს პასით იხეირა, მერე პენალტიც გაიტანა და 40 წუთიც ბასკთა ორბურთიანი უპირატესობით გალია. აბა, „ვილიარეალი“ რომელი „მანჩესტერ იუნაიტედია“, წამატებულ წუთებში ორი გოლი გაჰქონდესო, ალბათ, ასე თუ იფიქრეს სანსებასტიანელებმა და მაგრადაც მიჰქარეს: 92-ე წუთზე ვიქტორმა ერთი ბურთი გაქვითა, 94-ეზე კი მასპინძლებმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერაფერი მოუხერხეს და ხორხე ლოპესმა საარაკო საქმე ჩაიდინა.

ახლა „ვალენსიაზე“ ვთქვათ. მოქმედი ჩემპიონი ლიდერს უკვე ათი ქულით ჩამორჩება და ოდენ სამი ქულითღა უსწრებს მეხუთეადგილოსან „სელტას“ ანუ ჩემპიონობაზე ოცნების მაგიერ ვალენსიელებს ის ურჩევნიათ, საჩემპიონთალიგო ოთხეულში ადგილის შენარჩუნებაზე იფიქრონ. ბოლო ოთხ ტურში „ვალენსიამ“ ორი თამაში წააგო და ორიც ფრედ დაასრულა, თორმეტი შესაძლებლობებიდან ორი ქულა აიღო და სწორედ იმ ათი დაკარგული ქულით ჩამორჩება „რეალს“. არადა, „ბილბაოსთან“ და „ატლეტიკოსთან“ წაგებებს თავი რომ დავანებოთ, „ესპანიოლი“ რა ისეთი გუნდია, ჩემპიონი შინაც ვერ ამარცხებდეს. ამ შეხვედრაში ბარსელონელები დაწინაურდნენ, დავიდ გარსიამ ცაკიათი დასცხო და ვალენსიელთა მონდომება მხოლოდ ფრესთვის გამოდგა საკმარისი.

ჩემპიონობას არ უმიზნებდა, მაგრამ მადრიდის „ატლეტიკოს“ სულელურად დაკარგული ქულებიც დავითვალოთ. მადრიდელებმა „ვალენსიასთან“, „ბარსელონასთან“, „რეალთან“ და „დეპორტივოსთან“ აქამდე ჩატარებულ ექვს შეხვედრაში 12 ქულა დააგროვეს, ანუ ოთხივესთან დადებითი ბალანსი აქვთ. სამაგიეროდ, მჩანჩალებთან: „რაიო ვალეკანოსთან“, „უელვასთან“, „ვილიარეალთან“, „რასინგთან“, „ალავესთან“ და „ოსასუნასთან“ ჩატარებულ 7 თამაშში ორ ქულას დასჯერდნენ — ორი ქულა 21 შესაძლებლობიდან და სავსებით გასაგებია, რატომაც ვერ იბრძვიან ჩემპიონობისთვის. „რაიოსთან“ თამაშზე კი დავსძენთ, რომ ფერნანდო ტორესმა ძელს გაარტყა.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ტურის მთავარ მატჩში, რომელშიც სამი კი არა, ექვსი ქულა თამაშდებოდა, „რეალმა“ „დეპორტივოს“ სძლია და ერთგვარად ჯავრი იყარა, შარშან სამეფო თასის ფინალში დამარცხებისთვის. მადრიდელებს მოგება არ გასჭირვებიათ, რაკი აშკარად უკეთ ირჯებოდნენ, გოლები კი ექვსწუთიან მონაკვეთში გაიტანეს — პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე და თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში. პირველ შემთხვევაში, რონალდომ, [illegible] ზინედინ ზიდანს ჭკვიანური პასით, რომელსაც ფრანგმა სანაქებოდ დაჰკრა თავი, მეორე გოლისას კი როლები შეიცვალა და ზიდანმა ბრაზილიელს ვალი ასევე საგოლე პასით დაუბრუნა. შეხვედრის ბოლოსკენ ლაკორუნიელებმა რამდენიმეჯერ შეაწუხეს იკერ კასილიასი, მაგრამ „რეალს“, „სოსიედადისგან“ განსხვავებით, სისულელე არ დამართნია.

სხვათა შორის, თამაშამდე მასპინძელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ თქვა, განსაკუთრებულ აჟიოტაჟს ნუ შექმნით, „დეპორტივოსთან“ მატჩს საჩემპიონო შეხვედრად ნუ მონათლავთ, რადგან ამის მერე კიდევ 33 ქულა დარჩება გასათამაშებელი, თან „ვალენსიასთან“ და „სოსიედადთან“ მატჩებიც გველისო.

33 ქულა ვახსენეთ და ამ ტურის მერე, რომელშიც „ბარსელონამ“ შავი დღე აყარა „რასინგს“, კატალონიელებს სამი ქულაღა აშორებთ უეფას თასზე გამსვლელ ადგილთან, ხოლო მეოთხე საფეხურთან — თერთმეტი. ერთი შეხედვით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უფრო, რომ „ვალენსია“ ქულას ქულაზე კარგავს, თუმცა „ბარსელონას“ საშინელი კალენდარი აქვს: მომდევნო ტურში „ვილიარეალს“ ხვდება, მერე კი იწყება: „დეპორტივო“, „რეალი“, „სოსიედადი“. ისე, „ბარსელონას“ „ვალენსიასთანაც“ და „სელტასთანაც“ აქვს დარჩენილი შეხვედრები და თუ დაამარცხა... რატომაც არა.

„ბარსელონა“ „რასინგს“ ექვსი გოლით გაუმასპინძლდა, ოღონდ მათი სათითაოდ აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ის ვთქვათ, რომ პირველი გოლი პირველ წუთზე გავიდა, ბოლო გოლი — ბოლოზე. ეს გამარჯვება კი „ბარსამ“ ზედიზედ სამ ფრეს მიაყოლა, ხოლო სანტანდერელებისთვის „კამპ ნოუზე“ მარცხი ზედიზედ მეოთხე გამოდგა. თუმცა ისიცაა, რომ ამ ოთხ თამაშში დმიტრი აიტერმანის გუნდის მეტოქეები „დეპორტივო“, „რეალი“, „სოსიედადი“ და „ბარსელონა“ იყვნენ.

ტურის სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია „ალავესის“ მარცხი სევილიაში. ვიტორიელები 84-ე წუთამდე 2:1 იგებდნენ და წაგება მოახერხეს. ეს სამწუხარო საქმე ბასკებს ანტონიო კარმონამ დამართა, რომელმაც მეორე წამატებულ წუთზე საკუთარი კარი დალაშქრა. თუმცა ავტოგოლებით წაგება ხომ „ალავესის“ სტილია — „ლივერპულთან“ უეფას თასის ფინალი გაიხსენეთ.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 27 | 16 | 9 | 2 | 61:26 | 35 | 57 | 13 | 10 | 3 | 0 | 38:12 | 26 | 33 | 14 | 6 | 6 | 2 | 23:14 | 9 | 24 |
| 2 | სოსიედადი | 27 | 15 | 9 | 3 | 47:34 | 13 | 54 | 13 | 8 | 5 | 0 | 26:15 | 11 | 29 | 14 | 7 | 4 | 3 | 21:19 | 2 | 25 |
| 3 | დეპორტივო | 27 | 15 | 6 | 6 | 43:29 | 14 | 51 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:11 | 14 | 27 | 14 | 7 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 24 |
| 4 | ვალენსია | 27 | 13 | 8 | 6 | 42:21 | 21 | 47 | 14 | 8 | 3 | 3 | 23:8 | 15 | 27 | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 6 | 20 |
| 5 | სელტა | 27 | 13 | 5 | 9 | 33:24 | 9 | 44 | 14 | 7 | 4 | 3 | 20:11 | 9 | 25 | 13 | 6 | 1 | 6 | 13:13 | 0 | 19 |
| 6 | ატლეტიკო | 27 | 10 | 9 | 8 | 38:33 | 5 | 39 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:14 | 8 | 25 | 13 | 3 | 5 | 5 | 16:19 | -3 | 14 |
| 7 | სევილია | 27 | 10 | 9 | 8 | 24:20 | 4 | 39 | 13 | 6 | 5 | 2 | 16:9 | 7 | 23 | 14 | 4 | 4 | 6 | 8:11 | -3 | 16 |
| 8 | ბეტისი | 27 | 10 | 8 | 9 | 36:37 | -1 | 38 | 14 | 7 | 3 | 4 | 19:13 | 6 | 24 | 13 | 3 | 5 | 5 | 17:24 | -7 | 14 |
| 9 | ბარსელონა | 27 | 9 | 9 | 9 | 44:34 | 10 | 36 | 13 | 6 | 5 | 2 | 31:16 | 15 | 23 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:18 | -5 | 13 |
| 10 | მალიორკა | 27 | 10 | 5 | 12 | 30:42 | -12 | 35 | 13 | 5 | 3 | 5 | 15:23 | -8 | 18 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:19 | -4 | 17 |
| 11 | ბილბაო | 27 | 9 | 6 | 12 | 39:46 | -7 | 33 | 14 | 7 | 2 | 5 | 21:16 | 5 | 23 | 13 | 2 | 4 | 7 | 18:30 | -12 | 10 |
| 12 | მალაგა | 27 | 7 | 11 | 9 | 34:33 | 1 | 32 | 14 | 6 | 6 | 2 | 23:13 | 10 | 24 | 13 | 1 | 5 | 7 | 11:20 | -9 | 8 |
| 13 | ვალიადოლიდი | 27 | 9 | 5 | 13 | 27:31 | -4 | 32 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:12 | 4 | 21 | 14 | 3 | 2 | 9 | 11:19 | -8 | 11 |
| 14 | ვილიარეალი | 27 | 8 | 8 | 11 | 26:32 | -6 | 32 | 13 | 6 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 20 | 14 | 2 | 6 | 6 | 12:17 | -5 | 12 |
| 15 | ესპანიოლი | 27 | 8 | 6 | 13 | 29:36 | -7 | 30 | 14 | 7 | 2 | 5 | 22:17 | 5 | 23 | 13 | 1 | 4 | 8 | 7:19 | -12 | 7 |
| 16 | ოსასუნა | 27 | 7 | 9 | 11 | 27:34 | -7 | 30 | 14 | 6 | 3 | 5 | 15:13 | 2 | 21 | 13 | 1 | 6 | 6 | 12:21 | -9 | 9 |
| 17 | რასინგი | 27 | 9 | 2 | 16 | 33:43 | -10 | 29 | 13 | 5 | 2 | 6 | 18:14 | 4 | 17 | 14 | 4 | 0 | 10 | 15:29 | -14 | 12 |
| 18 | ალავესი | 27 | 7 | 8 | 12 | 31:50 | -19 | 29 | 13 | 5 | 5 | 3 | 15:13 | 2 | 20 | 14 | 2 | 3 | 9 | 16:37 | -21 | 9 |
| 19 | რაიო ვალეკანო | 27 | 7 | 5 | 15 | 24:40 | -16 | 26 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 | 13 | 3 | 1 | 9 | 9:21 | -12 | 10 |
| 20 | უელვა | 27 | 5 | 9 | 13 | 26:49 | -23 | 24 | 14 | 3 | 6 | 5 | 16:20 | -4 | 15 | 13 | 2 | 3 | 8 | 10:29 | -19 | 9 |

**XXVIII ტური**

6 აპრილი

ბილბაო — ატლეტიკო
ესპანიოლი — სელტა
ბეტისი — ვალენსია
ოსასუნა — მალაგა
ვალიადოლიდი — უელვა
ალავესი — მალიორკა
რასინგი — სევილია
ვილიარეალი — ბარსელონა
დეპორტივო — სოსიედადი
რეალი — რაიო ვალეკანო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 20 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 15 |
| ნიჰატი (სოსიედადი) | 14 |
| რონალდო (რეალი) | 14 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 13 |
| პანდიანი (მალიორკა) | 12 |
| რაული (რეალი) | 11 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 11 |

### სეგუნდადივიზიონი XXVIII ტური

**ფეროლი 0:1 ეიბარი**

0:1 ენეკო (82)

**პოლი ეხიდო 1:0 სპორტინგი**

1:0 პრატსი (41)

**ხეტაფე 0:0 ლას პალმასი**

**ოვიედო 0:2 სარაგოსა**

0:1 კანი (14), 0:2 გალეტი (90)

**ლევანტე 0:0 ნუმანსია**

**მურსია 2:0 ბადახოსი**

1:0 ხუანმა (58), 2:0 ისაკი (87)

**კორდობა 1:0 ელჩე**

1:0 მოისესი (31)

**სალამანკა 1:1 ხერესი**

1:0 რობერტო (13), 1:1 ხესულე (25)

**ალბასეტე 2:0 ლეგანესი**

1:0 ხესუს პერერა (22), 2:0 ხანდრო (84)

**კომპოსტელა 4:1 ალმერია**

1:0, 2:0 სეკეიროსი (4, 33), 3:0 ლიმა (61), 4:0 მაიკელი (65პ), 4:1 სეკეიროსი (73ს.კ.)

**ტენერიფე 1:1 ტერასა**

0:1 კეკო (11), 1:1 კიკო გონსალესი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 28 | 15 | 7 | 6 | 40:15 | 52 |
| ალბასეტე | 28 | 13 | 13 | 2 | 38:19 | 52 |
| ლევანტე | 28 | 12 | 12 | 4 | 37:25 | 48 |
| სარაგოსა | 28 | 13 | 8 | 7 | 30:25 | 47 |
| პოლი ეხიდო | 28 | 10 | 11 | 7 | 27:24 | 41 |
| ტენერიფე | 28 | 8 | 16 | 4 | 36:24 | 40 |
| ხერესი | 28 | 10 | 10 | 8 | 31:32 | 40 |
| ლას პალმასი | 28 | 9 | 12 | 7 | 37:32 | 39 |
| სპორტინგი | 28 | 8 | 12 | 8 | 27:25 | 36 |
| ელჩე | 28 | 8 | 11 | 9 | 33:28 | 35 |
| ხეტაფე | 28 | 9 | 8 | 11 | 37:36 | 35 |
| ტერასა | 28 | 7 | 14 | 7 | 26:29 | 35 |
| კორდობა | 28 | 7 | 12 | 9 | 23:21 | 33 |
| სალამანკა | 28 | 7 | 12 | 9 | 19:20 | 33 |
| ნუმანსია | 28 | 7 | 12 | 9 | 27:32 | 33 |
| კომპოსტელა | 28 | 7 | 11 | 10 | 31:36 | 32 |
| ლეგანესი | 28 | 6 | 13 | 9 | 32:35 | 31 |
| ეიბარი | 28 | 6 | 13 | 9 | 21:27 | 31 |
| ალმერია | 28 | 7 | 10 | 11 | 32:47 | 31 |
| ბადახოსი | 28 | 7 | 7 | 14 | 18:39 | 28 |
| ოვიედო | 28 | 5 | 10 | 13 | 22:36 | 25 |
| ფეროლი | 28 | 5 | 10 | 13 | 24:41 | 25 |



ფოლკირკი — დანდი.
ნაჩო ნოვომ ქართველთა გუნდი მარცხისგან იხსნა

# THE MIRACLE

## ამას ქართულად საოცრება ჰქვია და ის უხარიათ

### შოტლანდია

#### ასოციაციის თასი მეოთხედფინალი

**ფოლკირკი 1:1 დანდი**

1:0 კოილი (57), 1:1 ნოვო (66)

**დანდი:** სპერონი, მაკეი, უილკი, **ხიზანიშვილი**, ერნანდესი, რაე, სმიტი, **ნემსაძე**, ნოვო (ბერჩილი 89), კაბალიერო, ლოველი (მილნი 83)

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

7 403 მაყურებელი

**დანფერმლაინი 1:1 რეინჯერსი**

1:0 გრონდინი (23), 1:1 კანიჯა (31)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, კ. მური, კონტერმანი, მუსკატი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, ნ. მაკკანი (**შ. არველაძე** 74), რ. დე ბური, კანიჯა, მალკოლმი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

9 875 მაყურებელი

**ინვერნესი 1:0 სელტიკი**

1:0 ვინსი (45)

**სტრანრარი 0:4 მოზერუელი**

0:1 ფ. რაიტი (31ს.კ.), 0:2 მაკფადენი (54), 0:3 დ. ადამსი (59), 0:4 დ. ლემანი (87)

**დახეთ** წილისყრის შედეგებს — ქართველებს ძალიან კარგი შანსი აქვთ, რომ ფინალში ერთმანეთს გადაეყარნონ ანუ შოტლანდიის ასოციაციის თასს ხელი რომელიმე ქართველმა შეავლოს.

რაც მთავარია, ქართველებმა გზიდან „სელტიკი" ჩამოიცილეს. გლაზგოელ კელტების „ინვერსენთან" დამარცხება საოცრებაა, მაგრამ არა პირველი. თანაც „სელტიკს" იმანაც ვერ უშველა, რომ ოპტიმალური შემადგენლობით წარსდგა პირველდივიზიონელის წინააღმდეგ.

სამი წლის წინ „ინვერსენმა" გასვლაზე მოუგო „სელტიკს" ამავე თასის მესამე რაუნდში 3:1, ახლა კი შინაც მიტყეპა მონსტრი. დიდებულად ითამაშა „ინვერსენის" მეკარე მარკ ბრაუნმა — მან მეორე ტაიმში სასწაულები ჩაატარა.

„სელტიკის" ჩრდილოირლანდიელმა მენეჯერმა მარტინ ონილმა ნამატჩევს ესღა თქვა: „ცხადია, ძალიან გაწბილებული ვარ. „ლივერპულთან" ფანტასტიკურად ვითამაშეთ, მაგრამ ჩვენ ხომ კვლავაც საფეხბურთო კლუბი „სელტიკი" გვქვია. რაც კი მსოფლიოში საქებარი სიტყვებია, „ინვერსენმა" ყველა დაიმსახურა. მართალია, მეტოქის მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ ჩვენთვის არც ეს გამოდგება თავის გასამართლებლად".

დიდ წინააღმდეგობას შეხვდა „რეინჯერსიც", მაგრამ „ჩაფრები" მეორე ტაიმში გამძვინვარდნენ და მოგებაც შეეძლოთ. გამარჯვების გოლის გატანა შეცვლაზე შესულ შოთა არველაძეს მართებდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან კარსზევით აუშვა ბურთი. გადათამაშება 9 აპრილს გაიმართება „აიბროქსზე" და რა თქმა უნდა, „რეინჯერსი" ფავორიტია.

არც „დანდის" აქვს საქმე ცუდად — პირველდივიზიონელს შინ აუცილებლად უნდა მოუგოს თუ თასის აწევა და უეფას საგზური ცხოვლად სურს. დანდელები „ფოლკირკს" ასევე 9 აპრილს უმასპინძლებენ.

**დავით თავართქილაძე**

#### ნახევარფინალის წილისყრა

**ინვერნესი — დანდი ან ფოლკირკი; რეინჯერსი ან დანფერმლაინი — მოზერუელი**

***მატჩები გაიმართება 19-20 აპრილს***

#### I დივიზიონი გადადებული მატჩები

**კლაიდი — ეარი 3:0; როს ქაუნთი — ქუინ ოფ საუთ 0:3; სტ. მირენი — სტ. ჯონსტონი 1:3**

#### II დივიზიონი

**30-ე ტური:** ბერიკი — ფორფარი 0:0; ბრეჩინი — ერდრი 0:1; რეით როვერსი — ჰამილტონი 1:1; სტენჰაუზმური — ქოუდენბითი 1:1

#### III დივიზიონი

**30-ე ტური:** ელგინი — ალბიონი 0:1; მორტონი — მონტროუზი 1:0; გრეტნა — ისტ სტირლინგი 3:1; ქუინზ პარკი — პიტერჰედი 1:2; სტირლინგი — ისტ ფაიფი 1:2

### ავსტრია

#### მაქსბუნდესლიგა XXVI ტური

**რაპიდი 1:0 შტურმი**

1:0 ჰოფმანი (2)

**შტურმი:** გრაცეი, ნოიკირხნერი, როხასი, პეტროვიჩი, ბრჟეჩეკი, კორსოში, საბიჩი, **დ. მუჯირი**, მასუდი (შტრაფნერი 81), ზაუმელი (ჩ. ამოა 74), დაგი (მ. ჰაასი 67)

მწვრთნელი: ფრანკო ფოდა

ადმირა — რიდი 0:1; პაშინგი — ზალცბურგი 0:1; ბრეგენცი — აუსტრია 1:2; გრაცერი — კერნტენი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 26 | 17 | 5 | 4 | 50:18 | 56 |
| პაშინგი | 26 | 12 | 7 | 7 | 34:23 | 43 |
| გრაცერი | 26 | 10 | 9 | 7 | 39:28 | 39 |
| შტურმი | 26 | 12 | 3 | 11 | 36:42 | 39 |
| რაპიდი | 26 | 9 | 9 | 8 | 32:27 | 36 |
| რიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 32:32 | 34 |
| ზალცბურგი | 26 | 8 | 8 | 10 | 29:39 | 32 |
| კერნტენი | 26 | 7 | 6 | 13 | 28:40 | 27 |
| ბრეგენცი | 26 | 5 | 9 | 12 | 34:45 | 24 |
| ადმირა | 26 | 5 | 9 | 12 | 21:41 | 24 |

### საბერძნეთი

24-ე ტური: პანიონიოსი — კალითეა 2:0; პანაჰაიკი — ოფი 0:2; ეგალეო — ქსანთი 0:0; პროდეფტიკი — ირაკლისი 1:0; ოლიმპიაკოსი — არისი 1:0; იანინა — პანათინაიკოსი 0:0; აკრატიტოსი — იონიკოსი 1:0; პაოკ — აეკ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 24 | 17 | 4 | 3 | 35:13 | 55 |
| ოლიმპიაკოსი | 24 | 16 | 6 | 2 | 56:19 | 54 |
| აეკ | 24 | 15 | 5 | 4 | 51:25 | 50 |
| პანიონიოსი | 24 | 14 | 5 | 5 | 29:16 | 47 |
| პაოკ | 24 | 13 | 4 | 7 | 47:27 | 43 |
| ირაკლისი | 24 | 12 | 4 | 8 | 34:23 | 40 |
| არისი | 24 | 11 | 6 | 7 | 27:25 | 39 |
| ქსანთი | 24 | 8 | 9 | 7 | 28:23 | 33 |
| ოფი | 23 | 8 | 7 | 8 | 28:25 | 31 |
| ეგალეო | 24 | 6 | 9 | 9 | 21:29 | 27 |
| პროდეფტიკი | 24 | 6 | 7 | 11 | 21:29 | 25 |
| კალითეა | 24 | 4 | 8 | 12 | 23:36 | 20 |
| აკრატიტოსი | 24 | 5 | 4 | 15 | 23:51 | 19 |
| იანინა | 24 | 4 | 6 | 14 | 18:32 | 18 |
| იონიკოსი | 23 | 3 | 7 | 13 | 15:35 | 16 |
| პანაჰაიკი | 24 | 1 | 5 | 18 | 8:56 | 8 |

### ჩეხეთი

**21-ე ტური:** ბოჰემიანსი — ჰ. კრალოვე 3:1; ბუდეიოვიცე — სინოტი 2:1; სპარტა — ბრნო 1:0; იაბლონეცი — ბლშანი 2:1; პრჟიბრამი — ბანიკი 2:1; სიგმა — ჟიჟკოვი 0:0; ზლინი — სლავია 1:1; ტეპლიცე — ლიბერეცი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 21 | 15 | 3 | 3 | 36:9 | 48 |
| სლავია | 21 | 12 | 8 | 1 | 42:14 | 44 |
| ტეპლიცე | 21 | 11 | 3 | 7 | 26:23 | 36 |
| ლიბერეცი | 21 | 11 | 2 | 8 | 31:29 | 35 |
| ჟიჟკოვი | 21 | 10 | 5 | 6 | 29:26 | 35 |
| ბანიკი | 21 | 10 | 4 | 7 | 31:23 | 34 |
| სინოტი | 21 | 8 | 5 | 8 | 24:24 | 29 |
| პრჟიბრამი | 21 | 7 | 6 | 8 | 27:24 | 27 |
| ბუდეიოვიცე | 21 | 8 | 3 | 10 | 27:34 | 27 |
| ბლშანი | 21 | 7 | 3 | 11 | 22:27 | 24 |
| იაბლონეცი | 21 | 5 | 9 | 7 | 23:31 | 24 |
| ზლინი | 21 | 5 | 8 | 8 | 22:31 | 23 |
| სიგმა | 21 | 5 | 7 | 9 | 18:22 | 22 |
| ბრნო | 21 | 5 | 6 | 10 | 20:24 | 21 |
| ბოჰემიანსი | 21 | 4 | 6 | 11 | 30:44 | 18 |
| ჰ. კრალოვე | 21 | 1 | 10 | 10 | 17:40 | 13 |

### პოლონეთი

**30-18 ტური:** გურნიკი — გროცლინი 0:0; ამიცა — პლოცკი 2:2; კატოვიცე — ლეხი 1:0; ოსტროვეცი — რუხი 0:2; ოდრა — გარბარნია 4:0; პოგონი — ლეგია 0:4; პოლონია — ვიძევი 1:0; ვისლა — ზაგლებე 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 18 | 12 | 4 | 2 | 51:21 | 40 |
| კატოვიცე | 18 | 12 | 2 | 4 | 24:11 | 38 |
| ოდრა | 18 | 11 | 4 | 3 | 35:22 | 37 |
| ლეგია | 18 | 10 | 6 | 2 | 34:19 | 36 |
| გროცლინი | 18 | 9 | 6 | 3 | 30:20 | 33 |
| გურნიკი | 18 | 6 | 7 | 5 | 27:19 | 25 |
| პოლონია | 18 | 7 | 4 | 7 | 24:28 | 25 |
| რუხი | 18 | 6 | 6 | 6 | 18:24 | 24 |
| ამიცა | 18 | 5 | 7 | 6 | 24:24 | 22 |
| პლოცკი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:25 | 20 |
| გარბანია | 18 | 5 | 5 | 8 | 29:37 | 20 |
| ლეხი | 18 | 4 | 7 | 7 | 21:23 | 19 |
| ზაგლებე | 18 | 4 | 5 | 9 | 20:24 | 17 |
| ვიძევი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:29 | 15 |
| ოსტროვიცი | 18 | 4 | 3 | 11 | 17:35 | 15 |
| პოგონი | 18 | 1 | 3 | 14 | 11:39 | 6 |

### შვეიცარია

#### A ჯგუფი. IV ტური

**ვილი 1:1 სერვეტი**

1:0 ბამბა (26), 1:1 კომიზეტი (31)

**ციურიხი 1:1 თუნი**

0:1 რამა (79), 1:1 ფ. გერერო (90)

**იანგ ბოისი 3:1 ქსამაქსი**

1:0, 2:0 შაპუიზა (15, 25), 3:0 ა. პეტროსიანი (38), 3:1 რეი (43)

**ბაზელი 2:2 გრასჰოპერი**

0:1 კაბანასი (12), 1:1 ხიმენესი (73), 1:2 პეტრიჩი (76), 2:2 მ. იაკინი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 35 |
| ბაზელი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 31 |
| ქსამაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 23 |
| იანგ ბოისი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 22 |
| ციურიხი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 18 |
| თუნი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 18 |
| ვილი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 18 |
| სერვეტი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 17 |

#### A/B ჯგუფი. IV ტური

**ლუცერნი 2:1 კრიენსი**

0:1 ნერი (5), 1:1 მუფი (45), 2:1 ჩენჩი (89)

**ლუცერნი:** ჰილფიკერი, როტა, **ჩაველაშვილი** (ნალდო 75), მუფი, ჰოდელი, მალაკარნე, ბიაჯი, ანდრეოლი, ჟოლერი, ჯამპიეტრი (ბრანდი 65), ჩენჩი

ლუგანო — აარაუ 1:2; სიონი — დელემონი 1:0; ვადუცი — სენტ გალენი 1:1

#### B ჯგუფი. IV ტური

**ბადენი — ბელინცონა 2:1; შაფჰაუზენი — ვინტერთური 2:2; ლოზანა — ივერდონი 1:1. *ვოლენი — კონკორდია გადაიდო***






# ჩინტოფალსკი

## სპარტაკი სპარტაკისთვის მგელია

### რუსეთი

#### პრემიერლიგა. II ტური

**რუბინი 1:0 ტორპედო-მეტალურგი**

1:0 ნოვოტნი (18)

**ჩერნომორეცი 1:1 ურალანი**

0:1 პასონი (15), 1:1 გარინი (66)

**როტორი 1:2 ცსკა**

0:1 გუსევი (12), 0:2 სემაკი (15), 1:2 მიხინი (68)

**ლოკომოტივი 1:2 ზენიტი**

1:0 პიმენოვი (11), 1:1 კონოპლიოვი (41), 1:2 კერჟაკოვი (63)

**სპარტაკი 1:2 სპარტაკ-ალანია**

0:1 მიხოლაპსი (19), 1:1 პავლენკო (34), 1:2 გ. ბაზაევი (64)

**დინამო 2:1 კრილია სოვეტოვი**

1:0 ალბერტო (24), 1:1 ტიხონოვი (31), 2:1 დემკინი (89)

**როსტოვი 1:1 შინიკი**

1:0 მასლოვი (36), 1:1 კუშევი (70)

**სატურნი 2:0 ტორპედო**

1:0 როგაჩოვი (10), 2:0 ჯ. ბაზაევი (53)

**როცა** ვლადიკავკაზურ კლუბს მხოლოდ „ალანია" ერქვა, მოსკოვის „სპარტაკმა" შინ ათიდან ცხრაჯერ მოუგო. როცა „ალანია" 1994-ში „სპარტაკ-ალანიად" მოინათლა (იმ სეზონში ჩემპიონიც გახდა) მოსკოველებმა ერთ მატჩშიც ვერ სძლიეს. ამჯერადაც ასე მოხდა. კვლავ „სპარტაკ-ალანიად" წოდებულმა ვლადიკავკაზელებმა ნახევრად სეზნია მეტოქე სტუმრად დაჯაბნეს. ოსთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა მატჩის შემდეგ თქვა: „მოსკოვში „სპარტაკის" დამარცხება რთული საქმეა და მით უფრო სასიხარულო. ვულოცავ საკუთარ თავს და ჩემს ყველა ფეხბურთელს. მათ შესანიშნავად ითამაშეს".

ყინვისგან დაშინებულ გუნდებს მოედანზე სასეირნოდ არ ეცალათ და გასახურებლად ერთურთის კარს შეუტიეს. თავიდან უფრო მასპინძლები ყოჩაღობდნენ. ისინი რამდენჯერმე დაემუქრნენ კიდეც სტუმართა მეკარე გონჩაროვს, რომელიც ვლადიკავკაზში მოსკოვის „სპარტაკიდან" გადავიდა. გონჩაროვმა ყოფილ თანაგუნდელებს არ გაატანინა, მისმა მაროკოელმა კოლეგამ კი ალანიელი მიხოლაპის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა. ვარზიეკმა შორიდან დაჰკრა, ბურთი მცველების ფეხიდან მიხოლაპს მიუგორდა და მანაც მაროკოელ ბაგის გაუტანა.

მოსკოველის გოლიც მსგავსი გამოდგა. ტიტოვის გარღვევის შემდეგ გეზნაცვალი ბურთი პავლენკოს ფეხთან აღმოჩნდა, რომლის დარტყმულითაც ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმში „სპარტაკის" მაროკოელმა მეკარემ კარი ხიფათისგან არაერთხელ იხსნა, მაგრამ სრულიად უწყინარ ვითარებაში ბაგიმ გიორგი ბაზაევისგან მეორე გოლი გაუშვა. საგოლე პასი კი მიხეილ აშვეთიამ მიითვალა.

რუსეთის ჩემპიონს, „ლოკომოტივს", 2001 წლის 18 აპრილიდან შინ თამაში არ წაეგო და სერია სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" შეუწყვიტა. მატჩი ძალიან დაძაბული იყო. მასპინძლები 29-ჯერ დაჯარიმდნენ და ბოლოს კაცნაკლულნიც დარჩნენ. მიუხედავად ლოკომოტიველი პიმენოვის ადრეული გოლისა, ჩეხი სპეციალისტის დამოძღვრილმა „ზენიტმა" ნაკრების ორი წევრის ხარჯზე მოიგო. კონოპლიოვმა პირველი ტაიმის მიწურულს, კერჟაკოვმა კი მეორის დასაწყისში „ლოკომოტივის" მარცხი გამოაცხვეს. პეტერბურგელთა სლოვაკმა მეკარემ, კამილ ჩონტოფალსკიმ, არაერთი ბურთი გამოაძრო კარიდან, მატჩის შემდეგ კი მილოცვები მიიღო, მწვრთნელ-ფეხბურთელები სულ ზედ ახტებოდნენ.

შედეგით უკმაყოფილო სერგი ოვჩინიკოვმა შეხვედრის დასრულებისას იერიში მსაჯებზე მიიტანა, „ზენიტის" ფანებმა კი „ლოკომოტივის" მოთამაშეები უხეშობისთვის ლანძღეს.

ისტორიული, პირველი პრემიერლიგური გამარჯვება იზეიმა დებიუტანტმა, ყაზანის „რუბინმა". ყაზანში მატჩის დაწყებამდე საზეიმო ცერემონიალი გამართეს. ერთადერთი გოლი პრაღის „სპარტას" ყოფილმა კაპიტანმა ირჟი ნოვოტნიმ გაიტანა, რომელიც საჯარიმოს შესრულებისას მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს.

ვალერი გაზაევს ვოლგოგრადი კარგად აქვს დაცდილი. შარშან მისმა ნაკრებმა იქ ალბანეთი გაანადგურა, ახლა კი ცსკა-მ „როტორს" სძლია. არმიელთა პირველი გოლის ავტორს, როლან გუსევს, შვილი შეეძინა. გოლიც მას მიუძღვნა და ბებეტოსავით ხელებს არწევდა. ცსკა-მ მოიგო, თუმცა მატჩის მეტი წილი საკუთარ ნახევარზე გაატარა და ვოლგოგრადელებს შეხვედრის ბოლოს ერთი ქულის დაცინცვლაც შეეძლოთ, მათ ფორვარდებს მომენტები რომ არ გაენიავებინათ.

ნოვოროსიისკში პირველი იტალიური გოლი გავიდა. „ჩერნომორეცის" კარში „ურალანის" ლეგიონერმა დარიო პარონიმ გაიტანა, თუმცა მასპინძლებმა შესვენების შემდეგ გაქვითეს და ქულა გადაარჩინეს.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ზენიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სატურნი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ალანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუბინი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| როსტსელმაში | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| შინიკი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ჩერნომორეცი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| როტორი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კრილია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ურალანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ტ. მეტალურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |




ლოკომოტივი — ზენიტი. დედაქალაქელებმა მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლუკაშ გარტიგას ბურთი არ დაანებეს



REUTERS

ლე ავრი — მონაკო. მასპინძლებმა ლუკას ბერნარდი წამოაქციეს

# წყვილად აიღეთ

## ლიონი ძმობაში იჭრება

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXXI ტური**

**ნიცა 0:1 ლიონი**

0:1 ჟუნინიო პერნამბუკანო (83)

**მონპელიე 1:2 მარსელი**

0:1 საკო (22), 1:1 რუვიე (71), 1:2 ვან ბუიტენი (84)

**ოსერი 0:0 ლანსი**

**აიაჩო 1:0 რენი**

1:0 ლაკომბი (48)

**ბორდო 0:0 ნანტი**

**გენგამი 2:0 ტრუა**

1:0 დროგბა (66), 2:0 მალუდა (90)

**ლე ავრი 0:3 მონაკო**

0:1 ნონდა (23პ), 0:2 პრსო (27), 0:3 ევრა (29)

**ლილი 1:1 ბასტია**

1:0 ბრუნელი (32პ), 1:1 ესიენი (90)

**პსჟ 2:0 სედანი**

1:0 პოჩეტინიო (68), 2:0 პედრონი (85)

**სტრასბური 1:3 სოშო**

0:1 ფრო (32), 0:2 პაგი (49), 1:2 პენა (72), 1:3 ისმაელი (86ს.კ.)

„მონაკო" და „მარსელი" დაძმობილდნენ. 28 იანვრიდან მოყოლებული, ბოლო რვა ტურში ოთხჯერ, „მონაკომ" და „მარსელმა" ერთად მოიგეს, ერთხელ კი ერთად დამარცხდნენ. ალბათ ამიტომაც არიან წყვილად ოცეულის თავში. მათ ძმობაში ჩაზიარების მსურველი კიდევ რამდენიმე გუნდია, მაგრამ „ლიონს" ყველაზე მეტი შანსი აქვს.

„მონაკომ" საკმაოდ იოლად სძლია „ლე ავრს". დიდიე დეშანის ბიჭები პირველი ნახევრის შუაში „აფეთქდნენ" და შესვენებამდე მოათავეს საკეთებელი. მასპინძელმა სულეიმან დიარამ დადო პრსო საჯარიმოში საპენალტედ დასცა. მონაკოელთა მთავარმეგოლეს, შაბანი ნონდას ფეხი არ აუკანკალებია და თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა. ოთხიოდ წუთში იმავე დიარას ხორვატი პრსო მეორედ დაუსხლტა და სხვაობა ორამდე გაზარდა. მალევე პატრის ევრამ ხორვატის პასით მესამე გაიტანა, რითაც „ლე ავრს" საბოლოოდ მოუსპო ქულის გადარჩენის იმედი.

მეორე ტაიმში სტუმრებს ანგარიშის შესანარჩუნებლად დიდი ჯაფა არ დასდგომიათ და მარაგი მორიგი სამი ქულით გაიმდიდრეს. დიდიე დეშანი: „ჩვენ მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ 3:0-ის შემდეგ ბიჭებმა თავი აღარ შეიწუხეს. ჩემთვის მთავარია, რომ გოლი არ გავუშვით".

„მონაკოსგან" განსხვავებით, „მარსელს" მონპელიეში გაუჭირდა. „მონპელიე" თავად დასდევს ქულებს მოსაგროვებლად, რადგან ქვედა დივიზიონში წერილის წაღება არ სურს. მასპინძლები მარსელელებს გვარიანად გაუძალიანდნენ, მაგრამ სტუმრებს ბელგიელმა მცველმა, დანიელ ვან ბუიტენმა უშველა. მცველი კი ჰქვია, თუმცა თავის გუნდს უკვე 7 გოლით შეეწია. ვან ბუიტენზე ნადირობა ევროპელმა ბობოლებმა რა ხანია დაიწყეს. ფრანგული პრესის ცნობით, ვან ბუიტენს „მანჩესტერ იუნაიტედი" ფეხდაფეხ დასდევს და მომავალ სეზონში შეიძლება ალექს ფერგიუსონის შეგირდი გახდეს. როგორც ფეხბურთელმა ბრძანა, თვითონაც არაა წინააღმდეგი, ძალები დიდ „მანჩესტერში" მოსინჯოს.

„მარსელი" ლამის სახომ დააწინაურა. ფაბიენ სელესტინმა სახოს ფეხზე დაასვა ბურთი და ფორვარდმაც ერთი შეხებით კარში გადააგზავნა. „მონპელიე" გააფთრებით უტევდა, სტუმრები კი ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ. „მონპელიემ" მეორე ნახევრის შუაწელში გაათანაბრა. სედრიკ ბარბოზამ ჟან კრისტოფ რუვიერი საჯარიმოს წინ მოძებნა. რუვიერის დარტყმული ბურთი ვედრან რუნიჱმ მხოლოდ კარში დაინახა, რადგან დარტყმის მომენტი მცველებმა დაუბნელეს. „მარსელს" სამი ქულა ზემოხსენებულმა დანიელ ვან ბუიტენმა მოუტანა, რომელმაც ლამინ სახოს კუთხური შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გოლად აქცია.

დაძმობილებულ წყვილს ერთი დღის დაგვიანებით ჩემპიონი „ლიონი" მიუცუცქდა. „ლიონმა" კერკეტ „ნიცას" კარს მთელი მატჩის განმავლობაში უტრიალა, თუმც ბოლოსღა იხეირა. სტუმრებს დაწინაურება შესვენებამდე შეეძლოთ — სიდნეი გოვუს დარტყმული ძელმა უკუაგდო. მეორე ტაიმში ლიონელებმა კიდევ უფრო მოინდომეს და ჟუნინიომ ბურთი მაინც შეაპარა ნიცელთა კარში.

პსჟ-ს დაძაბუნებული „სედანი" ესტუმრა. პარიზელებმა თავშივე მოინდომეს მეტოქის გატეხვა, მაგრამ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. შესვენების შემდეგ „სედანი" პარიზელთა სიჩქარეებმა დაქანცა და დაეცა. რონალდინიოს პასით მაურისიო პოჩეტინიომ მასპინძლები დააწინაურა, ხოლო სტეფან პედრონმა შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მეორეც მიამატა.

რონალდინიომ თქვა, რომ ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას მომავალი სეზონიდან, მაგრამ პარიზშიც კარგად გრძნობს თავს. ბრაზილიელს გასულ პარასკევს 23 წელი შეუსრულდა: „პირადად მე მჯერა — ჩემპიონობის შანსი კიდევ გვაქვს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. იმედი მაქვს, კონკურენტები ქულებს დაკარგავენ, ჩვენ კი მოგებების სერიას ავაწყობთ".

„ბასტიამ" „ლილს" ბოლო წუთზე ქულა გამოჰგლიჯა. მასპინძლები პირველ ტაიმში ფილიპ ბრუნელის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მიკაელ ესიენმა მსაჯის მიერ დამატებულში ოცდახუთიოდ მეტრიდან ისეთი დაჰკრა, გრეგორი უიმბეს ნახტომი ამაო გამოდგა.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 31 | 15 | 10 | 6 | 49:24 | 55 |
| მარსელი | 31 | 16 | 7 | 8 | 34:27 | 55 |
| ლიონი | 31 | 15 | 9 | 7 | 53:35 | 54 |
| ბორდო | 31 | 14 | 9 | 8 | 42:29 | 51 |
| სოშო | 31 | 13 | 10 | 8 | 35:28 | 49 |
| ნანტი | 31 | 14 | 7 | 10 | 34:29 | 49 |
| პსჟ | 31 | 13 | 9 | 9 | 44:30 | 48 |
| ნიცა | 31 | 11 | 13 | 7 | 33:24 | 46 |
| ოსერი | 30 | 12 | 9 | 9 | 28:26 | 45 |
| ლანსი | 31 | 10 | 14 | 7 | 35:27 | 44 |
| ბასტია | 31 | 12 | 8 | 11 | 33:34 | 44 |
| გენგამი | 31 | 13 | 4 | 14 | 41:44 | 43 |
| სტრასბური | 31 | 9 | 10 | 12 | 33:43 | 37 |
| ლე ავრი | 31 | 9 | 8 | 14 | 23:36 | 35 |
| ლილი | 31 | 8 | 9 | 14 | 26:41 | 33 |
| რენი | 31 | 8 | 8 | 15 | 24:34 | 32 |
| აიაჩო | 31 | 7 | 11 | 13 | 23:36 | 32 |
| მონპელიე | 31 | 7 | 9 | 15 | 29:42 | 30 |
| სედანი | 30 | 8 | 6 | 16 | 30:46 | 30 |
| ტრუა | 31 | 6 | 8 | 17 | 20:34 | 26 |

**II დივიზიონი**

30-30 ტური. ლე მანი — კრეტეი 2:1; ამიენი — გრენობლი 1:1; გენიონი — ლავალი 2:1; ისტრი — კაენი 0:4; ლორიანი — კლერმონი 0:0; მეცი — ვალანსი 1:2; ნიორი — ვასკეალი 1:1; რეიმსი — შატორუ 0:1; სენტ ეტიენი — ბოვე 1:0; ტულუზი — ნანსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 29 | 16 | 8 | 5 | 42:18 | 56 |
| მეცი | 30 | 15 | 8 | 7 | 40:25 | 53 |
| შატორუ | 30 | 15 | 8 | 7 | 36:25 | 53 |
| ლე მანი | 30 | 14 | 10 | 6 | 37:29 | 52 |
| ლორიანი | 29 | 13 | 9 | 7 | 33:25 | 48 |
| ლავალი | 30 | 12 | 6 | 12 | 32:33 | 42 |
| გრენობლი | 30 | 9 | 12 | 9 | 31:21 | 39 |
| კაენი | 30 | 9 | 12 | 9 | 37:33 | 39 |
| ამიენი | 30 | 10 | 9 | 11 | 23:26 | 39 |
| კლერმონი | 30 | 11 | 6 | 13 | 34:40 | 39 |
| ვალანსი | 30 | 10 | 8 | 12 | 32:34 | 38 |
| სენტ ეტიენი | 29 | 8 | 12 | 9 | 27:26 | 36 |
| ნიორი | 30 | 9 | 9 | 12 | 30:34 | 36 |
| გენიონი | 29 | 9 | 9 | 11 | 27:31 | 36 |
| ნანსი | 29 | 8 | 10 | 11 | 26:35 | 34 |
| კრეტეი | 29 | 6 | 13 | 10 | 30:34 | 31 |
| ვასკეალი | 29 | 5 | 16 | 8 | 18:23 | 31 |
| ისტრი | 30 | 7 | 10 | 13 | 22:46 | 31 |
| ბოვე | 30 | 7 | 8 | 15 | 15:25 | 29 |
| რეიმსი | 29 | 5 | 13 | 11 | 22:31 | 28 |

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. XXV ტური**

**პსვ ეინდჰოვენი 2:0 აიაქსი**

1:0, 2:0 კეჟმანი (10პ, 88)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბუმა (ჰაინცე 61), ოიერი, ბოგელუნდი (ფაბერი 34), ი. ლი, რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი, კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ლეანდრო 46)

*გოგა გახოკიძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, კივუ, ობრაიენი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, მაქსველი (სნეიდერი 76), პიენაარი (ბუხარი 71), იბრაჰიმოვიჩი, ვან დერ მეიდე (ვან დამი 87)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: ვან ბომელი, ტრაბელსი, კივუ, კოვუ

გაძევება: კოვუ (70)

35 000 მაყურებელი

**ბრედა 0:0 ტილბურგი**

**უტრეხტი 0:0 გრონინგენი**

**ფეიენოორდი 5:0 ჰერენვენი**

1:0 ბუფელი (10), 2:0 ვან პერსი (50), 3:0, 4:0, 5:0 ვან ჰოიდონკი (58, 62, 67პ)

**როზენდალი 3:1 ვიტესი**

1:0 ვოსი (13პ), 2:0 დე გრააფი (30), 3:0 დენ ოუდენი (61), 3:1 მბამბა (90)

**როდა 2:1 ნაიმეგენი**

0:1 დემუგი (1), 1:1 ფილიპოვიჩი (34), 2:1 ანასტასიუ (57)

**ტვენტე 2:1 ვალვაიკი**

0:1 იანსენი (15), 1:1 ჰოუვინგი (43), 2:1 პოლაკი (90)

**ალკმაარი 3:1 გრააფსხაპი**

1:0 ვან გალემი (41), 2:0 ნელისე (45), 2:1 დუიტსი (52), 3:1 ბიუსკერმოლემი (58)

**ექსელსიორი 0:1 ზვოლე**

0:1 ლიმ-დუანი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 25 | 21 | 3 | 1 | 63:11 | 66 |
| აიაქსი | 25 | 17 | 5 | 3 | 62:24 | 56 |
| ფეიენოორდი | 25 | 17 | 4 | 4 | 68:29 | 55 |
| როდა | 25 | 11 | 7 | 7 | 39:34 | 40 |
| ვალვაიკი | 25 | 12 | 4 | 9 | 32:31 | 40 |
| უტრეხტი | 25 | 9 | 9 | 7 | 33:29 | 36 |
| ნაიმეგენი | 25 | 10 | 6 | 9 | 31:33 | 36 |
| ბრედა | 25 | 8 | 11 | 6 | 28:22 | 35 |
| ალკმაარი | 25 | 10 | 5 | 10 | 39:53 | 35 |
| ტილბურგი | 25 | 9 | 6 | 10 | 36:34 | 33 |
| ჰერენვენი | 25 | 8 | 7 | 10 | 40:42 | 31 |
| ტვენტე | 25 | 7 | 9 | 9 | 28:37 | 30 |
| როზენდალი | 25 | 8 | 5 | 12 | 28:37 | 29 |
| გრონინგენი | 25 | 5 | 7 | 13 | 24:36 | 22 |
| ვიტესი | 25 | 5 | 5 | 15 | 23:40 | 20 |
| ზვოლე | 25 | 5 | 5 | 15 | 21:52 | 20 |
| ექსელსიორი | 25 | 4 | 7 | 14 | 28:48 | 19 |
| გრააფსხაპი | 25 | 4 | 5 | 16 | 24:55 | 17 |

**II დივიზიონი**

25-ე ტური: კამბური — მაასტრიხტი 4:1; ემენი — დორდრეხტი 3:2; იგლსი — ვენლო 2:0; ჰაარლემი — ვეენდამი 2:2; ჰელმონდი — ეინდჰოვენი 1:1; ჰერაკლესი — დენ ჰააგი 1:1; ოსი — სიტარდი 3:2; ვოლენდამი — დენ ბოსხი 3:1; სპარტა — ტელსტარი 1:1

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXV ტური**

**გიოზთეფე 1:2 ქოჯაელი**

1:0 შენოლი (1), 1:1 ისაანი (27), 1:2 იმედაძე (63)

ქოჯაელი: აჰმეთ შაჰინი, ალთანი, ჯემ სინანი, ემრაჰი (ისაანი 18), ენგინი, ფარუკი (სავაში 60), ჰუსეინი, დიდავა, ნური, ომერი, ჯანაშია (იმედაძე 52)

*რევაზ ძემიკიძე დისკვალიფიცირებულია*

მწვრთნელი: გიუვენჩ ქურთარი

ტრაბზონი — ბურსა 3:0; დენიზლი — გენჩლერი 1:3; გალათასარაი — ელაზიგი 3:0; გიოზთეფე — ქოჯაელი 1:2; გაზიანთეფი — ბეშიქთაში 1:1; ანკარაგიუჯიუ — სამსუნი 3:2; მალათია — ადანა 1:0; ფენერბაჰჩე — ალთაი 0:1; დიარბაქირი — ისთანბული 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 24 | 17 | 7 | 0 | 46:15 | 58 |
| გალათასარაი | 25 | 18 | 3 | 4 | 42:20 | 57 |
| გენჩლერი | 25 | 17 | 5 | 3 | 61:25 | 56 |
| ტრაბზონი | 25 | 12 | 8 | 5 | 38:21 | 44 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 12 | 7 | 5 | 46:27 | 43 |
| გაზიანთეფი | 25 | 10 | 9 | 6 | 41:28 | 39 |
| მალათია | 25 | 10 | 8 | 7 | 39:31 | 38 |
| ანკარაგიუჯიუ | 25 | 10 | 3 | 12 | 31:32 | 33 |
| დენიზლი | 24 | 8 | 7 | 9 | 27:28 | 31 |
| დიარბაქირი | 24 | 7 | 7 | 10 | 27:32 | 28 |
| ისთანბული | 25 | 7 | 5 | 13 | 29:39 | 26 |
| სამსუნი | 25 | 7 | 5 | 13 | 27:44 | 26 |
| ალთაი | 25 | 7 | 5 | 13 | 30:49 | 26 |
| ადანა | 25 | 5 | 8 | 12 | 24:41 | 23 |
| ბურსა | 25 | 5 | 8 | 12 | 27:47 | 23 |
| ელაზიგსფორი | 25 | 5 | 7 | 13 | 24:42 | 22 |
| გიოზთეფე | 25 | 4 | 9 | 12 | 23:41 | 21 |
| ქოჯაელი | 25 | 5 | 3 | 17 | 24:44 | 18 |

### პორტუგალია

**I ლიგა. XXVI ტური**

**გიმარაეში 1:1 ბრაგა**

0:1 კაშტანეირა (72), 1:1 რ. ალმეიდა (74)

**მარიტიმუ 2:0 ვარზიმი**

1:0, 2:0 გაუშუ გომეში (33, 82)

**ბეირა მარი 3:1 ფერეირა**

1:0 ჟოაუ არმანდუ (4ს.კ.), 1:1 კადუ სოუზა (9), 2:1, 3:1 ფეიე ფერი (17, 59)

**სეტუბალი 0:2 მორეირენსე**

0:1 ჟ. პერეირა (14), 0:2 მონტანინი (82)

**ლეირია 0:0 აკადემიკა**

**ბენფიკა 1:0 სანტა კლარა**

1:0 სიმაო (62პ)

**ჟილ ვისენტე 1:0 სპორტინგი**

1:0 შონტრაუ (41)

**მადეირა — პორტუ**

**ბოავიშტა — ბელენენსეში**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 21 | 3 | 1 | 54:19 | 66 |
| ბენფიკა | 26 | 17 | 5 | 4 | 54:19 | 56 |
| სპორტინგი | 26 | 15 | 4 | 7 | 40:27 | 49 |
| გიმარაეში | 26 | 12 | 6 | 8 | 41:33 | 42 |
| ჟილ ვისენტე | 26 | 12 | 3 | 11 | 36:37 | 39 |
| ლეირია | 26 | 10 | 7 | 9 | 36:36 | 37 |
| ბოავიშტა | 25 | 7 | 10 | 8 | 24:23 | 31 |
| ბელენენსეში | 25 | 8 | 7 | 10 | 32:36 | 31 |
| ფერეირა | 26 | 8 | 7 | 11 | 27:36 | 31 |
| მარიტიმუ | 26 | 9 | 4 | 13 | 29:40 | 31 |
| ბრაგა | 26 | 7 | 10 | 9 | 23:35 | 31 |
| მორეირენსე | 26 | 7 | 9 | 10 | 32:34 | 30 |
| ნასიონალი | 25 | 7 | 9 | 9 | 28:32 | 30 |
| ვარზიმი | 26 | 8 | 5 | 13 | 29:35 | 29 |
| სანტა კლარა | 26 | 6 | 9 | 11 | 31:39 | 27 |
| აკადემიკა | 26 | 6 | 8 | 12 | 27:39 | 26 |
| ბეირა მარი | 26 | 6 | 7 | 13 | 30:44 | 25 |
| სეტუბალი | 26 | 4 | 11 | 11 | 28:37 | 23 |

**II ლიგა**

26-ე ტური: ლეცა — მადეირა 1:0; შავეში — ფარენსე 1:0; ნავალი — სალგეიროში 3:0; ალვერკა — ამადორა 0:1; ავეში — ლამაში 2:1; კოვილია — მაია 1:1; ოვაირენსე — ფელგეირაში 4:1; რიუ ავე — პორტიმონენსე 3:2; მარკუ — პენაფიელი 2:1

### ბელგია

**იუპილერლიგა**

**XXVII ტური**

**გენტი 1:0 ბეერსხოტი**

1:0 კრაუში (37)

**ანტვერპენი 1:2 ლოკერენი**

1:0 გომესი (12), 1:1 კიმოტო (34), 1:2 გრეტარსონი (65)

**შარლერუა 0:1 ლიერსი**

0:1 დელორგი (79)

**მუსკრონი 1:2 სენტ ტრუიდენი**

0:1 ბიუვენსი (4), 1:1 მარჩინ ჟევლაკოვი (64), 1:2 კალისა (68)

**გენკი 2:0 მონსი**

1:0 რუმანი (2), 2:0 ტიისი (70)

**სტანდარდი 4:0 ლომელი**

1:0 აარსტი (37), 2:0 უსალაჰი (68), 3:0 სკავონე (70ს.კ.), 4:0 აარსტი (72)

**მეხელენი 0:1 ლუვიე**

0:1 კორემანი (55)

**ვესტერლო 2:0 ბევერენი**

1:0 დელენი (3), 2:0 ბრონო (70პ)

**ანდერლეხტი 5:1 ბრიუგე**

1:0 ლოვრე (28), 1:1 6. ჩეპი (38), 2:1, 3:1 იესტროვიჩი (43, 45), 4:1 ჟუნიორი (58), 5:1 დინდანე (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 26 | 22 | 1 | 3 | 81:27 | 67 |
| ანდერლეხტი | 26 | 18 | 2 | 6 | 59:28 | 56 |
| ლოკერენი | 26 | 17 | 4 | 5 | 60:35 | 55 |
| ლიერსი | 26 | 16 | 7 | 3 | 42:23 | 55 |
| გენკი | 26 | 14 | 6 | 6 | 61:39 | 48 |
| სენტ ტრუიდენი | 26 | 14 | 6 | 6 | 54:33 | 48 |
| სტანდარდი | 26 | 11 | 7 | 8 | 43:32 | 40 |
| გენტი | 26 | 12 | 2 | 12 | 40:42 | 38 |
| მონსი | 26 | 10 | 3 | 13 | 32:35 | 33 |
| მუსკრონი | 26 | 9 | 5 | 12 | 41:50 | 32 |
| ლუვიე | 26 | 8 | 7 | 11 | 29:32 | 31 |
| ვესტერლო | 26 | 8 | 3 | 15 | 23:41 | 27 |
| ანტვერპენი | 26 | 7 | 5 | 14 | 35:47 | 26 |
| ბევერენი | 26 | 8 | 2 | 16 | 32:60 | 26 |
| ლომელი | 26 | 7 | 3 | 16 | 28:48 | 24 |
| ბეერსხოტი | 26 | 6 | 4 | 16 | 37:48 | 22 |
| შარლერუა | 26 | 5 | 6 | 15 | 30:56 | 21 |
| მეხელენი | 26 | 3 | 5 | 18 | 18:69 | 14 |

**მეორე დივიზიონი**

27-ე ტური: რუზელარე — დაინცე 1:2; სტრომბეკი — ვირტონი 1:1; პატრო — ლიეჟი 1:4; ტინენი — ვარეგემი 3:0; რონსი — დეხელი 0:2; სერკლი — დენდერლეუ 2:2; ვიზეტი — გეელი 0:1; ჰამე — ჰეუსდენი 2:1

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 001 | უნიონი-როიტლინგენი | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 002 | ბაბელსბერგი-კილი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 003 | ელვერსბერგი-ბაიერნი(მ) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVII ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 004 | საარბრიუკენი-აუგსბურგი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 005 | უნტერჰახინგი-ოფენბახი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 006 | უნტერჰახინგი-ოფენბახი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 007 | აინტრახტი(მ)-ერფურტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 17.30 | 008 | რეგენსბურგი-ბაიერნი(მ) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 009 | ჰოფენჰაიმი-ვეენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.30 | 010 | კიკერსი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 011 | ზიგენი-ფულენდორფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 012 | დარმშტადტი-შვაინფურტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 013 | ბრაიტონი-კრისტალ პალასი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 23.45 | 014 | ბარნსლი-ბრედფორდი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.45 | 015 | ნორვიჩი-უიმბლდონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.45 | 016 | შეფილდი-ჯილინგემი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 017 | დერბი-მილუოლი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 018 | ჯილინგემი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 019 | ნორვიჩი-ბრედფორდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 020 | უოლსლი-უოტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 021 | ბლეკპული-ქუინს პარკი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 022 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 023 | ბრისტოლი-ბარნსლი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 024 | კოლჩესტერი-სუინდონი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 025 | ქრიუ-სტოკპორტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 026 | ქრიუ-სტოკპორტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 027 | მენსფილდი-პიტერბორო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 028 | ნოტსი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 029 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 030 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 031 | უიგანი-პლიმუთი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 032 | ბერი-ოქსფორდი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 23.45 | 033 | კემბრიჯი-ბორნმუთი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 034 | ლინკოლნი-კიდერმინსტერი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.45 | 035 | შრუსბერი-ტორკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 036 | სუონსი-ოქსფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 037 | კემბრიჯი-სკანთორპი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 038 | დარლინგტონი-ბერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 039 | ჰარტლპული-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 040 | ლინკოლნი-როვერსი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 19.00 | 041 | მაკლსფილდი-კიდერმინსტერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 042 | რაშდენი-ექსეტერი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 19.00 | 043 | ტორკი-ბოსტონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 044 | იორკი-საუთენდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **იტალია. "C1 B". გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 070 | ლანჩანო-ვიტერბესე | 1,7 | 2,8 | 6,5 | 1,05 | 1,34 | 1,95 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 083 | ეიბარი-კომპოსტელა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 20.00 | 084 | ხერესი-კორდობა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 24.00 | 085 | ლას პალმასი-ალბასეტე | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 00.30 | 086 | ელჩე-ლევანტე | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 15.00 | 087 | ლეგანესი-ეხიდო | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 20.00 | 088 | ბადახოსი-ტენერიფე | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 20.00 | 089 | სპორტინგი-სალამანკა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| 20.00 | 090 | ტერასა-ფეროლი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 20.00 | 091 | ალმერია-ოვიედო | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 21.00 | 092 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 23.30 | 093 | ნუმანსია-მურსია | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 22.15 | 094 | შატორუ-ტულუზი | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 095 | ბოვე-ნიორი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 096 | კაენი-სტ.ეტიენი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.00 | 097 | კლერმონი-ამიენი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 23.00 | 098 | კრეტეი-მეცი | 3,0 | 2,8 | 2,45 | 1,44 | 1,34 | 1,3 |
| 23.00 | 099 | გრენობლი-გენიონი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 23.00 | 100 | ლავალი-ისტრი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 101 | ნანსი-რეიმსი | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 23.00 | 102 | ვალანსი-ლე მანი | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| 23.00 | 103 | ვასკეალი-ლორიანი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 104 | დენ ბოსხი-დენ ჰააგი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 105 | გეელი-ვირტონი | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 106 | დესელი-რუსელარე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 107 | ეუპენი-დაინცე | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 108 | ინგელმუნსტერი-პატრო | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.00 | 109 | ტინენი-ლიეჟი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 110 | ვარეგემი-ვიგორი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.00 | 111 | რონსე-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 18.00 | 112 | სერკლი-ვიზეტი | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 18.00 | 113 | დენდერლეუ-ჰეუსდენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 114 | ალოა-ეარი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 118 | ფორფარი-ჰამილტონი | 2,2 | 3,4 | 2,9 | 1,33 | 1,25 | 1,56 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 119 | რეითი-სტენჰაუსმური | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 128 | სერვეტი-ციურიხი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 129 | ვოლენი-კონკორდია | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **ინგლისი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 130 | ჩელსი-არსენალი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 131 | ვილი-ქსამაქსი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.30 | 132 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 22.30 | 133 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 134 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 143 | სომხეთი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 19.00 | 144 | საქართველო-ირლანდია | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 19.00 | 145 | შოტლანდია-ისლანდია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.30 | 146 | უელსი-აზერბაიჯანი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 147 | უელსი-აზერბაიჯანი 0:1 | 1,45 | 3,5 | 4,2 | | | |
| 20.00 | 148 | რუმინეთი-დანია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 20.30 | 149 | ბელარუსი-მოლდოვა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.00 | 150 | კვიპროსი-ისრაელი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 21.00 | 151 | ალბანეთი-რუსეთი | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 152 | ლიხტენშტაინი-ინგლისი | 30,0 | 10,0 | 1,03 | 7,5 | 1 | 1 |
| 21.30 | 153 | ხორვატია-ბელგია | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 22.00 | 154 | გერმანია-ლიტვა | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 155 | გერმანია-ლიტვა 0:2 | 1,85 | 3,5 | 2,5 | | | |
| 22.00 | 156 | უკრაინა-ესპანეთი | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1,3 | 1,3 |
| 22.00 | 157 | მაკედონია-სლოვაკეთი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.00 | 158 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.15 | 159 | ბოსნია-ლუქსემბურგი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 160 | ბოსნია-ლუქსემბურგი 0:1 | 1,45 | 3,5 | 4,2 | | | |
| 23.30 | 161 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 162 | საფრანგეთი-მალტა | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 163 | საფრანგეთი-მალტა 0:4 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | | |
| 24.00 | 164 | იტალია-ფინეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 165 | იტალია-ფინეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **ევროპის შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 15.00 | 166 | სომხეთი(21)-ჩრდ.ირლანდია(21) | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 17.00 | 167 | საქართველო(21)ირლანდია(21) | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 17.30 | 168 | კვიპროსი(21)-ფინეთი(21) | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.30 | 169 | ხორვატია(21)-ბელგია(21) | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 19.00 | 170 | რუმინეთი(21)-დანია(21) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 171 | ბოსნია(21)-ლუქსემბურგი(21) | 1,04 | 10,0 | 25,0 | 1 | 1 | 7,14 |
| | 172 | ბოსნია(21)-ლუქსემბურგი(21) 0:4 | 2,2 | 4,0 | 2,0 | | | |
| 20.00 | 173 | უკრაინა(21)-ესპანეთი(21) | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 20.30 | 174 | პოლონეთი(21)-უნგრეთი(21) | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.15 | 175 | პორტუგალია(21)-ინგლისი(21) | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.30 | 176 | ჰოლანდია(21)-ჩეხეთი(21) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.30 | 177 | გერმანია(21)-ლიტვა(21) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 178 | გერმანია(21)-ლიტვა(21) 0:3 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | | |
| 23.30 | 179 | შოტლანდია(21)-ისლანდია(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 180 | შოტლანდია(21)-ისლანდია(21) 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.30 | 181 | უელსი(21)-აზერბაიჯანი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 182 | უელსი(21)-აზერბაიჯანი(21) | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 23.45 | 183 | საფრანგეთი(21)-მალტა(21) | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 184 | საფრანგეთი(21)-მალტა(21) | 0:4 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | |
| 24.00 | 185 | იტალია(21)-ფინეთი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 186 | იტალია(21)-ფინეთი(21) | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 187 | ალბანეთი(21)-რუსეთი(21) | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 17.00 | 188 | ბელარუსი(21)-მოლდოვა(21) | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.00 | 189 | მაკედონია(21)-სლოვაკეთი(21) | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 00.05 | 210 | კობრელოა-ოლიმპია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 03.10 | 211 | 12 დე ოქტუბრე-სანტოსი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 04.10 | 212 | რასინგი-უნივერსიტარიო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 00.10 | 213 | ბოლივარი-უნამ | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 02.30 | 214 | ალიანსა-ხიმნასია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 04.40 | 215 | კრუს ასული-კორინთიანსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 05.10 | 216 | ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 217 | სერო პორტენიო-პაისანდუ | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 04.10 | 218 | ამერიკა დე კალი-ელ ნასიონალი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 06.00 | 219 | სპ.კრისტალი-უნ.კატოლიკა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 220 | ავსტრია-საბერძნეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 03.30 | 221 | პარაგვაი-მექსიკა(აშშ-ში) | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 18.15 | 222 | სერბია-ბულგარეთი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 14.45 | 223 | იაპონია-ურუგვაი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 14.45 | 224 | კორეა-კოლუმბია | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 16.00 | 225 | ესტონეთი-კანადა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 00.15 | 226 | პორტუგალია-ბრაზილია | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 01.00 | 227 | აშშ-ვენესუელა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 06.30 | 228 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 229 | ჩილე-პერუ | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 611 | ტრჟინეცი-პარდუბიცე | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 612 | სპარტა-სლავია | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 619 | კიოლნი-კასელი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 631 | დავოსი-ბერნი | 1,45 | 4,8 | 4,4 | 1,11 | 1,09 | 2,29 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 651 | იოკერიტი-კერპეტი | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2,08 |
| 20.30 | 652 | ჰამეენლინა-ტაპარა | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 661 | ოტავა-კოლორადო | 2,25 | 3,3 | 2,8 | 1,33 | 1,24 | 1,51 |
| 04.00 | 662 | კაროლინა-ტორონტო | 2,8 | 3,4 | 2,2 | 1,53 | 1,23 | 1,33 |
| 04.30 | 663 | მონრეალი-ვაშინგტონი | 2,3 | 3,4 | 2,45 | 1,37 | 1,18 | 1,42 |
| 04.30 | 664 | დეტროიტი-მინესოტა | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |
| 05.00 | 665 | ნეშვილი-ფილადელფია | 2,8 | 3,4 | 2,2 | 1,53 | 1,23 | 1,33 |
| 05.30 | 666 | ჩიკაგო-აილენდერსი | 2,6 | 3,4 | 2,3 | 1,47 | 1,22 | 1,37 |
| 07.00 | 667 | ვანკუვერი-დალასი | 2,25 | 3,4 | 2,7 | 1,35 | 1,22 | 1,5 |
| 07.30 | 668 | ლოს ანჯელესი-კოლუმბუსი | 1,75 | 3,5 | 3,5 | 1,16 | 1,16 | 1,75 |
| | | **კალათბურთი. ულების თასი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 740 | კრკა-ხუვენტუდი | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 741 | ესტუდიანტესი-ვალენსია | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| | | **კალათბურთი. NBA. 25 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 742 | კლივლენდი-გოლდენ სტეიტი | 2,4 | 12,0 | 1,4 | 2 | 1 | 1,25 |
| 04.30 | 743 | ატლანტა-ლეიკერსი | 2,4 | 12,0 | 1,4 | 2 | 1 | 1,25 |
| 05.00 | 744 | მინესოტა-მაიამი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 05.30 | 745 | სან ანტონიო-მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 07.00 | 746 | პორტლენდი-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 801 | ტუა-რაჰმანი | 1,25 | 20,0 | 3,1 | | | |

# ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონები და თასი აღება**
**ჩემპიონთა თასი**
**8 აპრილი (23.45)**

- 001 რეალი 3,8
- 002 მანჩესტერი 4,0
- 003 მილანი 4,4
- 005 იუვენტუსი 6,0
- 007 ინტერი 6,0
- 006 ბარსელონა 7,0
- 008 ვალენსია 7,5
- 011 აიაქსი 15,0

**უეფას თასი**
**10 აპრილი (23.45)**

- 021 ლაციო 2,0
- 025 სელტიკი 2,5
- 024 პორტუ 4,2
- 034 ბოავიშტა 7,0

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**5 აპრილი (16.30)**

- 051 არსენალი 1,35
- 052 მანჩესტერი 2,5
- 055 ნიუკასლი 12,0

**იტალია. სერია A**
**5 აპრილი (21.00)**

- 063 იუვენტუსი 1,7
- 062 ინტერი 2,3
- 061 მილანი 4,0

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**5 აპრილი (22.00)**

- 071 რეალი 1,1
- 072 სოსიედადი 3,5
- 074 დეპორტივო 4,4
- 073 ვალენსია 9,0

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**5 აპრილი (20.15)**

- 082 ლიონი 2,6
- 081 მარსელი 2,6
- 083 მონაკო 2,6
- 089 ბორდო 3,5
- 088 ნანტი 10,0
- 085 პსჟ 10,0
- 084 ოსერი 15,0
- 086 ნიცა 30,0
- 087 ლანსი 30,0

**საბერძნეთი**
**I დივიზიონი**
**5 აპრილი (18.00)**

- 121 ოლიმპიაკოსი 1,7
- 122 პანათინაიკოსი 1,7
- 124 აეკ 12,0

**ჩეხეთი**
**5 აპრილი (17.25)**

- 191 სპარტა 1,4
- 192 სლავია 2,2

**პოლონეთი.**
**5 აპრილი (18.00)**

- 196 ვისლა 1,2
- 197 ლეგია 3,0
- 198 კატოვიცე 5,0
- 199 ოდრა 7,0

**თურქეთი. I ლიგა**
**4 აპრილი (22.00)**

- 132 ბეშიქთაში 1,35
- 131 გალათასარაი 2,5

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**5 აპრილი (19.00)**

- 141 რეინჯერსი 1,5
- 142 სელტიკი 2,0

**დანია. სუპერლიგა**
**5 აპრილი (20.00)**

- 151 კოპენჰაგენი 1,1
- 152 ბრიონდბიუ 3,5

**შვეიცარია. A ლიგა**
**6 აპრილი (19.15)**

- 162 გრასჰოპერი 1,3
- 161 ბაზელი 2,6

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

- 201 დეტროიტი 4,0
- 202 დალასი 4,0
- 207 ოტავა 5,0
- 203 ფილადელფია 6,0
- 205 ნიუ ჯერსი 6,0
- 206 კოლორადო 6,5
- 208 ვანკუვერი 7,0
- 209 სენტ ლუისი 10,0
- 212 ტორონტო 10,0
- 210 ტამპა ბეი 20,0
- 215 ვაშინგტონი 20,0
- 211 მინესოტა 25,0
- 204 ბოსტონი 50,0
- 224 აილენდერსი 50,0
- 218 ანაჰაიმი 50,0
- 221 ედმონტონი 50,0
- 214 ლოს ანჯელესი 75,0
- 217 მონრეალი 75,0
- 222 რეინჯერსი 75,0
- 220 ჩიკაგო 100,0
- 223 ფლორიდა 100,0
- 225 ფინიქსი 100,0
- 230 ნეშვილი 200,0

**კალათბურთი. NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

- 231 დალასი 3,0
- 232 საკრამენტო 3,0
- 233 ლეიკერსი 3,0
- 236 სან ანტონიო 5,0
- 234 ნიუ ჯერსი 12,0
- 235 ინდიანა 12,0
- 237 ფილადელფია 15,0
- 238 ბოსტონი 30,0
- 241 დეტროიტი 12,0
- 242 პორტლენდი 12,0
- 244 მინესოტა 30,0
- 239 ორლანდო 50,0
- 240 ნიუ ორლეანი 50,0
- 243 ჰიუსტონი 50,0
- 247 მილუოკი 50,0
- 248 იუტა 50,0
- 246 ფინიქსი 75,0
- 250 ვაშინგტონი 100,0
- 252 ნიუ იორკი 200,0
- 256 გოლდენ სტ. 500,0

**კალათბურთი. ევროლიგა**
**19 მარტი (21.00)**

- 262 ბენეტონი 2,2
- 261 ბარსელონა 2,5
- 264 ცსკა 4,0
- 263 პანათინაიკოსი 5,0
- 268 ოლიმპიაკოსი 8,0
- 274 სიენა 6,0
- 269 მაკაბი 12,0
- 272 ეფესი 8,0
- 270 ოლიმპია 15,0
- 273 სკიპერი 75,0
- 265 ტაუ 75,0
- 276 ციბონა 200,0

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუმახერმა და რაიკონენმა მსოფლიო გააოცეს



REUTERS ქუალა ლუმპურიდან

კიმი რაიკონენი პირველ გამარჯვებას ზეიმობს

**მიხაელ შუმახერმა** პირველი საამსეზონო ტრიუმფი კიდევ ორი კვირით გადადო. წინა სეზონში ყველაფრის მომგები და ყველა რეკორდის მომხსნელი გერმანელი ჩემპიონი იძულებულია, ბრაზილიის ეტაპამდე მოითმინოს და საერთოდ, მადლობა უნდა თქვას, მალაიზიიდან მისთვის უჩვეულოდ ცოტა, მხოლოდ სამი ქულა რომ მოაქვს. დიდი შანსი ჰქონდა, საერთოდ მშრალზე დარჩენილიყო.

მადლობისა რა მოგახსენოთ და სეპანგის 56 წრის ჩამთავრების შემდეგ მას ბოდიშის მოხდა მოუხდა „რენოს" იტალიელ პილოტ იარნო ტრულისთვის, რომლის ბოლიდსაც შუმახერმა უკვე მეორე მოსახვევში უცნილან დაარტყა და ეს ჯული რბოლიდან გამოთიშვის საფრთხეში ჩააგდო. ამ ინციდენტმა თავად მიხაელი უფრო აზარალა, თუმცა მივყვეთ თანმიმდევრულად:

ყველასთვის და საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად პოული მოიპოვა „რენოს" ესპანელმა პილოტმა ფერნანდო ალონსომ. ესპანელი ერი დიდი პილოტების მშობლად ვერ ჩაითვლება, თუმცა გამონაკლისი ყველაფერში შეიძლება არსებობდეს და, ვინ იცის, ამ 21 წლის პირინეელმა რაღაც ღირებულს მიაღწიოს ფორმულაში. მაშ ასე, ალონსომ მოიგო პოული და გახდა პირველი ესპანელი, ვინც ეს შეძლო. მან კვირას სტარტისდანაც რიგიანად დაძრა თავისი „რენო" და პირველ მოსახვევშიც შეასწრო სტარტზე გვერდითმდგომ თანაგუნდელ ტრულის და ყველა სხვასაც.

შაბათი კვალიფიკაციამ შუმახერს სტარტზე მეორე რიგში კულჰარდის გვერდით დაუკავშნა ადგილი. მიხაელი უმთავრეს კონკურენტადაც შოტლანდიელს თვლიდა და არა მის წინ გზის ჩამხერგავ რენოელებს, ორიენტირადაც კულჰარდის ვერცხლისფერი „მაკლარენი" აიღო და მას გამოდევნებულმა ვირაჟებში მერეა შენიშნა ტრული, როცა გვიან იყო. შუმახერის „ფერარიმ" ფრთა გაჰკრა ტრულის ბოლიდს და ამით თავადვე იზარალა. „ფერარი" გზიდან გადავიდა და სანამ ჩემპიონი თავის რაშს ასფალტზე გადმოაბრუნებდა, სხვა ჟოკეებმა ჩააქროლეს თავიანთი ბედაურები. შუმახერმა სასწრაფოდ მიაკითხა ბოქსებს და დაზიანებული ნაწილი გამოცვალა, რითაც, ცხადია, ძვირფასი წამები წააგო. ყველა ჭირს ისიც დაემატა, რომ ჩემპიონი კოლეგების საფრთხეში ჩაგდების გამო ბოქსებში დამატებით შევლითაც დაჯარიმდა.

დაწინაურებული ალონსო კი ქარივით მიქროდა. მან შენიშნა, რომ მის კუდში ჩამდგარი კულჰარდი უკვე მეორე წრეზევე ჩამორჩა, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ ბოქსებიდანაც შეატყობინეს, რომ შოტლანდიელს მანქანამ უმტყუნა. გამოუცდელმა ესპანელმა ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო ლიდერის ტვირთს. მოგვიანებით კულჰარდის თანაგუნდელმა კიმი რაიკონენმა და შუმახერის მეწყვილემ რუბენს ბარიკელომ გაუსწრეს, თუმცა ალონსო მესამე ადგილითაც ბედნიერი დარჩა და ბოლო 47 წელიწადში პირველი ესპანელი შეიქნა, ვინაც პოდიუმზე ფეხი შედგა.

მალაიზიის დიდი პრიზი კი კიმი რაიკონენმა მოიგო. მისთვის ეს პირველი ნამდვილი წარმატებაა. „ამ გამარჯვების შემდეგ ცხოვრება ბევრად გამიიოლდება. ბოლოს და ბოლოს იმ მაინც აღარ მკითხავენ, როდის აპირებ პირველი დიდი პრიზის მოგებასო" — თქვა 23 წლის ფინელმა მას შემდეგ, რაც ბარიკელო და ალონსო შამპანურით გაწუწა. რაიკონენი ამ გამარჯვების წყალობით და სეზონის პირველ ორ რბოლაში მონაგრებული 16 ქულით საერთო ჩათვლაში ალზევდა. კულჰარდი, რომელმაც პირველი ეტაპი მოიგო, 10 ქულით მეორეა.

რაიკონენიცა და ალონსოც შეაქო პოდიუმის მეორე საფეხურზე შემდგარმა ბარიკელომ, რომელმაც ავტორიტეტული ტონით ბრძანა, ორივე დიდი მრბოლია და ორივე გახდება ჩემპიონი, მე კი იმედს ვიტოვებ, რომ მანამდე თავად შევძლებ ამასო.

**კოტე ყორშია**

### რბოლის შედეგები

**მალაიზიის დიდი პრიზი**
**23 მარტი. კუალა ლუმპური**
დისტანცია — 56 წრე — 310,408 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1.(7) რაიკონენი (მაკლარენი) | | 1:32.22,195 (201,629 კმ/სთ) |
| 2.(5) ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა | 39,286 |
| 3.(1) ალონსო (რენო) | | 1.04,007 |
| 4.(17) რ. შუმახერი (უილიამსი) | | 1.08,026 |
| 5.(2) ტრული (რენო) | | 1 წრით |
| 6.(3) მ. შუმახერი (ფერარი) | | 1 წრით |
| 7.(9) ბატონი (BAR) | | 1 წრით |
| 8.(6) ჰაიდფელდი (ზაუბერი) | | 1 წრით |
| 9.(13) ფრენცენი (ზაუბერი) | | 1 წრით |
| 10.(20) ფირმენი (ჯორდანი) | | 1 წრით |
| 11.(11) და მატა (ტოიოტა) | | 1 წრით |
| 12.(8) მონტოია (უილიამსი) | | 3 წრით |
| 13.(18) ფერსტაპენი (მინარდი) | | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (15) პიცონია (იაგუარი) | გაიარა | 42 წრე |
| (19) უილსონი (მინარდი) | | 41 |
| (16) ვებერი (იაგუარი) | | 35 |
| (10) პანი (ტოიოტა) | | 12 |
| (4) კულჰარდი (მაკლარენი) | | 2 |
| (14) ფიზიკელა (ჯორდანი) | | 0 |
| (12) ვილნევი (BAR) | | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ალონსო 1.37,044 (205,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ. შუმახერი 1.36,412 (207,0 კმ/სთ)



## საქართველოს ჩემპიონატი

22 მარტი. ბათუმი

**ქუთაისი 101:71 აკადემია**

19:27, 15:20, 27:15, 40:9

**ქუთაისი:** ლ. შანიძე (2), ვ. მაისურაძე (7), ცერცვაძე (2), ნინუა (28), დოლიძე (23), პირტახია (10), იმნაძე (29)
**აკადემია:** გამყრელიძე (3), ლეჟავა (16), საყვარელიძე (22), გვიმრაძე (6), ჯანეზაშვილი (2), ვ. სანიკიძე (22)
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

23 მარტი. ბათუმი

**ბასკო 131:85 აკადემია**

31:15, 21:30, 32:21, 47:19

**ბასკო:** დ. ბერიშვილი (12), ბაბიაშვილი (27), ნიკოლაძე (30), ცინცაძე (8), კეშელავა (6), ქარაბაკი (14), კეიდია (15), როდუმტა (7), შენგელია (12)
**აკადემია:** ბექაური (13), გამყრელიძე (6), ლეჟავა (8), ათანელაშვილი, საყვარელიძე (13), გვიმრაძე (17), ჯანეზაშვილი, ვ. სანიკიძე
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

24 მარტი. რუსთავი

**სტუ 77:47 სსუ**

25:9, 17:15, 17:10, 18:13

**სტუ:** ნოზაძე (9), ხეცურიანი (20), ლაფანაშვილი, გაგნიძე (8), მარხვაშვილი (8), ტულუში (7), ოთიურიძე (4), ლოსაბერიძე, ტუჯანი (7), ახალკაცი (14)
**სსუ:** ჩიტაშვილი (9), ურიდია, პატარაია, სორდია (2), ონიკაშვილი, ქვილითაია (2), მ. ხოშტარია (4), ერქვანია (14), ბარბაქაძე (14), ლუკავა (2)
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ზურაბ ანდრიაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**აზოტი 106:99 თსუ**

31:18, 27:27, 27:22, 21:32

**აზოტი:** გაბისონია (11), ლიპარტელიანი (2), ბერუაშვილი (19), ფლენტი (30), არწივიძე, მაჭარაძე (5), ჯაფარიძე (16), გოგობერიშვილი (11), ჯიმშელეიშვილი (12)
**თსუ:** ი. მაისურაძე (6), ზანგურაშვილი, ტურაშვილი (22), ბ. ბერიშვილი (11), ვეფხვაძე (11), კილაძე (10), მიქაძე (18), ორმოცაძე (12), კორძაძე (9)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიას ხსნა: ბევრი მოხსნა

— 21 მარტი —

**სიეტლი 101:99 დენვერი**

ძირითადი დრო 91:91

**სიეტლი:** ალენი (38), ბერი (8), ლუისი (7), ევანსი (4), დრობნიაკი (2); ოლი (14), რადმანოვიჩი (17), ჯეიმსი (8), კემპბელი (3)
**დენვერი:** უილიამსი (22), ვაიტი (18), ჰოვარდი (20), კემბი (17), ილარიო (13); ჰარვი (3), ჰარინგტონი (2), ცქიტიშვილი (12 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა), სავოვიჩი

**მაიამი 107:98 ტორონტო**

**მაიამი:** რ. ბატლერი (18), ა. კარტერი, კ. ბატლერი (22), გრანტი (12), სტეფანია (24 წუთი, 2 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი); ალენი (18), ბესტი (9), ლამპლი (11), ჯონსონი (4), ჯეიმსი (6), ელისი (5)
**ტორონტო:** ვ. კარტერი (30), ა. უილიამსი (15), ჯ. უილიამსი (7), ჯეფერსი (8), ნდაეი (8); ბრედლი (8), პეტერსონი (6), მაკკოი (10), ლენარდი (6), ალსტონი

— 22 მარტი —

**დენვერი 90:80 ბოსტონი**

**დენვერი:** ვაიტი (11), შ. უილიამსი (9), ჰოვარდი (27), კემბი (4), ილარიო (16); ჰარვი (8), ანდერსენი (1), ჰარინგტონი (12), სავოვიჩი (2), ბოუენი, ცქიტიშვილი (7 წუთი, 1 მოხსნა)
**ბოსტონი:** პირსი (31), ბრემერი (9), უოლკერი (21), ე. უილიამსი (5), ბათი (10); ბლუნტი, ლონგი (2), კოულზი (2), მაკარტი

— 23 მარტი —

**მაიამი 74:96 ორლანდო**

**მაიამი:** კარტერი (8), რ. ბატლერი (6), კ. ბატლერი (19), ელისი (4), გრანტი (7); ჰაუსი (13), ალენი (2), ბესტი (10), სტეფანია (17 წუთი, 4 ქულა, 8 მოხსნა), ჯონსონი (1), ლამპლი
**ორლანდო:** ვონი (13), მაკგრეიდი (37), გარიტი (6), გირიჩეკი (13), კემპი (4); ჰანტერი (4), სასერი (2), ჰიტნი (6), არმსტრონგი (7), დეკლერკი (2), ოიედეჯი (2)

ამ უქმეებზე „ქართულმა" გუნდებმა ორ-ორი მატჩი გამართეს და თითოჯერ გაიმარჯვეს. ხუთეულში ჩამჯდარი ვლადიმერ სტეფანიას „მაიამიმ" ვინს კარტერის „ტორონტოს" მოუგო, ხუთეულიდან ამოვარდნილი ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა" კი ყოჩაღ „ბოსტონს" იოლად სძლია.

დენვერელთაგან განსხვავებით, რომლებსაც, მგონი, აღარც ახსოვთ, როდის დაკარგეს პლეი ოფში გასვლის შანსი, ბოსტონელებს საკმარისი მოტივაცია ჰქონდათ. „კელტებს" თითქმის დაბევებული აქვთ პლეი ოფში თამაში და ახლა იქ უკეთესი პოზიციის დასაკავებლად საჭირო მოგებებს აგროვებენ. მაგრამ „დენვერმა" არ დაანება, პლეი ოფში გამსვლელივით იბრძოლა და ბოსტონელები მშრალზე დატოვა. ჯუონ ჰოვარდმა ვარსკვლავურად ითამაშა, ბოსტონელთა ლიდერი ანტონიო უოლკერი დაიორგუნა და „კელტიას" საქმე საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე მოათავა.

იყოჩაღა „დენვერის" ახალბედა ნენე ილარიომაც, რასაც ვერ ვიტყვით მის დოსტ ნიკა ცქიტიშვილზე. „სკიტა" 9 მატჩის მთავარ ხუთეულში დაწყების შემდეგ სათადარიგოებში დაბრუნდა. თუმცა რაა გასაკვირა, ბოლო ორ მატჩში ცქიტიშვილმა 19 წუთი გაატარა მოედანზე და ქულა ვერ მიითვალა. „ბოსტონამდე" „დენვერი" „სიეტლს" შეხვდა და არც მას დაუდო ტოლი. ეგაა, ბოლომდე არ გაჰყვა იღბა და ოვერტაიმში 2 ქულით წააგო.

სტეფანიამ „ტორონტოსთან" ხუთეულში დაიწყო და მოხსნებზე იმუშავა. ვოვამ 24 წუთში ოდენ 2 ქულა გააკეთა, მაგრამ იმ დღეს „მაიამის" სამარქაფოებმა აგროვეს ბევრი ქულა და პატ რაილის გუნდმაც შინ 6-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.

მაიამელებმა უქმეების მეორე შეხვედრაში „ორლანდო" ისტუმრეს და მის კისკას ლიდერ ტრეისი მაკგრეიდის ვერაფერი მოუხერხეს. სტეფანიას სასტარტოში აღარ უთამაშია. ის 4 ქულასა და 8 მოხსნას დასჯერდა 17 წუთში.



AP მაიამიდან

ვლადიმერ სტეფანია და ორლანდოელი ოლუმიდე ოიედეჯი შებმულან

— 21 მარტი —

ინდიანა 101:92 მემფისი
ფილადელფია 105:114 ატლანტა
ნიუ იორკი 97:93 დეტროიტი
ნიუ ორლეანი 113:98 მილუოკი
ფინიქსი 109:83 ვაშინგტონი
ლეიკერსი 104:96 ბოსტონი
ორლანდო 109:85 კლივლენდი
სან ანტონიო 94:101 მინესოტა
გოლდენ სტეიტი 107:117 ჰიუსტონი

— 22 მარტი —

სან ანტონიო 98:89 ლეიკერსი
დეტროიტი 105:92 ჩიკაგო
კლივლენდი 93:88 ნიუ ჯერსი
საკრამენტო 109:108 ჰიუსტონი
ტორონტო 95:112 ფილადელფია
გოლდენ სტეიტი 113:107 ვაშინგტონი

— 23 მარტი —

ატლანტა 92:89 ინდიანა
ჩიკაგო 100:98 ნიუ იორკი
მილუოკი 93:85 ნიუ ორლეანი
ნიუ ჯერსი 107:99 მემფისი
დალასი 102:95 ფინიქსი
იუტა 88:73 კლიპერსი
პორტლენდი 104:113 საკრამენტო

ევროპის ერთა თასი 2003. მეოთხე ტური

## ჩეხეთი 15:30 საქართველო

22 მარტი. პრაღა «ტატრა»

| ჩეხეთი | საქართველო |
|---|---|
| როხლიკი, იაგრი, პეკარელი, ბრაბეცი, ზაკი, კაფკა, სიროვი; სკალი (შიასტნი), ოსვალდი, ბერტერი (კოლაჩეკი), ჟილია, კურკა, პეკაჩეკი, ვონდრაშეკი, მახაჩეკი | ხამაშურიძე, ხეხელაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე (კვირიკაშვილი), გუნდიშვილი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე; მთიულიშვილი (ხინჩაგაშვილი), შველიძე, რატიანიძე, ნადირაძე (დიდებულიძე), მჭედლიშვილი, ლაბაძე (ჩხაიძე), იაშვილი (ბოლღაშვილი), ზედგინიძე |
| 4ს: კაფკა; 1ა: კაფკა | 6ლ: შველიძე, ლაბაძე, ზედგინიძე, გუნდიშვილი, ხამაშურიძე, ხეხელაშვილი; 1გ: ჯიმშელაძე; 2ს: ჯიმშელაძე |

მსაჯი: კარლო დამასკო (იტალია)

# პრაღა რაღაა...

**ჩეხები** რომ ჩვენი მომრევები არ იყვნენ, ეს კოჭებშიც ეტყობოდათ, მაგრამ გულის სიღრმეში ეს ოხერი ეჭვის ჭია მაინც პოულობდა თავის ნიადაგს. ჯერ ერთი, ბორჯღალოსნები არასრული რაზმით, 20 კაცით ჩავიდნენ პრაღაში. მატჩის განაცხადში 21-ე კაცად საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძეც შეიყვანეს და ამას გარდა, წლეულს ჩეხეთი პირველად თამაშობდა შინ და ძალიან უნდოდა ქომაგის გახარება.

ყველაფერთან ერთად ჩვენების ექვსი სამარქაფო მოთამაშიდან ხუთი მორკინალი იყო და მხოლოდ ერთი სათადარიგოს, მე-9 ნომერი მერაბ კვირიკაშვილს შეეძლო უკანახაზების შეცვლა. ბედად, ბორჯღალოსანთა ბეკებიდან არავინ დაშავებულა და არც მსაჯს გაუძევებია ვინმე, თორემ ახლად გადაწყობილ-გადმოწყობილი უკანა ხაზი სულ აირეოდა. ჩეხებთან ოცმა ქართველმა ითამაშა. მხოლოდ პრეზიდენტი აუქმა ჩვენების მწვრთნელმა კლოდ სორელმა, თორემ „ბელუხად" წოდებული გეგიძე აუცილებლად შევიდოდა რაგბის ნაკრების მატიანეში.

საქართველოს ნაკრებს ჩეხეთი აქამდე ორჯერ დაემარცხებინა. ჩვენებმა 1996 წლის მაისში თბილისში 20:3 გაიმარჯვეს, ოთხი თვის მერე კი სექტემბერში, „ტატრაზე", სადაც შაბათის მატჩი გაიმართა 10:14 დასცეს მეტოქე.

ამ ჯერზე ბორჯღალოსნებმა 15 ქულით აჯობეს ჩეხეთს. სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა, რუსებთან მატჩის გმირ პალიკო ჯიმშელაძეს ფეხი რომ არ „დაცდენოდა". მან თავისიანების 6 ლელოდან მხოლოდ ერთი გარდასახა და ბლომად გაცუდებულ საჯარიმოებს ერთი ზუსტი დარტყმა გაურია. სამაგიეროდ, ჩვენებმა ძალიან ოყოჩალეს ხელდახელ თამაშში და ექვსი ლელო გაუტანეს მეტოქეს, აქედან სამი მორკინალების, სამი კი უკანახაზელების მონაპოვარია.



ჩეხები გია ლაბაძემაც დაალელოვა

გამართლდა ბორჯღალოსანთა ვარაუდი, რომ ჩეხეთი პირველი ტაიმის გუნდია და მათი თამაში ორ კაცზე, მონფერანელი იან მახაჩეკის და ტულონელი მარტიან იაგრის ყოჩაღობაზეა დამოკიდებული. ჩვენებმა მასპინძელთა ორივე ლიდერი გააკონტროლეს და 10:9-ით მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ორმოცწუთეულში ფიზიკურ მომზადებაშიც აჯობეს ჩეხებს.

# ...რუმინეთია საქმე

**გუშინ** საღამოს ცხრის ნახევარზე პარიზი-თბილისის რეისით ორი საათის დაგვიანებით ჩამოფრინდნენ ჩეხების მძლეველი ბორჯღალოსნები. აეროპორტის შენობა პირველმა ბესიკ ხამაშურიძემ დატოვა, რომელსაც მალევე მეორე ქუთაისელი ბორჯღალოსანი თედო ზიბზიბაძე მოჰყვა. ორივე ძალიან ჩქარობდა, რაკი გუშინვე ქუთაისში უნდა წასულიყვნენ. დღეს სისხამ დილით ქუთაისში ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე და ნაკრების კურატორი გია ჭუმბურიძეც გაემგზავრებოდნენ. მათი იმერეთის დედაქალაქში გამგზავრების მიზეზი, ბორჯღალოსანი ძმების აქვსენტი და ირაკლი გიორგაძეების მამის გარდაცვალებაა. დღეს ისინი გიორგაძეების მამის დაკრძალვას დაესწრებიან. თავად ძმები ხუთშაბათს ჩამოვლენ სანაკრებო შეკრებაზე და რუმინეთთან ითამაშებენ. სანამ ნაკრების წევრები მათთვის გამოყოფილ ავტობუს მიაშურებდნენ, რამდენიმე მათგანს ჩეხეთთან გამართულ და რუმინეთთან გასამართ მატჩზე დავეკითხეთ.

***ილია ზედგინიძე:*** მთლიანობაში არ იყო რთული მატჩი. პირველივე ათ წუთში გავაკეთეთ ათი ქულა, არადა ორი ამდენის მოხვეჭა კიდევ შეგვეძლო. მერე თამაში გათანაბრდა, უფრო ჩვენ მოვეშვით, ვიდრე მეტოქემ იაქტიურა. ამის შემდეგ პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ოღონდ თამაშის რიტმს მაინც ჩვენ ვკარნახობდით. მეორე ტაიმში ჩეხებს გამძლეობა აღარ ეყოთ, თანაც აშკარად უკლასო გუნდია და ჩვენც ძალების დაძაბვის გარეშე მოვუმთავრეთ საქმე.

რაც შეეხება რუმინეთთან მატჩს, მოგების დიდი იმედი გვაქვს, ოღონდ მოვიგებთ თუ არა ერთა თასს, ეს სამწუხაროდ მარტო ჩვენზე აღარაა დამოკიდებული. პორტუგალიამ რუსეთთან აუცილებლად უნდა წააგოს.

***პალიკო ჯიმშელაძე:*** სანამ პრაღაში ჩავიდოდით, ძალიან გავწვალდით. მიზეზთა გამო ბიჭები გამოგვაკლდნენ, მერე ჩეხეთის საელჩომ ვიზები გაგვიჯანჯლა და სანამ ჩეხეთში გამგზავრების ნებას დაგვრთავდნენ, პარიზის ქუჩებში დავხეტიალობდით. პრაღაში გვიან ღამით მატჩამდე თორმეტი საათით ადრე ჩავედით და გამოძინებაც ვერ მოვასწარით. ჩეხებს ვთხოვეთ, ნახევარი საათით მაინც გადაეწიათ მატჩის დაწყება, მაგრამ უარი გვითხრეს. ასეთი ნაწვალები და დაღლილები გავედით სათამაშოთ. ამდენი ხეტიალისგან ფეხები გვქონდა დასიებული და ძლივს ვთამაშობდით.

***ვიქტორ დიდებულიძე:*** მაგრად გავწვალდით, აქეთ გიორგაძეების ამბავი, იქით ვიზები... სათითაოდ შევდიოდით კონსულთან და მიდიოდა ჩვენი დაკითხვა, რატომ ჩადიხართ ჩეხეთში, დარჩენას ხომ არ აპირებთ და ეგეთები... თვითონ მატჩი კი რომ არ დაგიმალო, არ იყო სანახაობრივი, ძირითადად კლასით, გამძლეობით ვაჯობეთ ჩეხებს. რაც შეეხება რუმინელებთან მატჩს, პირდაპირ გეტყვი, დედას ვუტირებთ!

***ტარიელ რატიანიძე:*** პირველი ტაიმის დასაწყისშივე მოვიპოვეთ უპირატესობა და დამიჯერეთ, ათის ნაცვლად ოცი ქულა მაინც უნდა აგვეღო. მერე ნელ-ნელა გაგვითამამდნენ, მაგრამ სერიოზული საფრთხე ვერ შეგვიქმნეს. მეორე ტაიმში კი საბოლოოდ გატყდნენ და ჩვენც გამარჯვებამდე მივიყვანეთ საქმე.

ასეთი თამაშით რუმინეთთან ცოტა გაგვიჭირდება. მაგრამ ერთიცაა — რუმინელებს დასვენებული და სრული შემადგენლობით დავუხვდებით. ერთი პორტუგალია მაღელვებს, იმან თუ არ წააგო...

***ვასილ კაცაძე:*** ჩეხებს მართლა კარგი მორაგბეები ჰყავთ, ჯანიანი და ტექნიკური ბიჭები არიან, ოღონდ გუნდურ თამაშში მოიკოჭლებენ. მათი დამარცხება არ გაგვჭირვებია, ახლა მთავარია რუმინეთს ვძლიოთ, რაშიც დარწმუნებული ვარ.

**ბაჩო სვანიძე**

*საქართველოს დარად, თავიანთი მატჩები მოიგეს ერთა თასის სხვა ფავორიტებმა, რუმინეთმა და პორტუგალიამ. ორივემ შინ ითამაშა, რუმინეთმა რუსეთს სძლია ძალიან დაძაბულ ბრძოლაში, ხოლო პორტუგალიამ ესპანეთს მოუგრიხა კისერი. ასე რომ, წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული ამ უქმეებზე გაირკვევა, როცა თბილისში საქართველო რუმინეთს უმასპინძლებს, ხოლო პორტუგალია რუსეთს ეწვევა. პორტუგალიას ფრეც აძლევს ხელს და მცირე სხვაობით წაგებაც, რაკი თანაბარქულიანობის შემთხვევაში ბურთების სხვაობა დაითვლება*

# რუმინეთმა რაჩკოვს მოუგო

**რუმინეთი 23:12 რუსეთი**

22 მარტი. ბუქარესტი

**რუმინეთი:** 3ლ: ვიორიანუ, პეტრასე, ტექნიკერი; 1გ: ტოფანი; 2ს: ტოფანი
**რუსეთი:** 4ს: რაჩკოვი

მატჩის დასრულებამდე რვა წუთით ადრე ბუქარესტში რის ვაი-ვაგლახით ჩასული რუსები 12:6 ამარცხებდნენ რუმინელებს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ერთა თასზე მორიგი სენსაცია გამოცხვებოდა, თუმც მასპინძლებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და ექვს წუთში ორჯერ დაალელოვეს მეტოქე. კარპატელთა დამრტყმელმა იონუც ტოფანმა კი ზედ საფინალო სასტვენის წინ საკონტროლო ჯარიმა დაახალა რუსებს.

მანამდე ისეთი ბრძოლა იყო, რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. „მონტობანის" და რუსეთის ნაკრების მე-10 ნომერი კონსტანტინ რაჩკოვი ძალიან ჩუბინობდა და ტაიმნახევარი სისხლი გაუშრო რუმინელებს. „დათვების" თორმეტივე ქულა სწორედ რაჩკოვის ანგარიშზეა. რაჩკოვის ჯარიმებით რუსები სამჯერ იყვნენ წინ და უპირატესობა ხელიდან ბოლო წუთებზე გაუშვეს.

რუსებს რომ ემარჯვათ, ერთა თასის მოგების შანსს შეინარჩუნებდნენ, ახლა კი მხოლოდ პორტუგალიას თუ გაამწარებენ, რითაც საქართველოსა ან რუმინეთს გაუკეთებენ საქმეს.

ერთა თასის ბოლო ტურში რუმინეთი თბილისში ჩამოვა და ჩვენებს ერთ თასთან ერთად საზიარო „ანთიმოზ ივერიელის თასს" შეეცილება.

**პორტუგალია 35:16 ესპანეთი**

23 მარტი. კოიმბრა

**პორტუგალია:** 2ლ: კუნია, სოუზა; 2გ: მალეირუ; 5ს: მალეირუ; 2ა: მალეირუ
**ესპანეთი:** 1ლ: ტუინიუ; 1გ: კასკარა; 2ს: კასკარა; 1ა: კოვალენკო

მეზობელთა დერბიში ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში იყო. ესპანეთი სწორედ ამდენ ხანს გაუძალიანდა გაყოჩაღებულ პორტუგალიას და ტაიმი 6:9 წააგო. მეორე ორმოცწუთეულში კი პორტუგალიელთა მე-15 ნომერი და დამრტყმელი გონსალუ მალეირუ დასაბმელი გახდა. პირველ ტაიმში გატანილი 3 საჯარიმოს მეორეში მალეირუმ 2 ჯარიმა დაამატა და ზედ 2 გარდასახვა და 2 არეკნიც დაერთო. აქედან ერთი აბრაგანი მალეირუმ 35 მეტრიდან შეაგდო და ჯამში თავისიანებს 25 ქულა მოუნაგრა.

| ევროპის ერთა თასი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 4 | 0 | 0 | + 57 | 8 |
| საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | + 48 | 6 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | + 35 | 4 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | + 16 | 2 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | - 48 | 0 |
| ესპანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | - 108 | 0 |

ექვსი ერი 2003

# დიმიტრი იაშვილის იტალიური სიფთა: 18

**უელსი 24:25 ირლანდია**

22 მარტი. კარდიფი. „მილენიუმი"

**ინგლისი 40:9 შოტლანდია**

22 მარტი. ლონდონი. „თვიქნემი"

**იტალია 27:53 საფრანგეთი**

23 მარტი. რომი. „სტადიო ფლამინიო"

ევროპის რჩეულმა სარაგბო ერებმა ამ უქმეებზე ერთმანეთში თითოჯერაც იბურთავეს და საქმე ბოლო, მეხუთე ტურამდე მიიყვანეს. გასარკვევი ცოტა დარჩა, უკვე გარკვეული კი, პირველ-მეორე ადგილის დამჩემებელთა გარდა, ბარემ ყველაფერია. საფრანგეთი მესამეა, შოტლანდია მეოთხე, მერე იტალია. სულ ბოლო ადგილი და ვერც ერთი თამაშის მომგები გუნდისთვის გამზადებული ანტიპრიზი „ხის კოვზი" კი, პრაქტიკულად უკვე ეკუთვნის ძველ სარაგბო „ერს" უელსს, ვაგლახ.

არადა, საწყალ უელსს სულ ცოტა დააკლდა ამბიციამოძალებული ირლანდიის დასაოკებლად. ამ შეხვედრაში, რომელშიც უელსი ბოლომდე დაიხარჯა, ექვსი ერის ბოლო ტურის ინტრიგა ბეწვზე ეკიდა. უელსელმა დამრტყმელმა სტივენ ჯონსმა ბოლო წუთებზე არეკნი გაუტანა სტუმრებს და მთელი უელსი შეძრა. უელსის რჩეული შვილები 24:22 დაწინაურდნენ და მატჩი ასე რომ დამთავრებულიყო, უელსი ჯანდაბაში გაისვრიდა „ხის კოვზს", ხოლო ირლანდია დაკარგავდა დიდი სლემისთვის ბრძოლის შანსს, მაგრამ ბედმა, როგორც მთლიანად ამ სეზონში, ახლაც ზურგი უჩვენა უელსს. ირლანდია კარდიფის „მილენიუმზე" შეკრებილთა სიხარულის ზღვაში ჩახრჩობას გადაარჩინა ამ მატჩისთვის სათადარიგოდ გამწესებულმა 9 ნომერმა რონან ოგარამ. ის ბოლო წუთებში გამოჩნდა მოედანზე, თან უჩვეულო ამპლუაში, დამრტყმელის პოზიციაზე და ბოლო წუთზე სამაგიერო არეკნიც დაუბრუნა გაოგნებულ უელსს.

ახლა საქმე ასეა, უელსი ბოლო ტურში აუცილებლად წააგებს საფრანგეთში და „ხის კოვზს" დაისაკუთრებს. ეს სამარცხვინო პრიზი ორგზის სამარცხვინოა ამ რაგბზე შეშლილი ხალხისთვის, რომელიც ოდესღაც, მსოფლიოში უყოჩაღესიც იყო ოვალური ბურთით თამაშში.

და მაინც, ამ მარცხს ფილოსოფიურად მიუდგა მწვრთნელი სტივ ჰანსენი, რომელიც უკვე შეგუებულია 0:5 შედეგს, მაგრამ ამბობს, რომ რეალური იყო მის ახალგაზრდულ გუნდს ეს ექვსი ერი 3:2 ანგარიშით დაემთავრებინა. „თუ ჩვენ გვიწერია „ხის კოვზი", დაე, შეგვხვდეს ეს პრიზი. ეს რეალობაა, რომელსაც, სიმართლე გითხრათ, იტალიაში მარცხის შემდეგ გავუსწორეთ თვალი."

რაც შეეხება ბეწვზე გადარჩენილ ირლანდიას, „სამყურები" უკვე აღარც ფიქრობენ უელსზე და მასთან დაგეგმილი გამარჯვების წვალების მოპოვებაზე, რამეთუ მთელი გულისყური ამ კვირადღის დიდ ჯახისკენ მიუბრუნებიათ, 30 მარტს დუბლინში ერთმანეთს ექვსი ერის პირველობისთვის დაუმარცხებლები — ირლანდია და ინგლისი შეასკდებიან. თავად დედა ინგლისის ნაუქ ბიჭებს, ცხადია, ვერც შოტლანდიელებმა შეურხიეს თავზე ბეწვი.

მე-4 ტურის მესამე მატჩში საფრანგეთმა იტალიას იტალიაშივე მიუჩინა თავისი ადგილი. ფრანგებთან რომში მონაგრებული 53 ქულიდან 18 დიმიტრი იაშვილმა ჩაიწერა. ეს მისთვის პირველი სანაკრებო ქულებია. დიმიტრი ტრადიციულად შერკინების გამთამაშებლად მოევლინა ფრანგებს, თუმც ამჯერად მას კარში დარტყმაც დაევალა და მანაც ორ საჯარიმოსთან ერთად თავისიანთა ექვსი ლელო გარდასახა. სულ ფრანგებმა შვიდი ლელო გაუტანეს ძაბუნ მეტოქეს და 53 ქულის მოხვეჭით ექვსი (და ხუთი) ერისთვის თავიანთი რეკორდი დაამყარეს. მეტიც შეეძლოთ, მარტო პირველი ტაიმი 41:10 მოუგეს იტალიას.



REUTERS მარი ზიდან

დიმიტრი იაშვილმა დაცვაშიც ივარგა

| ექვსი ერი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | + 91 | 8 |
| ირლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | + 58 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 0 | 2 | + 50 | 4 |
| იტალია | 4 | 1 | 0 | 3 | - 77 | 2 |
| შოტლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | - 88 | 2 |
| უელსი | 4 | 0 | 0 | 4 | - 34 | 0 |

# ჰიუიტი გავარდნაშიც პირველია



მშვენიერი ელენა დოკიჩი ფლორიდულ ქვიშრობებში

**NASDAQ-100 OPEN**

**კი ბისკეინი. მაგარსაფარი**

**პარასკევი. 21 მარტი**

**კაცები**

**საპრიზო 3,25 მილიონი $**

**მეორე წრე**

**ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:4, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:2; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — ვინსენტ სპედია (აშშ) 6:4, 5:7, 6:4; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:7 (1:7), 7:6 (7:2), 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:3); **რაინერ შიუტლერი** (12, გერმანია) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:2, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:5); **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ალექს კორეჩა (16, ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:2; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (18, ბრიტანეთი) 6:3, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (21, აშშ) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:6 (7:5), 6:2; **ევგენი კაფელნიკოვი** (24, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:3; **მარსელო რიოსი** (28, ჩილე) — ტაილორ დენტი (აშშ) 6:1, 6:1

**ქალები**

**საპრიზო 2,96 მილიონი $**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 7:5, 6:1; **კიმ კლაისტერსი** (3, ბელგია) — იონ-ძონ ჩო (სამხრეთ კორეა) 6:2, 6:2; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) 2:6, 7:5, 6:0; **ლინდსი დევენპორტი** (7, აშშ) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:2, 6:1; **ელენა დოკიჩი** (9, სერბია და ჩერნოგორია) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:1; **ანა პისტოლეზი** (15, ისრაელი) — ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) 6:2, 6:4; **იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — ელენა ბოვინა (16, რუსეთი) 6:4, 7:5; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — ელენა დემენტიევა (19, რუსეთი) 7:5, 6:4

ბობოლები საქმეში ხეირიანადაც არ ჩაბმულიყვნენ, მათ პირველმქროგნე ლეიტონ ჰიუიტს ბარგის აკრეფა რომ მოუხდა. კისკასი ოზბიჭი, ვინაც წინა კვირების განმავლობაში ზედიზედ ორი — სკოტსდეილური და ინდიანუელსური — ტიტული მიითვალა და „მეხუთე სლემად" წოდებულ მაიამურ შეჯიბრზე მორიგი ღლავის შოვნას ლამობდა, 34 წლის ესპანელმა ფრანსისკო კლავეტმა აოტა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ჯიშად მეთიხნარის დარად კლავეტიც საკმაოდ სტაბილურად, აუღელვებლად ბურთაობს და საჭიროებისას მძაფრად მიძალებაც ხელეწიფება, რომ არა ერთი ფორსმაჟორული გარემოება, საუცხოო ფორმაში მყოფ ჰიუიტს ის ალბათ იმ დღეს ვერაფერს დააკლებდა.

ეს „ფორსმაჟორული გარემოება" კი — არც მეტი, არც ნაკლები — ისევ ფალარათი გახლდათ, რაიც ოზბიჭის მიერ წინა დღეს მირთმეულ უხარისხო საკვებს გამოუწვევია.

უკანასკნელ 15 სეზონში ეს მეორედ მოხდა, რომ მაიამურ ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა მეჩოგნემ უკვე მეორე წრეში წააგო. ჰიუიტამდე ამგვარი ბედი ავსტრიელ ტომას მუსტერს ეწია, ვინაც 1996 წელს ნიკოლას პერეირამ დაითხოვა.

1969 წლიდან კი რეიტინგსიის 178-ე საფეხურზე დაბლამდგომ მოთამაშეს — და კლავეტს სწორედ ეს რანგი უპყრია — ამქრის ვინგინდავინ პირველმეჩოგნე აქამდე მხოლოდ სამჯერ დაემარცხებინა.

შეგახსენებთ, რომ ვეტერანი ესპანელი უკვე 15 წელია, ჩოგნაობს და ამ ხნის მანძილზე რვა ტიტულის მოხვეჭა შეძლო. ბოლოჯერ მან შარშანწინ, სკოტსდეილში იპირველა, რომლის ნახევარფინალშიც მან — სხვათა შორის — სწორედ ლეიტონ ჰიუიტს აჯობა.

სხვაფრივ — იმ დღიდანვე ჩაერთვნენ საქმეში ბობოლა ქალებიც, რომელთაგან მხოლოდ მეხუთე ნომრად განთესილმა დანიელა ჰანტუხოვამ წაიფორხილა. ყანჩაფეხება სლოვაკი ხათქუნა მოწოდების მქონე ავსტრალიელმა მოლიკმა გააოგნა. ტურნირს კორტზე გაუსვლელად გამოაკლდა 1991 და 1999 წლების ჩემპიონი მონიკა სელეში, რომელსაც მტკივანმა მარცხენა ფეხმა არც ინდიან უელსში ბურთაობის საშუალება მისცა და აქაც ზედ თამაშის წინ გაბაწრა.

**შაბათი. 22 მარტი**

**კაცები**

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი** (4, შვეიცარია) — ლუის ორნა (პერუ) 6:2, 7:5; **დავიდე სანგვინეტი** (იტალია) — მარატ საფინი (7, რუსეთი) 7:6 (11:9), 7:5; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ირჟი ნოვაკი (8, ჩეხეთი) 2:6, 6:3, 6:4; **ალბერტ კოსტა** (9, ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 4:6, 6:4, 6:1; **სხენგ შალკენი** (14, ჰოლანდია) — ჟან-რენ ლინარი (საფრანგეთი) 6:3, 6:4; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — გუსტავო კუერტენი (15, ბრაზილია) 6:3, 6:4; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — გასტონ გაუდიო (17, არგენტინა) 6:4, 5:7, 6:3; **იუნეს ელ აინაუი** (19, მაროკო) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:1, 6:4; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ფერნანდო გონსალესი (20, ჩილე) 7:6 (7:5), 6:4

**ქალები**

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:3, 6:1; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (4, ბელგია) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:3, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (6, აშშ) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:2; **ამელი მორესმო** (8, საფრანგეთი) — მარტა მარერო (ესპანეთი) 2:6, 6:2, 7:6 (7:1); **სარა ტეილორი** (აშშ) — ანასტასია მისკინა (11, რუსეთი) 7:5, 6:4; **ჩანდა რუბინი** (12, აშშ) — კარლი გალიკსონი (აშშ) 6:2, 7:5; **მაგდალენა მალეევა** (13, ბულგარეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2, 6:1; **ელენი დანილიდუ** (14, საბერძნეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:2; **აი სუგიამა** (17, იაპონია) — დინარა საფინა (რუსეთი) 3:6, 7:5, 6:2; **მარლენ ვაინგარტნერი** (გერმანია) — ამანდა კუცერი (18, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:4

დღის სენტიმენტალურ მთავარმატჩად ამერიკელ დიადთა — ტურნირის ხუთგზის ჩემპიონ ანდრე აგასისა და მისი სიყრმის დოსტ მაიკლ ჩანგის შეხლა იქცა. ეს მათი 22-ე განდაგანა იყო და არმენოამერიკელმა აზიოამერიკელს უკვე მეთხუთმეტედ მოუგო.

ნამატჩევს აგასი თავის მტკივან მარჯვენა მხარზე საუბრობდა, რამაც მას წინა კვირაში ინდიან უელსი გამოატოვებინა. განსაკუთრებული იმედები მას არც საამკვიროდ ჰქონდა, მაგრამ ჩანგთან ბუქნაობისას მხარმა დატვირთვას იოლად გაუძლო და ანდრესაც გუნება გამოუკეთდა...

დამაჯერებლად იმარჯვა ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილმა როჯერ ფედერერმა, რომელსაც წლეულს უკვე 22 ანუ ყველაზე მეტი გამარჯვება დაუგროვდა.

სამაგიეროდ, კვლავ ჩაიფლავა ზორბა რუსმა მარატ საფინმა, ვინაც დაძაბული და შეუპოვარი ბულრაობის შედეგად თმაშევერცხლილმა იტალიელმა სანგვინეტიმ გააბუნძურა. მართალია, საფინი ერთობ აგრესიულად ირჯებოდა და მატჩის მსვლელობაც სწორედ მასზე ეკიდა, მაგრამ უკანახაზიდან მობურთავე სანგვინეტი ხშირად ახერხებდა მისი წილი კორტი მოჭრილი და შემოვლებული დარტყმებით აეკლო.

18-გზის მეტიტულე გუგა კუერტენმა მოულოდნელად დათმო 19-გზის მეტიტულე შვედ ტომას ენკვისტთან, რომელიც — ეგებ გახსოვდეთ და — სკოტსდეილის პირველ წრეში ანდრე აგასისაც გასცდა.

ქალუცთა მხარეზე ყველაზე დიდი გაკვირვება კოხტა რუსის, ანასტასია მისკინას (11) გავარდნამ გამოიწვია. ვინმე არც გერმანელი ვაინგარტნერის მიერ ამანდა კუცერის (18) გაგდებას ელოდა.

**კვირა. 23 მარტი**

**კაცები**

**მესამე წრე**

**რიოსი** — ფერერო 6:3, 7:6 (7:2); **მოია** — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3; **ტოდ მარტინი** (აშშ) — როდიკი 7:6 (7:3), 6:4; **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — შიუტლერი 6:4, 6:4; **შრიჩაფანი** — კაფელნიკოვი 6:3, 6:7 (7:9), 6:3; **ჯინეპრი** — ბლეიკი 6:3, 6:2; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხრეთ კორეა) — კლავეტი 4:6, 6:2, 6:1; **ესკუდე** — ფიში 7:5, 6:3

**ქალები**

**მესამე წრე**

**სერენა უილიამსი** — ტატიანა პანოვა (25, რუსეთი) 6:2, 6:1; **ვინუს უილიამსი** — ემანუელე გალიარდი (იტალია) 6:3, 6:2; **კლაისტერსი** — პაოლა სუარესი (27, არგენტინა) 6:2, 6:2; **ენენ-არდენი** — ტამარინე ტანასუგარნი (30, ტაილანდი) 6:2, 6:0; **კაპრიატი** — ლაურა გრანვილი (31, აშშ) 7:6 (7:4), 6:0; **დევენპორტი** — ფლავია პენეტა (იტალია) 6:4, 2:6, 6:1; **მორესმო** — კლარისა ფერნანდესი (26, არგენტინა) 6:2, 6:0; **დოკიჩი** — ნატალი დეში (21, საფრანგეთი) 6:3, 6:2; **რუბინი** — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:2, 6:2

ლეიტონ ჰიუიტსა და მარატ საფინს იმ დღეს უნიჭიერეს ჭაბუკთა მესამე ერკემალი — ესპანელი ფერეროც მიჰყვა. მისი გაიმასქნება მაიამის 1998 წლის ჩემპიონმა (და იმ ჩემპიონობის მერე ერთხანს მსოფლიო რეიტინგსიაში მოპირველე) მარსელო რიოსმა იკისრა.

რიოსსა და ფერეროს აქამდე სამჯერ ეთამაშათ, სამჯერვე — თიხნარზე და უმცროსმა უფროსს ერთი მატჩიც არ დაანება. ეს მათი პირველი სამაგარსაფრო შეხვედრა იყო და ჩილელმა ისე დახვეწილად იჩოგნავა, როგორც ამ ბოლო დროს ძალზედ იშვიათად ახერხებს ხოლმე.

სხვაფრივ — მოულოდნელად გასრულდა ორი შიდაამერიკული დაპირისპირება. ერთში ბებერმა ტოდ მარტინმა ენდი როდიკი მოაშთო, მეორეში კი რობი ჯინეპრი როდიკის ძმობილს, ჯეიმს ბლეიკს გაუსწორდა.

მარტინმა მართლაც საუცხოოდ ითამაშა — მძლავრ გლაჯუნს ეფექტურად შეუწყვილა აუღელვებელი ნაუკანახაზევი ბათქა-ბუთქი და კიდევ ერთხელ ცხადყო, ენდი როდიკს ამქარში საყინჩაოდ ჯერაც წრთობა და გეშვა რომ სჭირდება...

როგორც იქნა, შარშანდლისებურად იჩოგნავა ტაილანდელმა შრიჩაფანმაც, ვისაც ვეტერანი კაფელნიკოვის გარდა იმ დღეს მატჩის მიწურულს მიძალებულ კრუნჩხვებთან გამკლავებაც მოუხდა.

რაც შეეხებათ ტურფებს, მათმა ფაშატებმა იმ დღეს უზარალოდ იჭენავეს და პირველოსანი სერენადან მოყოლებული მკერდვიაგრა დოკიჩით (9) გათავებული მეოთხე წრეში შევარდნენ. ამათგან სამსეტიანი გაუგებრობა მხოლოდ ლინდსი დევენპორტს გადახდა, სხვებმა კი თავიანთი პრობლემები შუშპრად და კამაც-კამაც მოაყომარეს.

**ლევან კელაურაძე**



REUTERS კი ბისკეინიდან

ფრანსისკო კლავეტმა თვით ლეიტონ ჰიუიტი იმსხვერპლა





## ომმა ქალები და კაცები გააერთიანა

29 მარტს თურქეთში დასაწყები ევროპის ქალთა მეოთხე ჩემპიონატი ორი თვით გადაიდო. მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის: ერაყის ომი. ანთალიაში 30 ქვეყნის 124 მოჭადრაკე უნდა შეკრებილიყო, მათ შორის 10 ქართველი.

ამ ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი ორგანიზატორებმა, ცხადია, ადრე შეარჩიეს, ახლა კი ყველას მოეხსენება, რაც ერაყში ხდება. საომარი მოქმედება ლამისაა ერაყის მეზობელ თურქეთშიც გადავიდეს. გუშინ სულაც ამერიკელების მიერ ნასროლი სამი რაკეტა მიზანს ასცდა და შემთხვევით თურქეთის ტერიტორიაზე ჩავარდა.

ასეთ ვითარებაში კი ევროპის ჭადრაკის კავშირმა სახიფათოდ ჩათვალა ტურნირის გამართვა და ჩემპიონატი მაისის ბოლოსთვის სტამბოლში გადაიტანა. შეგახსენებთ, რომ ამავე პერიოდში ევროპის ვაჟთა ჩემპიონატიც გაიმართება და თუ კვლავ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ეს ორი შეჯიბრი ერთმანეთის პარალელურად ჩატარდება.

**ლაშა გეგეჭკორი**



**რეგულარული ჩემპიონატი**

21 მარტი

ნიუ ჯერსი 3:1 პიტსბურგი *2:0 0:0 1:1*
ატლანტა 1:5 ოტავა *0:1 0:2 1:2*
დალასი 2:3 მინესოტა *0:1 0:0 2:1 0:1*
სან ხოსე 3:2 ბოსტონი *0:1 2:1 1:0*

22 მარტი

კოლორადო 8:1 ჩიკაგო *1:0 5:1 2:0*
ფილადელფია 1:2 რეინჯერსი *1:1 0:0 0:1*
სენტ ლუისი 2:4 დეტროიტი *0:2 0:0 2:2*
მონრეალი 5:3 კაროლინა *2:1 2:1 1:1*
კოლუმბუსი 2:3 ატლანტა *0:1 1:0 1:2*
აილენდერსი 2:4 ნიუ ჯერსი *1:1 0:2 1:1*
ტორონტო 3:2 ბუფალო *1:0 0:2 1:0 1:0*
ფლორიდა 1:3 ოტავა *0:0 1:0 0:3*
კალგარი 1:1 ნეშვილი *0:0 0:0 1:1 0:0*
ფინიქსი 0:4 ტამპა *0:1 0:1 0:2*
ედმონტონი 5:3 ვაშინგტონი *0:1 1:0 4:2*
სან ხოსე 2:3 ანაჰაიმი *1:0 1:2 0:0 0:1*
ლოს ანჯელესი 3:4 ბოსტონი *0:0 0:3 3:0 0:1*

23 მარტი

ჩიკაგო 1:1 პიტსბურგი *1:1 0:0 0:0 0:0*
დალასი 3:1 სენტ ლუისი *2:1 1:0 1:0*
მინესოტა 4:0 დეტროიტი *1:0 1:0 2:0*
ედმონტონი 3:2 ნეშვილი *1:0 1:2 0:0 1:0*
ვანკუვერი 6:0 ვაშინგტონი *1:0 2:0 3:0*

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კაკა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დიუგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მდ. ხაზ ჭუმბურიძე

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge